№049
(12 119)

1 მარტი ხუთშაბათი 2007
გამოდის 1934 წლიდან

ფასი
50 თეთრი

ყაზბეგი
ეროვნული
ბიბლიოთეკა

# სევილიაში ისროლეს...

## სათასო მატჩი კინაღამ ტრაგედიით დასრულდა



"ბეტისი"-"სევილიის" განმეორებითი სათასო დერბი 57-ე წუთზე შეწყდა. ის იყო, "სევილიის" ფორვარდმა ფრედერიკ კანუტემ გოლი გაიტანა, რომ გახარებულ ხუანდე რამოსს თავში ტრიბუნიდან ნასროლი სითხით სავსე პლასტიკური ბოთლი მოხვდა. "სევილიის" მწვრთნელმა მყისვე გონება დაკარგა და მოწყვეტით დაეცა. რამოსი საავადმყოფო[illegible] დაიყვანეს, ფეხბურთელები კი მოედნიდან გავიდნენ, მით უმეტეს, რომ ტრიბუნებზე მოკალათებული ხულიგნები არ ცხრებოდნენ და შეიძლებოდა, საქმე ტრაგედიამდეც მისულიყო. მოგვიანებით, სინიორ ხუანდე გონებაზე მოვიდა. თამაში კი ცხადია, აღარ განახლებულა...

ესპანეთის ფეხბურთის ფედერაცია ინციდენტზე დღეს-ხვალ იმსჯელებს. უეჭველია, რომ ვერდიქტი მკაცრი იქნება. "სევილიას" მოგება (3:0) ჩაეთვლება და ავტომატურად გავა ნახევარფინალში (პირველი მატჩი 0:0 დასრულდა), "მანუელ ლუის დე ლოპერას" კი დისკვალიფიკაცია (შეიძლება, სეზონის ბოლომდეც) და სერიოზული ფულადი ჯარიმა არ ასცდება. ალბათ, ესპანელები იტალიელთა გამოცდილებასაც გაითვალისწინებენ. დაველოდოთ მოვლენათა განვითარებას...



## უდინეზეს მწარე მუშტი

## ქართველთა სათასო წინსვლა

შოთა არველაძემ და "ალკმაარმა" ჰოლანდიის თასის ნახევარფინალში გააღწიეს. ლუის ვან გაალის ბიჭებმა "უტრეხტთან" გასვლით მატჩში ნურედინ ბუხარის დუბლის წყალობით გაიმარჯვეს (2:1). გუნდის ქართველმა კაპიტანმა სრულად ითამაშა.

ინგლისის თასის ნახევარფინალშია ზურაბ ხიზანიშვილის "ბლექბერნი", რომელმაც ბენი მაკარტის მიერ 87-ე წუთზე გატანილი ერთადერთი გოლით, გათამაშებიდან "არსენალი" დაიფრინა. მარკ ჰიუზმა ქართველი მცველი მეორე ტაიმის დაწყებისთანავე შეუშვა მოედანზე.

საბერძნეთში იყოჩაღა ლევან მაღრაძის "ქსანთიმ", რომელმაც თასის პირველ ნახევარფინალურ მატჩში, "პანათინაიკოსთან" სტუმრად 0:0 ითამაშა. ლევანმა შეუცვლელად და, ბერძნული წყაროების მტკიცებით, ძალიან კარგადაც ითამაშა. "ქსანთის" წარმატება მით უფრო საკვირველია, რომ წინა დღეს კლუბს სეზონში მესამედ შეუცვალეს მთავარი მწვრთნელი. გადაყენებული სავას კოფიდისის ნაცვლად, მაღრაძე და მისი თანაგუნდელები ნიკოს კეხაგიასმა დამოძღვრა.

ნიკოლოზ ნეფარიძე



შოთამ ვერ გაიტანა, მაგრამ ღირსეულად იკაპიტნა



ხიზანიშვილმა და ბლექბერნმა არსენალი თასიდან გააგდეს



პანათინაიკოსთან მატჩში მაღრაძე (მარჯვნივ) საუკეთესო იყო

## ინტერნაციონალიზმი აღესრულა

იტალიის ჩემპიონატი. XXVI ტურის მიმოხილვა 6

## SOS

თემა განსჯისთვის

## ბავშვთა ფეხბურთი კვდება

4

www.kazbegi.com

გახსენი... ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

ეროვნული ბიბლიოთეკა

www.pfl.ge

დიდი ვიზიტის მოლოდინში

# ჩემპიონთა თასი თბილისში ჩამოვა

## პლატინი პრემიერს შეხვდება

ყველასთვის კარგადაა ცნობილი, რომ 7 მარტს **მიშელ პლატინი** მეორედ ეწვევა საქართველოს. თუმცა ამჯერად უეფას პრეზიდენტის რანგში. შეგახსენებთ, რომ ჯერ კიდევ საპრეზიდენტო არჩევნების წინ ის **ნოდარ ახალკაცს** დაჰპირდა – პირველი სამუშაო ვიზიტი თბილისში მექნებაო და ფრანგი სიტყვას ასრულებს კიდეც. პლატინის თბილისური ვიზიტის დეტალების შესახებ ინფორმაციის მოპოვება ჯერ კიდევ ათიოდე დღის წინ ვცადეთ, მაგრამ მაშინ დეტალები უეფასთან თანხმდებოდა, ახლა კი უკვე ყველაფერი გადაწყვეტილია და ამის თაობაზე ფედერაციის გენერალური მდივანი **უჩა უგულავა** გვესაუბრება:

*"მიშელ პლატინი 7 მარტს ჩარტერული ავიარეისით, სავარაუდოდ, 13 საათზე გვეწვევა, აქედან კი 8-ში, ნაშუადღევს გაემგზავრება. პლატინი ჩამოსვლის დღესვე მოინახულებს საგურამოს ბაზას... 8 მარტი ქალთა დღეა და ფეხბურთის ფედერაცია, ეზოს ფეხბურთისა და ქალთა ფეხბურთის ასოციაცია, ქალთა შორის მინი-ფეხბურთში ტურნირს ჩავატარებთ სპორტკომპლექს "ირაოზე". 7-ში ამ ტურნირის გახსნის ცერემონიალს მიშელ პლატინი დაესწრება. იმავე დღეს შეხვდება საქართველოს პრემიერ-მინისტრ ზურაბ ნოღაიდელსა და სპორტისა და კულტურის მინისტრ გიორგი გაბაშვილს. გვსურდა, ჩვენი სტუმარი საქართველოს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილსაც შეხვედროდა, მაგრამ ქვეყნის პირველ პირს უკვე დაგეგმილი აქვს ვიზიტი იაპონიაში. საღამოს კი წარმომადგენლობითი ბანკეტია დაგეგმილი. გვინდა, ამ ბანკეტზე ჟურნალისტებიც დავპატიჟოთ. მეორე დღეს, 8 მარტს, მიშელ პლატინი ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნულ სტადიონს მოინახულებს, სადაც ჟურნალისტებისთვის პრესკონფერენციას გამართავს, მერე კი თბილისს დატოვებს".*

მიშელ პლატინი თბილისიდან ათენს გაემგზავრება, სადაც ჩემპიონთა ლიგის ფინალის მასპინძელ ქალაქში თასს ჩაიტანს. ბუნებრივია, უეფას პრეზიდენტს თასი თბილისშიც თან ექნება. ეს ინფორმაცია უგულავამაც დაგვიდასტურა.

*"დიახ, ასეა. პლატინი აქედან ათენს გაფრინდება და ლიგის თასს ჩაიტანს".*

**დავით ცაბაძე**

დაპირისპირება

# შეიცვლება თუ არა წესი?

პროფესიული ფეხბურთის ლიგის გამგეობის მორიგ შეკრებაზე განხილული საკითხების შესახებ გუშინდელ ნომერში გიამბეთ. განხილულ თემებს შორის, ყველაზე აქტუალური თასის გათამაშების ერთი წესის შეცვლა გახლდათ. უფრო კონკრეტულად: თბილისის "დინამო" მოითხოვს, რომ თასის გათამაშების ერთ რაუნდში, ერთი წყვილის მატჩებს, ერთი და იგივე მსაჯთა ბრიგადა არ მოემსახუროს. გუშინდელ ნომერში ფეხბურთის ფედერაციის მსაჯთა და დამკვირვებელთა კომიტეტის ხელმძღვანელის **ამირან კაჭახიძის** კომენტარიც შემოგთავაზეთ. მან გვითხრა, რომ მსაჯთა და დამკვირვებელთა დამნიშნავ კომისიას ხსენებული წესის შეცვლის საკითხი 28 თებერვალს უნდა განეხილა...

*"კომისიის სხდომა არ შემდგარა, - გვითხრა კაჭახიძემ, - 27 თებერვალს პროფლიგიდან მივიღეთ წერილი წესის განხილვის შესახებ. ამ თემაზე 1 მარტს, ფედერაციაში, გაფართოებულ სხდომაზე ვიმსჯელებთ და გადაწყვეტილებასაც ამის შემდეგ მივიღებთ".*

როგორც შევიტყვეთ, პროფლიგის გამგეობის წევრები წესის გაუქმებას მიესალმებიან, თუმცა საქმის დელიკატურობა იმაშია, რომ მის ახლავე გაუქმებას მხოლოდ თბილისის "დინამო" ითხოვს. ისე კი, ცნობილია, რომ თასის გათამაშებაში მონაწილე კლუბების უმრავლესობაც ამ წესის წინააღმდეგია. საინტერესოა, რას ფიქრობს თავად კაჭახიძე:

*"თავად გახლავართ იმ კომისიის წევრი და ხელმძღვანელი, რომელმაც ეს საკითხი უნდა განიხილოს. შესაბამისად, მომიტევეთ და, საკუთარ პოზიციას კომისიის სხდომამდე ვერ დავაფიქსირებ. ახლა რომ რამე ვთქვა, მერე, შესაძლოა, ჩემი ნათქვამი კომისიის წევრებზე ზეწოლად, აზრის თავზე მოხვევად აღიქვან, რაც ნამდვილად არ მსურს".*

თბილისის "დინამო" მსაჯთა და დამკვირვებელთა კომიტეტის ხელმძღვანელის მისამართით პრეტენზიებს არ მალავს. კაჭახიძეს ამაზეც ვკითხეთ:

*"ცუდსა და უარყოფითს ვერც "დინამოსა" და ვერც სხვა კლუბის ხელმძღვანელთა თუ წარმომადგენელთა მიმართ ვერ ვიტყოდი. ჩვენი ერთი ჯაჭვის რგოლები ვართ, და ეს ჯაჭვი ქართული ფეხბურთია... მე და ბუბა ტყავაძემ ამ რამდენიმე დღის წინათ ვისაუბრეთ "ამერი"-"დინამოს" იმ ყბადაღებული მატჩის შესახებ. ჩვენ შორის აზრთა სხვაობაა, მაგრამ ამაში გასაკვირი არაფერია, ეს ჩვეულებრივი სამუშაო პროცესია. "დინამო" აცხადებს, რომ იმ მატჩში მსაჯმა უხეში შეცდომები დაუშვა, რამაც მატჩის საბოლოო შედეგზე იქონია გავლენა. თუმცა იმ თამაშის დამკვირვებლის ოქმში მსგავსი რამ არ ჩანს. ფეხბურთი დინამიური სპორტია და დამეთანხმეთ, რომ იდეალური მსაჯობა არცერთ ქვეყანაში არ არის. ჩვენ ყველანაირად ვცდილობთ, ჩვენთან მსაჯობა იდეალურთან მაქსიმალურად მიახლოებული იყოს. იმას კი არ ვამბობ, რომ არბიტრები შეცდომებს არ უშვებენ, მაგრამ მსაჯობის მხრივ, კატასტროფული მდგომარეობა ნამდვილად არ გვაქვს. ვიმეორებ, დამკვირვებლის ოქმიდან ჩანს, რომ "ამერი"-"დინამოს" მატჩში არბიტრის შეცდომებს თამაშის საბოლოო შედეგზე გავლენა არ მოუხდენია. ჩვენი კომიტეტისთვის სწორედ ეს არის ამოსავალი წერტილი".*

ესეც გეცოდინებათ: თბილისის "დინამოს" ტექნიკურმა დირექტორმა **ამირან ლიბრაძემ** ისიც არ გამორიცხა, რომ ხსენებული წესი თუ არ შეიცვლება, მაშინ "დინამო" საპასუხო მატჩის სათამაშოდ არ გავა. ისევ კაჭახიძის კომენტარი:

*"თბილისის "დინამო" ყველა ქართველისთვის საყვარელი კლუბია. ბუნებრივია, მეწყინება და გულიც დამწყდება, თუ "დინამო" არა მხოლოდ ამ კონკრეტულ, არამედ, რომელიმე მატჩში მონაწილეობაზე იტყვის უარს. მართალია, ეს საკითხი ამ კლუბის მესვეურთა გადასაწყვეტია.*

აქედან გამომდინარე, მსაჯთა და დამკვირვებელთა დამნიშნავი კომისიის დღევანდელი სხდომა მეტად დამაინტრიგებელ ელფერს იძენს. ბარემ, აქვე ამ კომისიის შემადგენლობასაც გაგაცნობთ: **ამირან კაჭახიძე, ვლადიმერ ბარქაია, სერგო კოტრიკაძე, ავთანდილ შალამბერიძე** და **ნოდარ კაკულია**. ადრე, მათ შორის იყვნენ **სერგო კუტივაძე** და **ნოდარ აკობიაც**, მაგრამ ისინი ამჟამად კლუბებში (შესაბამისად, "მერანი" და "დინამო 2") არიან დასაქმებულნი და ავტომატურად, კომისიის წევრებად აღარ ითვლებიან.

დღეისთვის, ამ თემაზე ეს ვიკმაროთ, დანარჩენზე კი მომდევნო ნომერში.

**დავით ცაბაძე**

19-წლამდელთა ნაკრები. საერთაშორისო ტურნირი

# ტოპმიოლერმა გიმარაეშელ ბლაგიძესაც უხმო

## დღეს საქართველო VS ირლანდია

პორტუგალიაში მოსამზადებელ შეკრებაზე მყოფი საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრები მზადებას განაგრძობს. **ჰაინც ტოპმიოლერის, პეტარ სეგრტისა** და **მამუკა აბუსერიძის** განკარგულებაში 18 ფეხბურთელია. ნაკრები გუნდების მენეჯერ **თამაზ ბოკერიას** თქმით, 18-ივე ფეხბურთელი მწყობრშია. ჩვენი გუნდის სრული შემადგენლობა ასე გამოიყურება:

მეკარეები: **როინ კვასხვაძე, გიორგი მაკარიძე.**

მცველები: **ლაშა ცუტკირიძე, გიორგი ხუმარაშვილი, ვახტანგ ქვრივიშვილი, ამირან სანაია.**

ნახევარმცველები: **მურთაზ დაუშვილი, ალექსი ბენაშვილი, თამაზ ჩარგეიშვილი, რევაზ წულაძე, ლევან ყენია, დავით თარგამაძე, ტარიელ სოფრომაძე, გიორგი სალარიძე.**

თავდამსხმელები: **ლევან მჭედლიძე, ვახტანგ ფანცხავა, რევაზ ღვინიაშვილი, დავით ჯანელიძე.**

პორტუგალიაში ჭაბუკთა საერთაშორისო ტურნირი დღეს დაიწყება. სასტარტო ტურში ირლანდიელებს ვეთამაშებით. ამ მატჩის პარალელურად კი პორტუგალია ბელგიას უმასპინძლებს.

ირლანდიის საფეხბურთო ასოციაციის ვებგვერდზე მეტოქის შემადგენლობა მოვიძიეთ. როგორც ირკვევა, ირლანდიელებმა პირენეებზე გამგზავრებამდე ტრავმების გამო სამი ფეხბურთელი დაკარგეს. ჭაბუკთა ნაკრების თავკაცმა **შონ მაკეფრიმ ჰარი არტერის** (ჩარლტონი, ინგლისი), **ქრისტი ფაგანისა** (მანჩესტერ იუნაიტედი, ინგლისი) და **ჯილიან შერიდანის** (სელტიკი, შოტლანდია) ნაცვლად ნაკრებში **მაიკლ ლიდლის** (სანდერლენდი, ინგლისი), **კრეიგ მაჰონსა** (უიგანი, ინგლისი) და **დენიელ კორკორანის** (ბელვედერი) ტრიოს უხმო.

*"სამწუხაროდ პორტუგალიის საერთაშორისო ტურნირის დაწყებამდე სამი წამყვანი ფეხბურთელი გამოგვაკლდა. თუმცა, იმედი მაქვს, რომ მათ ნაცვლად ნაკრებში გამოძახებული ფეხბურთელები ტრავმირებულებს ღირსეულად შეცვლიან. ვიმედოვნებ, პორტუგალიის ტურნირს სათანადოდ გამოვიყენებთ და საშემოდგომოდ, ძლიერი გუნდით წარვდგებით შესარჩევ მატჩებში"*, - აღნიშნავს შონ მაკეფრი.

ირლანდიელთა შემადგენლობა ასე გამოიყურება:

**შონ რედმონდი, კორი ტრეისი, ბრენდან მელოუნი,** (ყველა ნოტინგემ ფორესტი, ინგლისი) **ჯეიმს მაკიონი** (უოლსოლი), **კაიენ ჰაგტონი, დევიდ ჰატონი** (ორივე ტოტენჰემი, ინგლისი), **მაიკლ სპილეინი, მარკ ოტული** (ნორვიჩი, ინგლისი), **რაიან კეროლეინი** (კრისტალ პალასი, ინგლისი), **იან ბირმინგემი** (ლურდეს სელტიკი), **რაიან ჰარკინი** (ჩარლტონი, ინგლისი), **ჯეიმს ბერეტი** (ჰენდერსფილდ თაუნი), **მაიკლ ლიდლი** (სანდერლენდი, ინგლისი), **პოლ კაჰილენი, გრეჰემ ქერეი** (ორივე სელტიკი, შოტლანდია), **დენიელ კორკორანი** (ბელვედერი), **კრეიგ მაჰონი** (უიგანი, ინგლისი), **კარლ ბირნი** (პლიმუთი, ინგლისი).

ჰაინც ტოპმიოლერის გუნდმა გუშინ ლისაბონის სიახლოვეს, ქალაქ მარფას სპორტკომპლექსის მოედანზე მატჩისწინა ვარჯიში ჩაატარა. თამაზ ბოკერიას ცნობით, გუშინ ჩვენს ჭაბუკებს ერთი ახალი ფეხბურთელი, 1989 წელს დაბადებული თავდამსხმელი **ლევან ბლაგიძე** შეუერთდა, რომელიც ქუთაისიდანაა და "გიმარაეშის" დუბლებში ასპარეზობს. ბოკერიას თქმით, 185 სმ სიმაღლის ბლაგიძე კარგი მონაცემებით გამოირჩევა და ის მწვრთნელებსაც მოეწონათ. მას ამ საერთაშორისო ტურნირზეც ათამაშებდნენ, ტრავმის შემდეგ ვარჯიში ახალი დაწყებული აქვს და ჯერ კიდევ არაა ფორმაში. თუმცა ჰაინც ტოპმიოლერს უთქვამს, თუკი თავს გამოიჩენს მომდევნო მატჩებისთვის გამოვიძახებთო.

გუშინ პორტუგალიაში მომხდარ ერთ ამბავზეც გიამბობთ:

ჩვენი ნაკრების პარალელურად ბელგიელები ვარჯიშობდნენ. ევროპის ჩემპიონატის ელიტრაუნდში გასვლამდე, პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზე ჩვენმა ჭაბუკებმა რუმინეთში ბელგიას მოუგეს. პორტუგალიელთა (რომელიც ელიტრაუნდში ჩვენი მეტოქეა) ნაკრების თავკაცი, ბელგიელ კოლეგასთან საუბრისას საქართველოს ნაკრების ძალით დაინტერესდა, და საკუთარი გუნდის შანსებზე ჰკითხა, რაზეც მთლად ოპტიმისტური პასუხი ვერ მიიღო... ეს ამბავი პორტუგალიის საფეხბურთო ასოციაციის მიერ ჩვენი ნაკრებისთვის მიმაგრებულმა გიდმა (რომელიც, სხვათა შორის, ქართველია) უამბო ქართული დელეგაციის ხელმძღვანელებს.

*"პორტუგალიაში ჩინებულ პირობებში გავდივართ მზადებას. ფეხბურთელთა მზადყოფნით კმაყოფილი ვარ. მართალია, ძლიერი მეტოქეები გვყავს, მაგრამ აქ ტურნირის მოსაგებად ვართ ჩამოსულები. საამისოდ ბოლომდე ვიბრძოლებთ. ბოლო ორი წელია, რაც ჩვენი ასაკობრივი ნაკრებების წარმატებული ასპარეზობის გამო, გუნდები სხვა თვალით გვიყურებენ. საქართველოს უკვე ძლიერ მეტოქედ მიიჩნევენ. ჩვენი შედეგიანი თამაშით ეს მოსაზრება კიდევ უნდა გავამყაროთ*, - ჰაინც ტოპმიოლერის ეს სიტყვები გუშინ თამაზ ბოკერიამ გადმოგვცა.

დაბოლოს, საქართველო-ირლანდიის ჭაბუკთა ნაკრების მატჩი თბილისის დროით 19 საათზე დაიწყება.

**დავით ცაბაძე**



ქართველი 19-წლამდელებს დღეს პირველი მატჩი აქვთ

გახსენი...
ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
www.kazbegi.com
www.pfl.ge
ეროვნული ბიბლიოთეკა

ლეგიონერები


ალექსანდრე იაშვილი

# ფოფხაძე კარგ ფორმაშია

18 მარტს დანიის ჩემპიონატის მეორე ეტაპი დაიწყება. **გიორგი ფოფხაძის** "ვიბორგი" დანიური ფეხბურთის ფლაგმან "ბრონდბიუს" უმასპინძლებს. ამ შეხვედრისთვის "ვიბორგის" გულშემატკივრები განსაკუთრებით ემზადებიან, ისინი იმედოვნებენ, რომ მათი საყვარელი გუნდი რანგით გაცილებით მაღლა მდგომ სახელოვან მეტოქეს არაფერს დაუთმობს და გამარჯვებისთვის იბრძოლებს.

დღეისათვის, დანიის უმაღლესი ლიგის სატურნირო ცხრილში "ვიბორგი" 18 ტურის შემდეგ, მეცხრე ადგილზე იმყოფება 18 ქულით და გავარდნის საფრთხე არ ემუქრება. ამავდროულად, მიმდინარე ჩემპიონატში ფოფხაძესა და მის თანაგუნდელებს არც მაღალი საფეხურებისთვის ბრძოლის პერსპექტივა აქვთ. "ვიბორგის" ხელმძღვანელობა მეორე წრეში ძლიერი გუნდის ჩამოყალიბებას გეგმავს, რათა მომავალ სეზონში გაცილებით მაღალი მიზნებისთვის იბრძოლოს.

მწვრთნელები ქართველ მცველს კვლავინდებურად ენდობიან. საკონტროლო მატჩებში გიორგის კარგი შთაბეჭდილება დაუტოვებია. როგორც კლუბის ოფიციალური ვებგვერდი იტყობინება, იგი საუკეთესო ფორმაშია. მას განსაკუთრებით ფიზიკური კონდიციები გაუუმჯობესებია. "ბრონდბიუსთან" შეხვედრისთვის უკვე გამოქვეყნდა "ვიბორგის" სავარაუდო ძირითადი შემადგენლობა, სადაც ფოფხაძის გვარიცაა მოხსენიებული.

ლევან ჯანეზაშვილი


გიორგი ფოფხაძე

# კვირკველია კვლავ ძირითადშია

**დავით კვირკველიას** ზაპოროჟიეს "მეტალურგის" ძირითადში მოხვედრის პრობლემა არც პირველ წრეში ჰქონია და დღესდღეობითაც გუნდის ერთ-ერთ წამყვან ფეხბურთელად განიხილება. მოსამზადებელ ეტაპზე მან თითქმის ყველა საკონტროლო მატჩში მიიღო მონაწილეობა და საკმაოდ კარგი შთაბეჭდილებაც დატოვა. სეზონის განახლებას კვირკველია კარგ ფორმაში ხვდება.

ანთალიურ შეკრებაზე მყოფმა "მეტალურგმა" ბოლოს ბელარუსის უმაღლესი ლიგის ბინადარის, სოლიგორსკის "შახტიორის" წინააღმდეგ ითამაშა. საქართველოს ნაკრების წევრი ამჯერადაც ძირითადში იყო, მან მატჩი სრულად ჩაატარა და უკრაინული პრესის ცნობით, მოედანზე ერთ-ერთი გამორჩეული იყო. ზაპოროჟიელებმა კლასით დაბალ მეტოქეს იოლად აჯობეს. მათ


დავით კვირკველია

2:0 გაიმარჯვეს, მაგრამ ისიც უნდა ითქვას, "მეტალურგს" უფრო მეტი საგოლე მომენტი რომ გამოეყენებინა, ანგარიში გაცილებით შთამბეჭდავი იქნებოდა.

მწვრთნელები გუნდის სადღეისო მზადყოფნით კმაყოფილები არიან და სჯერათ, რომ ამ კონტინგენტით მაღალი მიზნებისთვის ბრძოლა შესაძლებელია. შეგახსენებთ, ზაპოროჟიელთა მეორე ქართველი, **ირაკლი მოდებაძე** ტრავმირებულია და უახლოეს პერიოდში "მეტალურგს" ვერ დაეხმარება.

კვირკველიასა და მოდებაძის გუნდი სეზონის პირველ პირველ ოფიციალურ შეხვედრას ჩემპიონატის მეორე წრის პირველ ტურში, კიევის "დინამოს" წინააღმდეგ სტუმრად ჩაატარებს. მატჩი 4 მარტს გაიმართება.

ლევან ჯანეზაშვილი

# ბოლომდე უნდა ვიბრძოლოთ!

პირველი წრის შემდეგ, ფრაიბურგელები მხოლოდ მეორე ბუნდესლიგაში ადგილის შენარჩუნებაზე თუ იოცნებებდნენ, მაგრამ მეორე წრეში გუნდი შესანიშნავად ათამაშდა. "აუესთან" უხვგოლიანი და დრამატული მატჩის (5:4) შემდეგ, "ფრაიბურგის" გულშემატკივრებს პირველ ბუნდესლიგაში დაბრუნების იმედი მიეცათ. მართალია, **ფოლკერ ფინკეს** გუნდი მესამეადგილოსან "დუისბურგს" მთელი რვა ქულით ჩამორჩება, მაგრამ ქომაგები ამ სხვაობის გაბათილებას სულაც არ მიიჩნევენ შეუძლებლად. მით უფრო, რომ მომდევნო ტურში, 4 მარტს, მათი საყვარელი გუნდი "დუისბურგს" საკუთარ კედლებში მიიღებს.

კლუბის გულშემატკივრებიცა და ფეხბურთელებიც "ფრაიბურგი"-"დუისბურგს" სეზონის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მატჩად მიიჩნევენ. **ალექსანდრე იაშვილი, ოთარ ხიზანეიშვილი** და მათი თანაგუნდელები მიიჩნევენ, რომ ხუთი ქულა უკვე ის სხვაობა გახდება, რომლის "ამოქაჩვაც" სავსებით რეალური იქნება.

*"ამ შეხვედრის მნიშვნელობა თითოეულ ჩვენგანს ძალიან კარგად ესმის. "დუისბურგთან" მატჩისთვის განსაკუთრებულად ვემზადებით. რადაც უნდა დაგვიჯდეს, მოწინააღმდეგეს უნდა ვძლიოთ და პირველ ბუნდესლიგაში დაბრუნების რეალური შანსი გავიჩინოთ. გადაჭრით ვერ ვიტყვი, რომ მომავალ სეზონს რანგით მაღალ ლიგაში დავიწყებთ, მაგრამ პირადად მე, ამის უდიდესი იმედი მაქვს"*, - ამბობს იაშვილი.

"ფრაიბურგის" გულშემატკივრები ფინკეს თანამდებობაზე დატოვებას აქტიურად მოითხოვენ და გუნდის მიერ ნაჩვენებ ბოლოდროინდელ შედეგებს თუ მივიღებთ მხედველობაში, არაა გამორიცხული, გამოცდილ მწვრთნელს კონტრაქტი გაუხანგრძლივონ.

აქვე გეტყვით, რომ 2 მარტს **დავით სირაძის** "აუე" უშუალო კონკურენტ "კაიზერსლაუტერნს" მასპინძლობს. ბუნდესლიგაში ალზევების შანსი არც ამ გუნდს დაუკარგავს, შესაბამისად, გამარჯვება "აუესაც" ჰაერივით სჭირდება.

"ექვსქულიანი" შეხვედრა ელის "კარლ ცაისსაც". იენელები სტუმრად "უნტერჰახინგს" ეთამაშებიან, რომელსაც ბოლოდროინდელი წარმატებების ხარჯზე, სამი ქულით უსწრებენ. ამ მატჩში გამარჯვება **ლომაიას, აშვეთიასა** და მათ თანაგუნდელებს გასავარდნ ზონას ექვსი ქულით დააშორებს, მარცხი კი მდგომარეობას საგრძნობად გაურთულებს.

ლევან ჯანეზაშვილი

## ასათიანი: ისევ 30

მოსკოვის "ლოკომოტივმა" ოფიციალური განაცხადი გამოაქვეყნა, რომელშიც მხოლოდ ერთი ქართველია წარმოდგენილი. გუნდის დაცვის ბურჯი **მალხაზ ასათიანი** ახალ სეზონშიც 30-ნომრიანი მაისურით ითამაშებს. რკინიგზელთა განაცხადში **გიორგი ჭელიძის** გვარი არ ფიგურირებს.

## გიგიაძეს დაისვენა

ანთალიურ შეკრებაზე მყოფმა "კრივბასმა" გუშინ მორიგი საკონტროლო მატჩი ჩაატარა. მისი მეტოქე როსტოვის სკა იყო. შეხვედრა უკრაინელთა უპირატესობით წარიმართა და მათივე სოლიდური გამარჯვებით, 3:0 დასრულდა.

ქართველთაგან ამ თამაშში მონაწილეობა მხოლოდ **ლადო ბურდულმა** მიიღო. მან ნორმალური შთაბეჭდილება დატოვა. ბურდული 65-ე წუთზე შეცვალეს. **ვასილ გიგიაძეს** რაც შეეხება, ახლადგამოჯანმრთელებული ქართველი ფორვარდის დატვირთვა "კრივბასის" მწვრთნელებმა მიზანშეწონილად აღარ მიიჩნიეს, ვასომ ამ შეხვედრას თვალი სათადარიგოთა სკამიდან ადევნა.

"კრივბასი" უკრაინაში გუშინვე დაბრუნდა და ქვეყნის ჩემპიონატის მე-17 ტურში ლვოვის "კარპატისთან" გასამართი მატჩისთვის უკვე ადგილზე მოემზადება.

## მუჯირი თურქეთში

სახელდახელოდ გადაწყდა, რომ "კრილია სოვეტოვი" თურქეთის საკურორტო ქალაქ ბელექში ხანმოკლე შეკრებას მოაწყობს. **დავით მუჯირი** და მისი თანაგუნდელები თურქეთში დღეს გაემგზავრებიან და უკან 9 მარტს დაბრუნდებიან. ეს შეკრება კლუბის ხელმძღვანელობამ და სამწვრთნელო შტაბმა კონკრეტულად "ხიმკისთან" მატჩისთვის უკეთ მოსამზადებლად დაგეგმეს. სამარელები ამ გუნდს რუსეთის ჩემპიონატის პირველ ტურში ხვდებიან და მხოლოდ გამარჯვებას გეგმავენ. სამარელები ახალ სეზონში მაღალი მიზნებისთვის ბრძოლას აპირებენ. მათი პროგრამა-მინიმუმი უეფას თასის საგზურია.

შეგახსენებთ, რომ წელს "კრილიამ" უკვე ჩაატარა ორი ოფიციალური შეხვედრა და რუსეთის თასის გათამაშებას მოსკოვის ცსკა გამოთიშა.

ლევან ჯანეზაშვილი

თბილისის დინამო

# კონტრაქტი გაწყვეტილია

## დილა-დინამო შევარდენზე გაიმართება

ამ რამდენიმე კვირის წინ, უკრაინიდან დაბრუნებულმა მცველმა **სერგი ორბელაძემ** თავის გუნდს, თბილისის "დინამოს" მიაშურა. მიმდინარე სეზონის პირველი ნახევარი მან მარიუპოლის "ილიჩევეცში" გაატარა, თუმცა მხოლოდ სამ მატჩში მიიღო მონაწილეობა, მერე კი დაშავდა და სარეზერვო გუნდში თამაშობდა. ორბელაძე "ილიჩევეცში" განათხოვრების წესით ირიცხებოდა. საიჯარო ხელშეკრულება დასრულდა და რაკი "დინამოსთან" კონტრაქტი აკავშირებდა, მცველი თბილისური კლუბის უფლებებში დარჩა. სეზონის განახლების წინ, **დუშან უჰრინმა** სერგი ორბელაძეზე თქვა - როგორც მითხრეს, კარგი ფეხბურთელია, მაგრამ ტრავმების გამო ბევრი გაუცდა, ფორმაში არაა და ამ ეტაპზე, მოუმზადებელ ფეხბურთელს ვერ გამოვიყენებთო. ორბელაძის გადაბირება რამდენიმე ქართულ გუნდს სურდა. მათგან, ყველას "სიონმა" აჯობა. ასე რომ, "დინამომ" კონტრაქტი გაწყვიტა.

*"დიახ, ასეა. ორმხრივი შეთანხმების საფუძველზე სერგი ორბელაძესთან კონტრაქტი გავწყვიტეთ. ის კარგი ფეხბურთელია, მაგრამ ბევრი გაუცდა და ფორმაში არაა. ვფიქრობთ, თავისუფალი აგენტის სტატუსის მინიჭება მასაც უნდა აწყობდეს"* - თქვა "ლელოსთან" საუბარში "დინამოს" ტექნიკურმა დირექტორმა **ამირან ღიბრაძემ**.

უკვე რამდენიმე დღეა, ორბელაძე "სიონში" ვარჯიშობს. ბოლნისური კლუბის გენერალური მენეჯერის **ჯემალ ჭიპაშვილის** თქმით, აწ უკვე ყოფილმა დინამოელმა ბოლნისელებთან ხელშეკრულება 1 ივნისამდე გააფორმა. თუმცა, ევროტურნირებზე გასვლის შემთხვევაში, "სიონი" უფლებას იტოვებს, ორბელაძესთან კონტრაქტი გააგრძელოს. ჭიპაშვილის თქმით, მარიუპოლიდან ორბელაძის სატრანსფერო ფურცელი დღეს ჩამოვა. ამის შემდეგ, "სიონი" ფეხბურთელს განაცხადში შეიყვანს და დიდია შანსი, უკვე 2 მარტს, "ვიტ ჯორჯიასთან" მატჩში, დებიუტიც ჰქონდეს.

დაბოლოს, გაცნობებთ იმასაც, რომ "დილა"-"დინამოს" მორიგი ტურის შეხვედრა გორის ნაცვლად თბილისში, "შევარდენის" სტადიონზე გაიმართება. ჰო, მართლა: ამ ტურის ყველა მატჩი უკვე 15 საათზე დაიწყება.

დავით ცაბაძე



ყაზბეგი
გახსენი...
ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
www.kazbegi.com
www.pfl.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა



გოგიტა გოგუა

მოსალოდნელი ტრანსფერი

# შესთავაზეს თუ არა გოგუას კონტრაქტი?

**გოგიტა გოგუას** რამენსკოეს "სატურნთან" კონტრაქტი ჯერ არ გაუფორმებია. ერთ-ერთი წყაროს მეშვეობით გავიგეთ, რომ მას ხელშეკრულება უკვე შესთავაზეს და გუშინ, კლუბის იურისტი გოგუას სწორედ მის დეტალებზე ესაუბრა. ვიცით ისიც, რომ საქართველოს ნაკრების ნახევარმცველმა "სატურნის" სლოვაკ მწვრთნელ **ვლადიმირ ვაისს** ვარჯიშებზე თავი მოაწონა. მაგრამ მეორე მხრივ, უცნაურია, რომ ქვედალიგოსან "ლუხოვიცთან" ამხანაგურ მატჩში (4:0 რამენსკოელთა სასარგებლოდ) გოგუას მონაწილეობა არ მიუღია. იმედია, დღეს-ხვალ ყველაფერს ნათელი მოეფინება და გოგიტა, ბოლოს და ბოლოს, საიმედო ნავსაყუდელს მონახავს.

**მერაბ მამულაშვილი**

დემეტრაძის საქმე

# მიდი, დემე, მიაწექი!

## მეამბოხე ქართველს მხარდამჭერები გამოუჩნდნენ

გუშინ, **გიორგი დემეტრაძეს** ლეგიონერებზე ლიმიტის წინააღმდეგ ბრძოლაში მხარი მისი კლუბის მთავარმა მწვრთნელმა და თითქმის ყველა ფეხბურთელმა დაუჭირა. **კო ადრიაანსე** და კომპანიამ ღია წერილი გაუგზავნა უკრაინის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტ **გრიგორი სურკისს** და ზედ საკუთარი ხელმოწერებიც დაურთო. *"მოედანზე უნდა ითამაშონ უძლიერესებმა და არა ეროვნული პრინციპით შერჩეულმა ფეხბურთელებმა"*, - ასეთია ამ უსტარის პათოსი. თავად "მეტალურგმა" კი საკონტროლო მატჩი გამართა კონსტანტინოვკის "კონტის" წინააღმდეგ და 5:1 გაანადგურა. დემეტრაძეს არ უთამაშია. სეზონის განახლების წინ ეს დონეცკელთა უკანასკნელი რეპეტიცია იყო.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ფუტზალი

# 8 მარტს იწყებენ...

8 მარტს ფუტზალში საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი დაიწყება. შეხვედრები "ქარიშხალას" სპორტკომპლექსში დილის 11 საათიდან გაიმართება. გათამაშებაში მონაწილეობას ექვსი გუნდი მიიღებს: "იბერია", "ქარიშხალა", "ცენტრ პოინტი", "საბურთალო", "გორი" და "ზესტაფონი". მომდევნო მატჩები მეორე დღესვე ჩატარდება, პირველობის ყველა თამაშს "ქარიშხალა" უმასპინძლებს. შეგახსენებთ, რამდენიმე თვის წინ სპორტკომპლექსის მოედანი შეაკეთეს და იგი საერთაშორისო მოთხოვნებსაც კი პასუხობს.

მართალია, შარშანდელ ჩემპიონატს სამი მონაწილით მეტი ჰყავდა, მაგრამ ექვსგუნდიან ჩემპიონატს საქართველოს ფუტზალის ასოციაციის ხელმძღვანელობა საგანგაშოდ არ მიიჩნევს. მეტიც, ქართული ფუტზალის მესვეურთა აზრით, ეს პროგრესის ნიშანია, ვინაიდან შარშან ბევრ მონაწილეს ჰქონდა ფინანსური პრობლემები, ამ ჩემპიონატს კი ყველა გუნდი მეტნაკლებად წელგამართული ხვდება. თანაც, არაერთი წამყვანი ქვეყნის ჩემპიონატში ამაზე მეტი გუნდი არ ასპარეზობს.

წლევანდელი ჩემპიონატი ფლეი ოფების გარეშე, ოთხ წრედ გაიმართება და შესაბამისად, გამარჯვებული და პრიზიორები ქულათა საერთო რაოდენობით გამოვლინდება. გათამაშება 10 მაისს დასრულდება.

როგორც იცით, რამდენიმე თვის განმავლობაში ქვეყნის მრავალგზის ჩემპიონი "იბერია" დაშლილი იყო, რისი მიზეზიც უბადალებული მატერიალური პრობლემები გახდა. საბედნიეროდ, ეს უსიამოვნება წარსულს ჩაბარდა, სულ ახლახან "იბერია" აღდგა, მატჩებს ბრაზილიელი ლეგიონერებითა და მათი თანამემამულე მწვრთნელით გაძლიერებული ჩაატარებს და კვლავაც ჩემპიონატის უმთავრესი ფავორიტი იქნება.

ამ ცოტა ხნის წინ ხელახლა ჩამოყალიბდა ფუტზალის კლუბი "ზესტაფონიც", რომელიც ჩემპიონატს რამდენიმეწლიანი პაუზის შემდეგ უბრუნდება. სხვათა მსგავსად, ზესტაფონელებსაც ამბიციური და ფინანსურად წელგამართული გუნდი ეყოლებათ.

შემოდგომაზე საქართველოს ჩემპიონი ევროტურნირებზე მოსინჯავს ძალებს, რაც შეეხება ეროვნულ ნაკრებს, მისი შეკრება უახლოეს მომავალში არ იგეგმება. მოგვიანებით ასოციაცია მისთვის სპარინგპარტნიორების ძიებას შეუდგება, რათა გუნდი ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირს სათანადო მზადყოფნაში შეხვდეს. ნაკრების მწვრთნელები ჩემპიონატის მონაწილეებს გულდასმით დააკვირდებიან და სავსებით შესაძლებელია, აქ წარმატებულმა ასპარეზობამ ეროვნულ და ახალგაზრდულ ნაკრებებში თავის დამკვიდრების შანსი ახალ ფეხბურთელებსაც მისცეს. ნაკრების სამწვრთნელო შტაბი აქცენტს განსაკუთრებით ახალგაზრდა ფეხბურთელების აღმოჩენაზე აკეთებს.

**ლევან ჯანეზაშვილი**

პრობლემა

# ადამიანთა სევდა

## ანუ რატომ აღარ დადიან ბავშვები საფეხბურთო სკოლებში?

**საქართველოში მოქმედი საფეხბურთო სკოლები, ხელისუფლების წარმომადგენლებთან შეხვედრასა და საკუთარი პრობლემების შესახებ საუბარს გეგმავენ. ბოლო დროს დაგროვილმა სირთულეებმა თითოეული მათგანი უმძიმეს მდგომარეობაში ჩააყენა და ეს წერილიც სწორედ ამ თემაზეა. მთავარი პრობლემა ისაა, რომ საფეხბურთო სკოლებში ბავშვების რაოდენობა კატასტროფულად მცირდება. ვითარება თუ არ შეიცვალა, უახლოეს პერიოდში ეს ტენდენცია შეუქცევად ხასიათს მიიღებს და მერე კარგად მეყოლეთ - არათუ ხარისხიანი, ზოგადად, ფეხბურთელების მოძებნაც ძალიან გართულდება. გახსოვთ გოდერძი ჩოხელის ფილმი "ადამიანთა სევდა"? ერთი ჭარმაგი კაცი, ალექსანდრე, ადამიანთა სევდას აღრიცხავს. ახლა, ჩვენ სწორედ ამ კაცის მდგომარეობაში ვართ, რადგან ლამის ყოველდღე ამა თუ იმ საფეხბურთო სკოლის პრობლემების, ანუ "სევდის" შესახებ გვესმის და ყოველ ახალ ზარზე ინსტინქტურად ვსვამთ კითხვას - თქვენ რა სევდა გაწუხებთ ბატონო იმანო?**

35-ე საფეხბურთო სკოლას დაფინანსება შეუწყვიტეს. ამიერიდან, იქ სწავლა ფასიანია. სხვაგვარად, სკოლა თავს ვერ შეინახავდა და მისმა ხელმძღვანელებმა ეს ნაბიჯი იძულებით გადადგეს. ფასიანი სწავლების დამკვიდრებამ კი მოსწავლეთა რაოდენობის შემცირება გამოიწვია.

ასეთივე საფრთხე ძველ 35-ე სკოლას, "XXI საუკუნესაც" ემუქრება. განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პოზიცია ლოგიკურია - ჩვენ ვაფინანსებთ განათლებას და არა პროფესიული დაოსტატების სკოლებსო. მალე, ეს სკოლა ამ სამინისტროს გადაეცემა და რა გადაწყვეტილებას მიიღებს **გიორგი გაბაშვილი**, არავინ იცის. "XXI საუკუნეში", ერთ ასაკში გაიზარდნენ **გოგიტა გოგუა, გიორგი ციმაკურიძე, დავით ნაკანი...** ერთი ხანობა, იქ **კახა ალადაშვილი** და **თენგიზ ჩიკვილაძეც** ვარჯიშობდნენ. მოკლედ, აქ მართლაც ფეხბურთელებს ზრდიან...

პრობლემები თენგიზ სულაქველიძის საფეხბურთო აკადემიასაც არ აკლია. რიგის "სკონტომ" ამ აკადემიასთან თანამშრომლობა აღარ ისურვა და რეგიონალლიგის გუნდი "სკონტო-აკადემიაც" წარსულს ჩაბარდა. სკოლის ერთ-ერთი ხელმძღვანელი, უმცროსი **თენგიზ სულაქველიძე** შეწუხებულია:

*"ძალიან ნიჭიერი ბიჭები გვყავდა, მაგრამ რევაზ ძოძუაშვილი საქართველოში დაბრუნდა და ლატვიელებთან ურთიერთობა ველარ გავაგრძელეთ, ამიტომ, გუნდიც დაგვეშალა. ბიჭები სხვადასხვა კლუბში მიმოიფანტნენ: ქარქაშაძე და ლიპარტელიანი კიევის "დინამოს" აკადემიაში წავიდნენ, თურქეთის მოყვარულთა ლიგაში თამაშობენ გულბანი და ხარაზიშვილი, გაბუნია "დინამო 2-ში" ჩაირიცხა, კობერიძე "მერანში", აზერბაიჯანის უმაღლესი ლიგის "გილანმა" დიდმარხვაშვილი წაიყვანა, "ოლიმპმა" კი კვარაცხელია. ჩვენთან მარცვალაძე, იმედაშვილი, შოთა კაშია, ძმები ჭელიძეები გაიზარდნენ და კიდევ სხვებსაც გავზრდიდით, მაგრამ რა ვუყოთ, პრობლემები მოგვეძალა. მოედნის მორწყვაც უდიდეს სირთულესთანაა დაკავშირებული, რადგან წყლის გადასახადი გაგვიზარდეს".*

მაშ ასე, 35-ე სკოლას დაფინანსება შეუწყდა, იგივე საფრთხე ელის "XXI საუკუნესაც". მეორე პრობლემა: მიწის არაადეკვატური გადასახადია. მესამე პრობლემა კი წყლის გადასახადია, რომელიც სკოლების თავზე დამოკლეს მახვილივით დაეკიდა და სხვა პრობლემებთან ერთად, როდის ამოქმედდება, არავინ იცის. ალბათ, ძალიან მალე.

არადა, ეს დაუშვებელია. ამ ტიპის გადასახადის ზრდა პირდაპირპროპორციულია სწავლის გადასახადის მატებასთან. დღეს მინიმალური ნიხრი 30 ლარია, რაც ბევრ მშობელს აბრკოლებს. ამიტომაც არიან შეშფოთებულნი სკოლების ხელმძღვანელები: ბავშვების რაოდენობა თვიდან თვემდე მცირდება.

*"XXI საუკუნის" მიერ გაზრდილი გოგიტა გოგუა მოსკოვში გამგზავრებამდე ამ პრობლემაზე შეშფოთებული საუბრობდა: "მე პირადად, სკოლაში ფულს არ ვიხდიდი. 30 ლარი რომ მოეთხოვათ, შეიძლება, ფეხბურთზე აღარც მევლო. საირმეზე, ნაქირავებში ვცხოვრობდით, მამაჩემი მძღოლი იყო და რას გავწვდებოდით ამ ფულს და პლუს კიდევ, შეკრებაზე წასასვლელი 350 ლარის გადახდას? ეს კი მინიმალური ნიხრია. ამას გარდა, ფორმა და ბუცებიც ჩვენი ხარჯით უნდა შეგვეძინა. და განა მარტო მე? ციმაკურიძე ჩემი თანაგუნდელი იყო და არც მის ოჯახს ულხინდა. ისიც ჩემსავით ნაქირავებში ცხოვრობდა. სხვათა შორის, ადრე სხვა სკოლიდან ამის გამო წავიდა და ჩვენთან იმიტომაც მოიყვანეს, რომ უფასო იყო. მხოლოდ ფასიანი სკოლები რომ ყოფილიყო, არ ვიცი, ვითამაშებდით კი მე და გიორგი ფეხბურთს? ფასიანი სკოლების წინააღმდეგი არ ვარ. თუ მათ მდგომარეობას შეუმსუბუქებენ, გადასახდსაც შეამცირებენ. დამიჯერეთ, ფეხბურთელთა 95 პროცენტი გაჭირვებული ოჯახებიდანაა. რაც უფრო მცირე იქნება გადასახადი, სკოლებში ბავშვების რაოდენობა გაიზრდება და მეტი ტალანტიც გამოჩნდება. თურქეთთან მოგების შემდეგ, ჩვენს გასახდელში მიხეილ სააკაშვილი ჩამოვიდა და მაშინ ამაზე საუბრის დრო არ იყო. ალბათ, კიდევ დაგვჭირდება მოგება, მეორედაც ვნახავთ და ამ პრობლემაზე აუცილებლად ვეტყვი".*

წყლის გადასახადის შესახებ საინტერესოა სპორტისა და ახალგაზრდობის დეპარტამენტის თავმჯდომარის **დავით ნამგალაურის** კომენტარი: *"კარგად მესმის, რომ გადასახადები სკოლებს მძიმე ტვირთად აწვება. ჩვენ გამოსავალი ვიპოვეთ. ამ მხრივ, მაგალითად გამოდგება დუშეთში აშენებული კომპლექსის მესვეურთა გადაწყვეტილება. საერთოდ, დუშეთში წყალი უდიდესი პრობლემაა. ჩვენ ჭა ამოვთხარეთ და ახლა არა მარტო სკოლა მარაგდება წყლით, არამედ ახლომახლო მოსახლეებიც. ასეთი ჭებით სარგებლობისთვის კი გადასახადი არაა გათვალისწინებული. იქნებ, საფეხბურთო სკოლებმაც ანალოგიურ მეთოდს მიმართონ? ამით მდგომარეობას ძალიან შეიმსუბუქებენ. ჭის ამოთხრა საკმაოდ იაფია".*

იდეა საინტერესო კია, მაგრამ ბევრი სკოლისთვის ესეც ძვირი სიამოვნება იქნება. ჩვენ ის ვიცით, რომ ბავშვებმა ფეხბურთზე უნდა იარონ, რადგან მასობრიობა ხარისხში გადაიზრდება. სხვათა შორის, სტატისტიკა მეტყველებს, რომ ყოველი 1000 ბავშვიდან ფეხბურთზე მხოლოდ 6 დადის. ამ დროს კი საფრანგეთში იგივე მაჩვენებელი 20-ის ტოლია, ინგლისში 18, ბრაზილიაში კი 30.

პრობლემის გადაჭრის ერთ-ერთი გზა საფეხბურთო სკოლების კლუბებთან შერწყმაა. უეფას ლიცენზირების მოთხოვნებში სერთიფიკატის გაცემის ერთ-ერთ პუნქტად ესეცაა გათვალისწინებული. საქართველოს უმაღლესი ლიგის კლუბების ნახევარზე მეტს კი საკუთარი სკოლა არ გააჩნია. "ნორჩი დინამოელი", 35-ე სკოლა, "XXI საუკუნე", "სულაქველიძის აკადემია" - ეს არასრული სიაა. ამ სკოლის ნებისმიერი გაზრდილით შეიძლება კარგი გუნდის ჩამოყალიბება.

გადასახადები პრობლემის ერთი მხარეა, მაგრამ არანაკლები პრობლემა ესეცაა: უმაღლესი ლიგის კლუბებთან სკოლების გაერთიანებას, ამ უკანასკნელთა მადის ზრდა მოჰყვება ხოლმე. ისინი კლუბებს უზარმაზარ თანხას სთხოვენ - 300 ათასს, ნახევარ მილიონს და ა.შ. არადა, მათი გაერთიანებით ქართული ფეხბურთი მხოლოდ მოიგებს.

დაბოლოს, თუ ეს ჩანაფიქრი განხორციელდა, დიდი აურზაურიც მოჰყვება. დანამდვილებით ვიცით, რომ ვილაც "ჭკუის კოლოფს" საქართველოში საუკეთესო საფეხბურთო აკადემია "ოლიმპის" ტერიტორიაზე ჩინელების დასახლება განუზრახავს. სკოლის ტერიტორიის ნაწილი, თურმე, უკვე გაყიდულია, ახლა ის ვიკითხოთ, რა ბედი ელის დანარჩენ ნაწილს. ფაქტია, რომ ამ ამბავმა მეტად უარყოფითი რეაქცია გამოიწვია. დავფიქრდეთ ამაზე, თუ უკვე გვიან არ არის...

**მერაბ მამულაშვილი**





გიორგი ადამია და ვალერი აბრამიძე

ლეგიონერი

# გიორგი ადამია რუმინეთისკენ?

## აგენტმა სტიაუა და რაპიდი შემომთავაზაო...

**გიორგი ადამია აზერბაიჯანში საუკეთესო სეზონს ატარებს. ის ბომბარდირებში მეორე ადგილზეა და, რაც მთავარია, ლამის ყველა შეხვედრაში ბაქოს "ნეფთჩის" რჩეულ მოთამაშეებს შორის ასახელებენ. რა არის ახალი მის ცხოვრებაში?**

**- გიორგი, წლევანდელი ჩემპიონატი ძალიან კარგად დაიწყეთ...**

- საერთოდ, გუნდი მოემზადა კარგად, თან სამი ძლიერი ფეხბურთელიც დავიმატეთ: თავდამსხმელი, მცველი და მეკარე. უფრო გავძლიერდით და ასეთ დროს, ნებისმიერი ფეხბურთელი უკეთესად წარმოჩნდება ხოლმე. მეორე წრეში ძალიან მძიმე თამაშები გველის, სამ-ოთხ გუნდს ერთნაირი ქულები გვაქვს და ჩემპიონობისთვის უნდა ვიომოთ.

**- რამდენად რეალურია, რომ აზერბაიჯანის ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი გახდეთ?**

- 8 გოლით მეორე ადგილზე ვარ და ცხადია, ბომბარდირობის დიდი სურვილიც მაქვს, მაგრამ ამ პერსპექტივას ეჭვის თვალით ვუყურებ.

**- რატომ?**

- იმიტომ, რომ თავდასხმაში არ მათამაშებენ. აქ ნახევარმცველად მაქციეს და ბომბარდირობა ძალიან გამიჭირდება. დიდი ხანია, ასეა და მეც არ ვარ უკმაყოფილო. სხვათა შორის, ნახევარდაცვაში თამაში კარგად გამომდის.

**- ხომ არ ესაუბრეთ მწვრთნელს იმაზე, თუ რა მიზეზით გადაგიყვანათ ნახევარდაცვაში?**

- არა, არ მისაუბრია. ეტყობა, გუნდს ამ პოზიციაზე უფრო ვჭირდები და ვალდებული ვარ, მწვრთნელის მითითებები შევასრულო. ვიმეორებ, ამ პოზიციაზე თამაშით უკმაყოფილო არ ვარ.

**- ასე მგონია, გაცილებით უკეთეს გუნდშიც შეძლებთ თამაშს და საწყენია, რომ აზერბაიჯანის ჩემპიონატს შემორჩით...**

- რა ვქნა, უკეთეს გუნდში ვერ გადავდივარ და... სხვა რა გამოსავალია?

**- ზამთარში ხომ ამბობდით, ხარკოვის "მეტალისტში" მიწვევენო?**

- იყო ამაზე საუბარი, მაგრამ მერე აღარავინ შემხმიანებია.

**- რამდენად მართალია, თითქოს რუმინეთში შეიძლება გადახვიდეთ?**

- რუმინელებთან მოლაპარაკება ახლაც მაქვს. ანთალიაში შეკრებაზე ვიყავით და რუმინულ "ოცელულთან" ამხანაგური მატჩი გავმართეთ. ეს გუნდი იქაურ ჩემპიონატში მეშვიდე ადგილზეა. კარგად ვითამაშე, მათ პრეზიდენტსა და მწვრთნელს მოვეწონე კიდეც. მაშინვე ევროპასპორტი და კონტრაქტი შემომთავაზეს, მაგრამ "ნეფთჩის" სატრანსფერო თანხა ეცოტავა და მოლაპარაკებაც ჩაიშალა. რუმინეთი ნორმალური საფეხბურთო ქვეყანაა და იქ თამაში ნამდვილად არ მაწყენდა, ის გუნდიც საკმაოდ ძლიერი იყო... მას შემდეგ, აგენტი მოვიდა და შემომთავაზა - ბუქარესტის "რაპიდში" ან "სტიაუაში" გადაგიყვანო, მაგრამ ორი დღის წინ "ნეფთჩისთან" კონტრაქტი კიდევ ერთი წლით გავაგრძელე.

**- კი, მაგრამ ასეთ გუნდებში მოხვედრის შანსი თუ გაგიჩნდა, რატომ იჩქარე?**

- შეიძლება, "ნეფთჩიმ" მაინც გამიშვას.

**- რომელიმე მათგანი იხდის ფულს?**

- ჯერ არ ვიცი. ფაქტია, "ოცელული" იმდენს ვერ იხდის, რომ "ნეფთჩი" დააკმაყოფილოს. ახლაც ველოდები იმ აგენტს. ვნახოთ, რა გამოვა.

**- რა მოგწონთ აზერბაიჯანულ ჩემპიონატში და რა არა?**

- ყველაზე კარგი რაც არის, მოედნებია. ისე, ალბათ, ყველაფერი დამაკმაყოფილებელია.

**- და გამოდის, რომ აზერბაიჯანის ჩემპიონატით უნდა დაკმაყოფილდეთ?**

- ჯერ სხვა გზა არ მაქვს. დაველოდები და ვნახოთ, დამიკავშირდებიან თუ არა რუმინელები.

**- აბა, კონტრაქტი რატომ გააფორმეთ? იქნებ, აზერბაიჯანელებმა სპეციალურადაც გაგიგრძელეს ხელშეკრულება, რათა ფული აიღონ? თავისუფალი აგენტისგან ხომ ვერაფერს მიიღებდნენ...**

- არა, ამ მიზეზით არა, უბრალოდ, უნდათ, რომ დავრჩე. თუ ზაფხულში რაიმე კარგი ვარიანტი გამოჩნდება, შეიძლება, გამიშვან.

**- ამ ზამთარს აზერბაიჯანში ბევრი ქართველი წავიდა, მაგრამ ვინ სად დარჩა, ბევრი არაფერია ცნობილი...**

- მარტო ამირან მუჯირის ამბავი ვიცი. ის "ბაქიში" დარჩა. დანარჩენებზე ვერაფერს გეტყვით.

**- როდემდე აპირებთ მანდ დარჩენას? ხომ ხედავთ, ნაკრებში აღარ გიწვევენ...**

- მაგას რა მნიშვნელობა აქვს? გამოძახება უნდოდეთ და, ვინ დაუშლით? საქმე ისაა, რომ ჩემით არც ინტერესდებიან.

**მერაბ მამულაშვილი**

| | წავიდნენ | მოვიდნენ |
|---|---|---|
| ოლიმპი | კიკნაძე, ზამთარაძე (მწვრთნელები, ტორპედო) რ. ონიანი (ზესტაფონი), ხოჯავა, ნაჭყეპია (ამერი), სირბილაძე (დინამო), მიმინოშვილი, მიქიაშვილი, ვ. კვარაცხელია, ხოხონიშვილი (ორივე- ბათუმი), გ. თოდუა (მგლები) | რ. ძოძუაშვილი (მწვრთნელი, ტორპედო) ვ. კილასონია (მწვრთნელი) მერლანი (ვეტრა, ლიტვა), რ. გოცირიძე (კამაზ, რუსეთი), არზიანი (რუბინი), ნავალოვსკი (დინამო) ჩხარტიშვილი (დინამო ერევანი), ბერუაშვილი (ტორპედო), ჭიჭველიშვილი (სიონი) |
| ვიტ ჯორჯია | დილმელაშვილი, ფეიქრიშვილი (ორივე - დინამო) | კიკნაძე (ბორჯომი), იმერლიშვილი (კახეთი) |
| ამერი | ჩანგელია (უკრაინა) კედელაშვილი (მერანი) | მესხი (ჩიხურა), ნაჭყეპია (ოლიმპი), კაკაშვილი (რილსკი, ბულგ.) |
| ზესტაფონი | იმედაძე (ტორპედო), თურმანიძე (ბათუმი), განუგრავა, ბ. გოცირიძე | რ. ონიანი (ოლიმპი), ლეანდრო, ჟონატასი |
| დინამო | ამბროზიო (გრემიო), ახალაია, ბაბუნაშვილი (სიონი), სტურუა (ჩიხურა), გრიგალაშვილი (ბორჯომი), მახარაძე (ჩიხურა) ნავალოვსკი , ნერგაძე (ბათუმი), გიგაური, ქუცურუა (ჩიხურა), დვალი (ჩიხურა) | დილმელაშვილი (ვიტ ჯორჯია) ზელიჩი (ავსტრალია, თავისუფალი აგენტი) კრშკო (ჟილინა), ფეიქრიშვილი (ვიტ ჯორჯია), სირბილაძე, სპასოევიჩი |
| ტორპედო | ძოძუაშვილი (მწვრთნელი, ოლიმპი), გამეზარდაშვილი (სკონტო) ბერუაშვილი (ოლიმპი) მ. ღონღაძე (ლოკომოტივი) | კიკნაძე, ზამთარაძე (მწვრთნელები), კ. კვეტენაძე, მერკვილაძე, ხურცილავა, გ. იმედაძე |
| სიონი | სიჭინავა, შავგულიძე, ბათიაშვილი, ჭიჭველიშვილი | მამალაძე (ჩიხურა), სილაგაძე, დარასელია (შახტიორი ყარაღანდა), ბაბუნაშვილი (დინამო), ექონია (ბათუმი), კორღალიძე, სანიკიძე, ორბელაძე |
| ლოკომოტივი | ყიფიანი, მხეიძე, ებანოიძე, ცხომარია, მენაბდე, მიხაილიდი, ალავერდაშვილი | სოსელია, წუწუნავა (ორივე - კახეთი) მალიჩავა, სამხარაძე (გაგრა) |
| ბორჯომი | ნკემი, მონგუე, ნაკანი (მერანი), მოდებაძე, კიკნაძე (ვიტ ჯორჯია), ბენდელიანი, ლაბაძე | კვერნაძე, კაიდარაშვილი, კოშკაძე (ბათუმი) ლ. მერებაშვილი (ჩიხურა) საყვარელიძე, მძინარიშვილი (ორივე დილა), გრიგალაშვილი (დინამო), კაკალაძე (ჩიხურა) |
| მერანი | — | კუტივაძე (მწვრთნელი), კედელაშვილი (ამერი), ა. ნოზაძე |
| ჩიხურა | ფეხბურთელთა აბსოლუტური უმრავლესობა | სტურუა, დვალი, ქუცურუა, ჩარგეიშვილი, მახარაძე (ყველა დინამო), მ. მიქაძე, დარჩიძე |
| ბათუმი | ა. მუჯირი (ბაქი), კოშკაძე (ბორჯომი), ნაჭყებია | კერესელიძე, ბარამიძე (დინამო 2), თურმანიძე (ზესტაფონი), შალამბერიძე (მეშაქრე) |
| დილა | ბეგიაშვილი (პრეზიდენტი), მამესწარაშვილი (მწვრთნელი) | ლურსმანაშვილი (პრეზიდენტი), ვარდოსანიძე, ელიაური (მწვრთნელები), დ. ხანიშვილი, კ. ხანიშვილი, ბ. ჩიტაია, გ. ჩიტაია, გონჩაროვი |
| კახეთი | იმერლიშვილი (ვიტ ჯორჯია), ცინაძე, სოსელია, წუწუნავა (ორივე - ლოკომოტივი) | კუპრაშვილი (გურჯაანი) მედოევი, ე. მერებაშვილი |


CDN კავკასიის ციფრული ქსელი
CAUCASUS DIGITAL NETWORK

CDN DSL ყველაზე სტაბილური ინტერნეტი;
CDN 55 ტელეფონის დადგმა;
CDN 8-66 კავშირი ყველგან და ყოველთვის;
GIGACARD ისაუბრე მეტი, გადაიხადე ნაკლები;
CDN ქსელების მონტაჟი და მომსახურება;

24 საათის განმავლობაში

სატელეფონო საუბრების წამობრივი აღრიცხვა!
მხოლოდ ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტექნოლოგიები!

ტელ.: 550 055, 259 555
cdn@cdn.ge www.cdn.ge



ფონტანამ კაკას პენალტი აუღო

იტალია. სერია A. XXVI ტური

# უდინეზედან უდინეზემდე

## პალერმო-მილანი ლაციოს სასარგებლოდ

სერია A-ს XXVI, ბოლო შუასაკვირაო ტური უხვი ფრეებით გამოირჩა. დღის ცხრა შეხვედრიდან ხუთში გამარჯვებული ვერ გამოვლინდა. მათ შორის იყო ტურის ყველაზე საინტერესო დაპირისპირება პალერმოში, რომელმაც, თავიდანვე ვთქვათ, იმედები ვერ გაამართლა – ვერც სანახაობრივად, ვერც სატურნირო ცხრილში ინტრიგის გაზრდის თვალსაზრისით. გამარჯვების შემთხვევაში "მილანი" ხუთ ქულამდე ამცირებდა სხვაობას "პალერმოსთან", რომელსაც ერთით მეტი შეხვედრა აქვს ჩატარებული. ამიტომ იყო, რომ კვირას გამარჯვების შემდეგ "მილანში" უკვე არა მეოთხე, არამედ მესამე ადგილზე დაიწყეს ფიქრი. სინამდვილეში, ის, ვინც ამ ფრით ყველაზე მეტად ისარგებლა, **დელიო როსის** "ლაციოა", რომელმაც ცუდად დაიწყო, მაგრამ შესვენებისას გონს მოეგო, "კატანია" თავის ადგილზე დააყენა და მეოთხე ადგილი კიდევ უფრო გაიმყარა.

**კარლო ანჩელოტის** მყარად ჰქონდა გადაწყვეტილი, პალერმოში სამი ქულისთვის მივდივართო. მაგრამ ისე მოხდა, რომ "მილანს" ტრავმებისა და **ოდოს** დისკვალიფიკაციის გამო, ერთბაშად რვა მცველი გამოაკლდა. თუმცა როგორც თამაშმა აჩვენა, პრობლემა ეს არ ყოფილა – იმპროვიზებულად გამოგონილმა დაცვამ (**ბროკი-შიმიჩი-ბონერა-ფავალი**) დავალებას თავი უშეცდომოდ გაართვა. პრობლემა წინ იყო, შეტევაში, სადაც ანჩელოტიმ ერთი **ჯილარდინო** გაამწესა, **რონალდო** კი სკამზე დატოვა – ფიზიკურად ჯერ არ არის ისეთ კონდიციაში, ყოველ სამ დღეში რომ ითამაშოსო.

პირველ ტაიმში "მილანმა" ისე ლაღად ითამაშა, რომ შეიძლება უკვირდა კიდეც მასპინძლებმა ამდენი თავისუფლება რომ მისცეს. "პალერმო" ძალიან დაბნეული ჩანდა: მთელი 45 წუთის განმავლობაში, სახიფათო მომენტი რა არის, კარის მიმართულებით ერთხელაც არ დაურტყამს. მასპინძლები შეტევაზე საერთოდ არ ფიქრობდნენ, თუმცა ვერც თავს იცავდნენ კარგად. მილანელები შეტევას იწყებდნენ და თვალისდახამხამებაში საჯარიმოში იყვნენ. სტუმართა მანევრების დირიჟორი **კაკა** იყო: ბრაზილიელს ყველაფერი გამოსდიოდა თავისი მრავალფეროვანი რეპერტუარიდან, იტყოდი - დღეს კაკას დღეაო. მაგრამ ერთი გამონაკლისით, რომელიც "მილანს" შეიძლება, ორ ქულად დაუჯდა: მე-7 წუთზე ჯილარდინოს წაქცევისთვის დანიშნული პენალტი (საკმაოდ საეჭვო) კაკამ ძალიან უემმაკოდ შეასრულა და ბურთი **ფონტანამ** მოუგერია. შეცდომის გამოსასწორებლად ბრაზილიელს ორჯერ დიდებული შანსი ჰქონდა: ერთხელ, როცა ბრწყინვალედ დაარტყა და ხარიხას ოდნავ ააცილა, და მეორედ, როცა პალერმოელ მცველებში თავისებური სლალომით გაძვრა და კარგად დაარტყა, მაგრამ ფონტანამ ისევ მოუგერია. ამის შემდეგ **ზეედორფი** შეიჭრა საჯარიმოში მარცხნიდან, ორი მცველი აქეთ-იქეთ მიყარა, ტყვიასავით გაისროლა და ბურთი ძელს გაარტყა. მაგრამ ჯილარდინო იყო უგზოუკვლოდ დაკარგული და შეიძლება ამიტომაც მოხდა, "მილანმა" პირველი ნახევარი უგოლოდ რომ დაასრულა. შესვენების შემდეგ კი მოედანზე სხვა "პალერმო" გამოვიდა. მასპინძლები ისე გააქტიურდნენ და ისეთი პრესინგი შესთავაზეს მეტოქეს, რომ "როსონერი" მთელ ენერგიას ჩაშლას ახმარდა და შეტევისთვის საერთოდ აღარ ეცალა. ოთხ წუთში **დი მიკელე დიდას** პირისპირ დარჩა, თუმცა ბურთი იღბლიანი რიკოშეტით მიუვიდა, რის გამოც სიტუაციაში უმალ ვერ გაერკვა და ააცილა. "როსონერის" მცველებს სამუშაო ძალიან კი მოემატათ, მაგრამ ერთი შეცდომაც არ დაუშვიათ. ბონერა უნაკლო იყო, მარცხენა მცველად მოთამაშე ბროკი წამით არ გაჩერებულა. საჭიროების შემთხვევაში უკანახაზელებს კაპიტანი **ამბროზინი** ეხმარებოდა. 70-ე წუთზე არაფრის მაქნისი ჯილარდინოს მაგივრად რონალდო გამოვიდა, მაგრამ დასამახსოვრებელი ბრაზილიელსაც არაფერი გაუკეთებია, თუ არ ჩავთვლით ერთ კურიოზულ ეპიზოდს, როცა მცველის მიერ მოგერიებული ბურთი ჯერ რონალდოს შუბლში მოხვდა, იქიდან კი პირდაპირ ზედა ძელს. შეხვედრის დასასრული "პალერმოსი" გამოდგა. ბოლო წამებზე დი მიკელეს გატანა შეეძლო, მაგრამ მეკარის საჯარიმოში შესულმა მახვილი კუთხიდან ძლიერად და არაზუსტად დაარტყა, 0:0.

რაც ეს წელიწადი დაიწყო, "რომასთვის" სტუმრად გამარჯვება მიუღწეველი გახდა (სამი ფრე და ერთი წაგება). თუმცა ეს ტრავმების (**მანსინი** და **ტადეი** დაშავებულები იყვნენ), უიღბლობის ან სხვა რაიმე არასაფეხბურთო ფაქტორების ბრალი არ არის. მიზეზი მარტივია: სხვის მოედანზე "რომა" ცუდად თამაშობს, თითქოს წაგების შიშით, გამარჯვებაზე ფიქრს ვერ ბედავს. სულ სხვაა ხოლმე **ლუჩანო სპალეტის** გუნდი "ოლიმპიკოზე". თუმცა არც "კიევოს" უნდა დავუკარგოთ დამსახურება. ვერონელებმა ბრწყინვალედ დაიწყეს და 33-ე წუთზე 2:0-ს პატიოსნად იგებდნენ. მე-17 წუთზე **სემიოლიმ** მარცხნიდან ორიგინალურად ჩააწოდა, **ბოგდანიმ** კი ბურთს თავი შეაგება და **დონისგან** მარჯვენა დაბალ კუთხეში შეაგდო. ალბანელი ფორვარდი **დელ ნერის** ხელში აშკარად გაიხსნა: წინა ტურში დუბლი შეასრულა, იანვარში "კიევოში" გადასვლამდე კი "სიენის" მაისურით მხოლოდ ორი ბურთი ჰქონდა გატანილი. 33-ე წუთზე **პელისიემ** ბურთი თავით გაუგრძელა სემიოლის, რომელიც მეკარის პირისპირ აღმოჩნდა და უპრობლემოდ გაიტანა, 2:0. ეს უკვე მეტისმეტიაო, ჩათვალა **ტოტიმ** და, როგორც ნამდვილმა კაპიტანმა, მეტოქისთვის პასუხის გაცემა საკუთარ თავზე აიღო. ორი წუთიც არ იყო გასული, როცა **პისაროს** კუთხურის შემდეგ, **კასეტიმ** ბურთი შორეულ ძელთან გადააგო, იქ კი ტოტიმ ნახტომში თავით ორი მეტრიდან შეაგდო. შესვენების შემდეგ სტუმრები მოედანზე უფრო გამოცოცხლებულები გავიდნენ და სამ წუთში გაათაბრეს: ტოტიმ ბურთი საჯარიმოს ხაზთან მიიღო, მცველს გაექცა და კარიდან გამოსულ მეკარეს ცაციათი გაუტანა. "რომას" კაპიტნისთვის ეს 141-ე გოლია სერია A-ში და მე-16 ამ ჩემპიონატში. "კიევო" მხოლოდ ამის შემდეგ მოვიდა გონს, შეტევები განაახლა და გატანაც შეეძლო, მაგრამ **მანდელისა** და სემიოლის დონიმ ორჯერ სასწაულით მოუგერია.

"ლაციო" კი ჩემპიონთა ლიგისკენ სვლას განაგრძობს. თუმცა გუშინ მოგებული 3:1 ზუსტად არ ასახავს იმას, რაც მოედანზე ხდებოდა. რომაელებმა კარგად მხოლოდ ბოლო ნახევარ საათში ითამაშეს და სტუმართა მცველების უყურადღებობა მაქსიმალურად გამოიყენეს. საინტერესოა, რომ მეორე წრეში "ლაციოს" ერთი გოლიც არ გაეშვა, "კატანიას" კი გაშვებული გოლების მიხედვით, ჩემპიონატის ყველაზე სუსტი დაცვა ჰყავს. შეხვედრა მასპინძლებმა შეტევებით დაიწყეს, მაგრამ მე-17 წუთზე, მათ საჯარიმოში მოწოდებული კუთხურის შემდეგ, **კოლუჩი** გაეპარათ და ბურთი საკუთარ კარში მიილეს. გოლი იმდენად მოულოდნელი აღმოჩნდა, რომ "ლაციო" თითქოს გაშეშდა და თამაშს თავი დაანება. "კატანიამ" კი მთელი გუნდით დაცვაში დაიხია და ანგარიშის შენარჩუნებას უპრობლემოდ ახერხებდა. ასე გაგრძელდა 60-ე წუთამდე, სანამ **პანდევმა** ზედიზედ ორი მცდელობით (პირველი მეკარემ მოუგერია) ანგარიში არ გაათანაბრა. ამის შემდეგ კი მასპინძლები გაიხსნენ და არაერთი ხიფათი შექმნეს, თუმცა სიცილიელების გატეხვა 87-ე წუთზე სტანდარტული მდგომარეობიდან შეძლეს: **ლედესმას** ჩაწოდებული საჯარიმოს შემდეგ **სივილია** ბურთს შორეულ ძელთან დახვდა და 2:1 გახდა. ბოლო დამატებულ წუთზე **როკიმ სოტილის** ბავშვური შეცდომით ისარგებლა და მესამეც გაიტანა.

ზედიზედ ოთხი გამარჯვების შემდეგ "ფიორენტინა" რეჯო კალაბრიაში წაგებას ბოლო წუთებზე გადაურჩა. მოსაწყენი პირველი ტაიმის შემდეგ, "რეჯინა" **ფოჯას** ულამაზესი გოლით დაწინაურდა. იანვარში "ლაციოსგან" ნათხოვარმა გარემარბმა თითქმის პირითი ხაზიდან გაიტანა. 87-ე წუთზე კალაბრიელმა **არონიკამ** საჯარიმოში ხელით ითამაშა და **მუტუმ** 11-მეტრიანით გაათანაბრა. "ემპოლიმ" "მესინა" დაიბრიყვა და მე-5 ადგილი შეინარჩუნა. "ტორინომ" ორშაბათს ძველი მწვრთნელი **ჯანი დე ბიაზი** დაიბრუნა და, ზედიზედ ექვსი წაგების შემდეგ, გამარჯვების გემო გაიხსენა. თუმცა ამაში დიდი წვლილი მიუძღოდა მეკარე **აბიატისაც**, რომელმაც არაერთხელ იხსნა კარი "კალიარის" შემოტევებისგან. აღსანიშნავია, რომ "კალიარიც" ორშაბათს დაბრუნებული მწვრთნელის **მარკო ჯამპაოლოს** ხელმძღვანელობით თამაშობდა. "სამპდორია" "ატალანტასთან" 0:1-ს აგებდა და მეორე ტაიმში გამოცოცხლდა: **ბაძანიმ** ერთწლიანი უგოლობის შემდეგ გაიტანა და 1:1 გახდა, 82-ე წუთზე კი არბიტრმა გენუელების სასარგებლოდ არარსებული პენალტი დანიშნა, რომელიც **ვოლპიმ** გამარჯვების გოლად გარდასახა. "სიენა"-"ლივორნოს" ტოსკანურ დერბიში მასპინძლებმა ბურთი ძელს სამჯერ გაარტყეს, მაგრამ გამარჯვებული მაინც ვერ გამოვლინდა. ნულოვანი ფრით დასრულდა ორი აუტსაიდერის, "ასკოლისა" და "პარმის" შეხვედრაც, თუმცა ერთ ეპიზოდში მსაჯმა სტუმრებს არარსებული თამაშგარისთვის აშკარა გოლი არ ჩაუთვალა.

დღის ბოლო მატჩში კი მნიშვნელოვანი ამბავი მოხდა: "ინტერის" მოგებათა თვალუწვდენელ სერიას წერტილი დაესვა. და სიმბოლურია, რომ ეს მოხდა იმ გუნდთან მატჩში, რომელთანაც პირველ წრეში ნათამაშები 0:0-ის შემდეგ, დაიწყო სწორედ "ნერაძურის" ფანტასტიკური მარში. არადა, გუშინდელი თამაშის წინ "უდინეზეს" მწვრთნელი **ალბერტო მალეზანი** ტრაბახობდა - "ინტერს" ჩვენ შევაჩერებთო. იცოდა ამ კაცმა, რასაც ამბობდა...

### კიევო-რომა 2:2

**კიევო:** სკუიცი-6.5, ფ. მორო-6, მანდელი-6.5, დ'ანა-5.5, მარკეზე-5.5 (75. მალაგო-6), სამარკო-6, მარკოლინი-6.5, ბრიგი-6, სემიოლი-6.5, ობინა-შ.გ (22. პელისიე-6), ბოგდანი-6.5 (65. კოცოლინო-6).

**რომა:** ა. დონი-6, კასეტი-5.5, მექსე-5.5, კიუუ-5.5 (76. მ. ფერარი-6), ტონეტო-5.5, დე როსი-6, პისარო-5, ვილჰელმსონი-6, პეროტა-6 (89. როზი-შ.გ), ტავანო-5 (61. ვუჩინიჩი-6.5), ტოტი-7.

**გოლები:** 1:0 ბოგდანი (17), 2:0 სემიოლი (33), 2:1 ტოტი (34), 2:2 ტოტი (48)

**გაფრთხილება:** 3-4; **კუთხური:** 8-2; **ჯარიმა:** 17-20; **თამაშგარე:** 5-9; **კარში დარტყმა:** 12-16 (8-8); **ბურთის ფლობა:** 37%-63%.

**მაყურებელი:** 5 500

### პალერმო-მილანი 0:0

**პალერმო:** ა. ფონტანა-7, ძაკარდო-6.5, ბიავა-6.5, ბარძალი-6.5, მ. პიზანო-6, გუანა-7.5, კორინი-შ.გ (8. სიმპლისიუ-6), დიანა-6, დი მიკელე-6, ბრეშანო-6 (70. ჯოვ. ტედესკო-6), კარაჩოლო-5.5 (69. მატუსიაკი-შ.გ).

**მილანი:** დიდა-6, შიმიჩი-6, ბონერა-6, ამბროზინი-6, ფავალი-6, ბროკი-6, გატუზო-6, პირლო-6, ზეედორფი-6 (71. გურკუფი-6), კაკა-6, ჯილარდინო-5.5 (71. რონალდო-6).

*მე-9 წუთზე კაკამ ვერ გაიტანა პენალტი (მეკარე)*

**გაფრთხილება:** 3-2; **კუთხური:** 2-1; **ჯარიმა:** 24-17; **თამაშგარე:** 5-2; **კარში დარტყმა:** 13-12 (4-7); **ბურთის ფლობა:** 32%-68%.

**მაყურებელი:** 25 361

### ლაციო-კატანია 3:1

**ლაციო:** ბალოტა-6, ბელერი-5.5 (40. მუდინგაი-7), სივილია-6, კრიბარი-5.5, ძაური-6, ბეჰრამი-6, მუტარელი-5, ლედესმა-5.5, მაური-5 (54. ხიმენესი-6), როკი-5.5, პანდევი-5.5 (75. ტარე-6.5).

**კატანია:** პანტანელი-6, სტოვინი-6, ვარგასი-6, ლუჩენტი-6.5, სოტილი-6, ჯ. კოლუჩი-6.5, კაზერტა-6, ბაიოკო-6, ედუსეი-6.5 (90. მორიმოტო-შ.გ), კორონა-6 (82. როსინი-შ.გ), მასკარა-5.5 (78. იცკო-შ.გ).

**გოლები:** 0:1 ჯ. კოლუჩი (17), 1:1 პანდევი (60), 2:1 სივილია (88), 3:1 როკი (90)

**გაფრთხილება:** 3-4; **კუთხური:** 11-7; **ჯარიმა:** 20-27; **თამაშგარე:** 1-5; **კარში დარტყმა:** 20-12 (8-6); **ბურთის ფლობა:** 60%-40%.

**მაყურებელი:** 22 000

### რეჯინა-ფიორენტინა 1:1

**რეჯინა:** კამპანიოლო-6, ლანძარო-6 (52. ჯოზა-6), ა. ლუკარელი-6, არონიკა-5.5, ამერინი-6, ტონიოცი-6.5, ჯაკ. ტედესკო-6.5, მოდესტო-6.5, ფოჯა-7 (74. მისიროლი-შ.გ), ვიჯანი-6.5 (90. ნარდინი-შ.გ), ბიანკი-6.

**ფიორენტინა:** ფრეი-6, უიფალუში-5.5, დაინელი-6, გამბერინი-5.5, პასკუალი-6, პაციენცა-6, მონტოლივო-5.5, ლივერანი-5.5 (65. პაცინი-6), იორგენსენი-5.5 (72. რეჟინალდო-6), ტონი-6, მუტუ-6.5 (88. ბლაზი-შ.გ).

**გოლები:** 1:0 ფოჯა (57), 1:1 მუტუ (87-პენ)

**გაფრთხილება:** 4-3; **კუთხური:** 5-3; **ჯარიმა:** 26-29; **თამაშგარე:** 4-1; **კარში დარტყმა:** 12-18 (8-10); **ბურთის ფლობა:** 49%-51%.

**მაყურებელი:** 8 000

### ემპოლი-მესინა 3:1

**ემპოლი:** ბალი-5, რაჯი-6.5, პრატალი-6, მარძორატი-7, ტოსტო-6.5, ალმირონი-6 (72. მარიანინი-შ.გ), დ. მორო-6 (72. ფიჩინი-შ.გ), ბუშე-6.5, ვანუკი-7, პოცი-6.5 (68. მატეინი-შ.გ), საუდატი-7.

**მესინა:** კალიონი-5, რეა-5.5, ძანკი-6, პარიზი-6 (60. იულიანო-6), ლავეკია-5.5, დე ვეცე-5, მაზიელო-5 (49. ალვარესი-6), კორდოვა-6 (87. პესტრინი-შ.გ), კანდელა-5.5, ჯალომბარდო-5.5, ფლოკარი-5.

**გოლები:** 1:0 საუდატი (14), 2:0 მარძორატი (35), 3:0 საუდატი (62), 3:1 ალვარესი (89)

**გაძევება:** დე ვეცე (55. მესინა)

**გაფრთხილება:** 1-2; **კუთხური:** 5-5; **ჯარიმა:** 15-18; **თამაშგარე:** 0-1; **კარში დარტყმა:** 15-7 (7-5); **ბურთის ფლობა:** 56%-44%.

**მაყურებელი:** 5 000

### სამპდორია-ატალანტა 2:1

**სამპდორია:** კასტელაცი-7.5, კ. ძენონი-5 (57. ჯ. დელვეკიო-6), ფალკონე-6, აკარდი-7.5, ბასტრინი-5 (67. პიერი-6), მაჯო-6.5, პალომბო-6.5, ვოლპი-6.5, დ. ფრანჩესკინი-5 (46. ციგლერი-6.5), ბაძანი-6, კვალიარელა-6.

**ატალანტა:** კალდერონი-6.5, რივალტა-6.5, ტალამონტი-6, ლორია-6.5, ბელინი-6, დეფენდი-7 (74. პინტუ-6), მილიაჩო-6.5, ტისონე-6.5, დონატი-5.5, ბომბარდინი-6 (63. არიატი-6), ვენტოლა-6.5 (80. ძამპანია-შ.გ).

**გოლები:** 0:1 ვენტოლა (8), 1:1 ბაძანი (71), 2:1 ვოლპი (83-პენ)

**გაფრთხილება:** 2-2; **კუთხური:** 9-2; **ჯარიმა:** 20-23; **თამაშგარე:** 1-1; **კარში დარტყმა:** 19-10 (11-6); **ბურთის ფლობა:** 51%-49%.

**მაყურებელი:** 10 000

### ტორინო-კალიარი 1:0

**ტორინო:** აბიატი-7, კომოტო-6, ლ. ბრევიო-6.5, ბოვო-7, ბალესტრი-6, გალო-6, ლაზეტიჩი-6.5 (83. ჩოფი-შ.გ), აბრუსკატო-5, არდიტო-6.5, მუცი-6 (59. დე აშენტისი-6), როზინა-6.5 (88. ოგურო-შ.გ).

**კალიარი:** ფორტინი-6, ფერი-6, ლოპესი-6.5, ბიანკო-6, აგოსტინი-5.5 (72. დელ გროსო-შ.გ), ა. დ'აგოსტინო-5.5 (46. პეპე-6.5), კონტი-6.5, ლ. კოლუჩი-6.5, ბიონდინი-6 (61. მარკინი-6), კაპონე-6.5, სუასო-6.

**გოლი:** 1:0 ბოვო (23)

**გაძევება:** არდიტო (90. ტორინო)

**გაფრთხილება:** 2-3; **კუთხური:** 4-10; **ჯარიმა:** 37-22; **თამაშგარე:** 3-2; **კარში დარტყმა:** 11-9 (5-9); **ბურთის ფლობა:** 42%-58%.

**მაყურებელი:** 15 000

### ასკოლი-პარმა 0:0

**ასკოლი:** ელეფთეროპულოსი-6.5, კორალო-6, მელარა-6, ნასტასე-6, ვასტოლა-5.5, პ. ძანეტი-6, ბონანი-6, პეშე-6 (82. ჯამპა-შ.გ), გუბერტი-5 (59. ნ'სიაბამფუმუ-5.5), სონჩინი-6, პაოლუჩი-5.5 (75. პერული-შ.გ).

**პარმა:** ბუჩი-7, ბოკეტი-6 (63. გასბარონი-6), პაჩი-6, ფერნანდო კოუტუ-6, კონტინი-6, კოლი-6, დესენა-5 (62. პიზანუ-6), გრელა-7, პარავიჩინი-6, როსი-5 (46. მუსლიმოვიჩი-5.5), ბუდანი-5.5.

**გაძევება:** ბონანი (58. ასკოლი)

**გაფრთხილება:** 2-1; **კუთხური:** 7-6; **ჯარიმა:** 19-25; **თამაშგარე:** 0-7; **კარში დარტყმა:** 11-17 (2-9); **ბურთის ფლობა:** 40%-60%.

**მაყურებელი:** 4 800

### სიენა-ლივორნო 0:0

**სიენა:** მანინგერი-6, ბერტოტო-6, პორტანოვა-6, გასტალდელო-6, მოლინარო-6.5, ანტონინი-6.5, კოდრეა-6 (87. ერიომენკო-შ.გ), ვერგასოლა-6.5, კოცა-7 (66. ლოკატელი-6.5), ფრიკი-5.5 (66. კორვია-6.5), მაკარონე-6.

**ლივორნო:** ამელია-5.5, გრანდონი-6.5, რეზაეი-6, გალანტე-6, პფერტცელი-5 (63. ა. ფილიპინი-6), პასკუალე-5.5, კოპოლა-5.5 (60. მორონე-6), პასონი-6, სეზარი-5, პაულინიო-5.5 (77. ვიდიგალი-შ.გ), კ. ლუკარელი-5.5.

**გაფრთხილება:** 1-2; **კუთხური:** 10-1; **ჯარიმა:** 17-16; **თამაშგარე:** 4-1; **კარში დარტყმა:** 22-11 (7-2); **ბურთის ფლობა:** 62%-38%.

**მაყურებელი:** 7 000

### ინტერი-უდინეზე 1:1

**ინტერი:** ჟულიო სეზარი-6.5, მაიკონი-6, კორდობა-6, ბურდისო-6, მატერაცი-5.5, გროსო-6 (86. გონსალესი-შ.გ), ხ. ძანეტი-5.5, სოლარი-5 (61. მაქსველი-6), ფიგუ-6, ადრიანო-6 (36. კრესპო-6.5), იბრაჰიმოვიჩი-5.5.

**უდინეზე:** დე სანქტისი-7, საპატა-6, ნატალი-6.5, კოდა-6, მოტა-6 (75. ზაპოტოჩნი-შ.გ), პინცი-6, ობოდო-7, მუნტარი-6, დოსენა-5.5, გიანი-6 (79. გ. დ'აგოსტინო-შ.გ), დი ნატალე-5 (71. სიკეირა-შ.გ).

**გოლები:** 0:1 ობოდო (47), 1:1 კრესპო (66)

**გაფრთხილება:** 2-2; **კუთხური:** 9-2; **ჯარიმა:** 16-14; **თამაშგარე:** 4-4; **კარში დარტყმა:** 15-8 (9-2); **ბურთის ფლობა:** 49%-51%.

**მაყურებელი:** 42 139

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ინტერი | 25 | 21 | 4 | 0 | 55-20 | 67 |
| 2. რომა | 25 | 16 | 5 | 4 | 51-20 | 53 |
| 3. პალერმო | 26 | 13 | 6 | 7 | 41-30 | 45 |
| 4. ლაციო | 25 | 12 | 7 | 6 | 40-19 | 40 |
| 5. ემპოლი | 25 | 10 | 8 | 7 | 24-22 | 38 |
| 6. მილანი | 25 | 12 | 9 | 4 | 33-21 | 37 |
| 7. სამპდორია | 25 | 9 | 6 | 10 | 33-32 | 33 |
| 8. ფიორენტინა | 25 | 14 | 5 | 6 | 39-22 | 32 |
| 9. უდინეზე | 25 | 8 | 8 | 9 | 29-33 | 32 |
| 10. ატალანტა | 25 | 7 | 10 | 8 | 39-36 | 31 |
| 11. კატანია | 26 | 8 | 7 | 11 | 34-48 | 31 |
| 12. ლივორნო | 25 | 6 | 10 | 9 | 24-35 | 28 |
| 13. სიენა | 25 | 5 | 12 | 8 | 23-29 | 26 |
| 14. ტორინო | 25 | 6 | 7 | 12 | 19-34 | 25 |
| 15. კიევო | 25 | 5 | 8 | 12 | 27-35 | 23 |
| 16. კალიარი | 25 | 4 | 11 | 10 | 18-29 | 23 |
| 17. რეჯინა | 25 | 8 | 8 | 9 | 30-34 | 21 |
| 18. მესინა | 25 | 4 | 8 | 13 | 25-42 | 20 |
| 19. პარმა | 25 | 3 | 8 | 14 | 20-43 | 17 |
| 20. ასკოლი | 25 | 2 | 8 | 15 | 18-37 | 15 |

**ბომბარდირები:** 16 - ტოტი (რომა); 13 - ტონი (ფიორენტინა); 12 - ბიანკი (რეჯინა), მუტუ (ფიორენტინა), სპინეზი (კატანია); 11 - იბრაჰიმოვიჩი (ინტერი), როკი (ლაციო); 10 - კრესპო (ინტერი), კ. დონი (ატალანტა), იაკუინტა (უდინეზე), კ. ლუკარელი (ლივორნო), კვალიარელა (სამპდორია); 9 - ბუდანი (პარმა), რიგანო (მესინა).

### მომდევნო ტური

**3 მარტი.** ლივორნო-ინტერი, ასკოლი-რომა, მილანი-კიევო. **4 მარტი.** კალიარი-ატალანტა, უდინეზე-ემპოლი, მესინა-პალერმო, პარმა-რეჯინა, ლაციო-სამპდორია, კატანია-სიენა, ფიორენტინა-ტორინო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეალი. მოსალოდნელი ტრანსფერები

# კრისტიანო რონალდო სარეკორდო ფასად

## ალექსისი პირველი მერცხალია. მას კაკა და სესკ ფაბრეგასი უნდა მოჰყვნენ



კრისტიანო რონალდო: ევროპის სატრანსფერო სპეკულაციების უმთავრესი გმირი

"რეალი" მზადაა, **კრისტიანო რონალდო** სატრანსფერო ბაზრისათვის სარეკორდო თანხად შეიძინოს. რეკორდი ჯერჯერობით **ზინედინ ზიდანს** ეკუთვნის. 2001 წელს "რეალმა" "იუვენტუსს" მის სანაცვლოდ 65 მილიონი დოლარი გადაუხადა. და აი, სამეფო კლუბი მორიგ რეკორდს უმიზნებს. თანხა ჯერ არ სახელდება, მაგრამ ადასტურებენ, რომ საჭიროების შემთხვევაში 65 მილიონზე მეტს დახარჯავენ. რონალდოს შეძენა "ბარსელონასაც" სურს. "რეალი" კი ყველაზე პრინციპულ მეტოქესთან სატრანსფერო ომის წაგებას არ აპირებს.

რას ფიქრობს "იუნაიტედი"? "ეშმაკები" ყველა საჯარო თუ პრივატულ საუბარში ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ კრისტიანოს გაყიდვა არ იგეგმება. შესაძლოა, დიდი თანხა შესთავაზონ, მაგრამ გლეიზერები ცდუნებას არ აჰყვებიან. ამ ვითარებაში არანაკლებ მნიშვნელოვანია, თუ რა პოზიციას დაიკავებს უშუალოდ ფეხბურთელი. დღემდე რონალდოს ერთხელაც კი არ უცდია სპეკულაციების უარყოფა. მასთან დაახლოებული წყაროები კი გვარწმუნებენ, რომ ფეხბურთელს სწორედ "რეალში" გადაბარგება სურს.

მადრიდელთა სატრანსფერო ამბიციები ამით არ ამოიწურება. "რეალს" "არსენალის" საყრდენი ნახევარმცველი **სესკ ფაბრეგასიც** სურს. "მარკა" გვამცნობს, რომ პრეზიდენტი **რამონ კალდერონი** ფეხბურთელის აგენტს, **ხოსება დიასს** ესაუბრა. შეხვედრა "რეალი"-"ბაიერნის" მატჩის დასრულებისთანავე გაიმართა. კალდერონმა დიასს ამცნო, რომ "არსენალს" რამდენიმე ფეხბურთელს შესთავაზებენ, თუ "მეთოფეები" უარს იტყვიან, "რეალი" 25 მილიონ გირვანქას გაამზადებს. გუშინ ფაბრეგასმა კიდევ ერთხელ განაცხადა, რომ ლონდონში საუცხოოდ გრძნობს თავს და კლუბის გამოცვლას არ აპირებს.

"რეალი" არა მხოლოდ შეძენას, არამედ გაყიდვასაც აპირებს. სავარაუდოდ, ახალი სამსახურის მოძებნა მოუწევს **რობინიოს**. მადრიდელი მას 12 მილიონ გირვანქად აფასებენ. ბრაზილიელი თავდამსხმელი "მანჩესტერ იუნაიტედსა" და "არსენალს" სურთ. ცნობისთვის, "მენიუს" თავკაცი **სერ ალექს ფერგიუსონი** რობინიოს იმ დროიდან აკვირდება, როცა ეს უკანასკნელი "სანტოსში" ბრწყინავდა.

შეიძლება, "რეალი" დატოვოს **რუუდ ვან ნისტელროიმ**. "დიარიო სპორტი" ამბობს, რომ თავდამსხმელზე დამთრგუნველად იმოქმედა იანვარში განვითარებულმა მოვლენებმა - **რონალდოს** აბარგებამ და **დევიდ ბექჰემის** თავს გადამხდარმა ამბებმა (ორი თვის განმავლობაში ინგლისელი გალაქტიკოს მინდორს არ აკარებდნენ). ამავე დროს, ვან ნისტელროის არ მოსწონს, რომ **ფაბიო კაპელოს** სქემატურ ფეხბურთში თავისუფლება შეზღუდული აქვს. მართალია, მწვრთნელებს პრეტენზიები არ გამოუთქვამთ, მაგრამ ფეხბურთელს პროფესია სიამოვნებას აღარ ანიჭებს. რუუდის კარიერა დასასრულს უახლოვდება. ფეხბურთელს სურს, ეს წლები უფრო ხალისიანად გაატაროს. ვან ნისტელროის სიამოვნებით დაიბრუნებს "ეინდჰოვენი". აქვე გეტყვით, რომ ბოლო 13 მატჩში ფორვარდმა მხოლოდ სამი გოლი გაიტანა, ეს იმ დროს, როცა მადრიდული კარიერის დასაწყისში, პირველ ათ მატჩში რვაჯერ გამოიჩინა თავი.

აქვე, უკვე განხორციელებული ტრანსფერის შესახებ გეტყვით. "რეალის" გენერალურმა მენეჯერმა **პრედრაგ მიატოვიჩმა** საზოგადოებას ხეტაფელი **ალექსის რუანო დელგადოს** გადაბირების შესახებ ამცნო. 21 წლის ნახევარმცველი პირენეულ გრანდში 30 ივნისს ჩაირიცხება და იქ ხუთ სეზონს გაატარებს. დაუდასტურებელი ინფორმაციით, სერბი საფეხბურთო ფუნქციონერი "ხეტაფეს" პრეზიდენტ **ანხელ ტორესს** 8 მილიონ ევროზე გაურიგდა. აღსანიშნავია, რომ სენიორ ტორესმა ალექსისი გასული წლის აგვისტოში შეიძინა. მაშინ მხარეებმა ორწლიანი კონტრაქტი გააფორმეს. "ხეტაფეს" უმაღლეს ხელისუფალს ახალგაზრდა ნიჭიერი მოთამაშის გაშვება არ უნდოდა, მაგრამ იმ მნიშვნელოვან გარემოებას აცნობიერებდა, რომ სულ რაღაც ერთი წლის შემდეგ დელგადო თავისუფალი აგენტის სტატუსით აღიჭურვებოდა და "ელ კოლისეუმს" ყოველგვარი საკომპენსაციო თანხის გარეშე დატოვებდა. მოკლედ, ანხელ ტორესმა თადარიგი დაიჭირა და სარფიანი ხელშეკრულება გააფორმა.

ალექსის რუანო დელგადოს სახელი ფართო საზოგადოებისთვის კარგად ნაცნობი არ იქნება. მას ალბათ მხოლოდ პრიმერა დივიზიონის თავგადაკლული ფანები იცნობენ. ის ახლა უკვე მსოფლიო ფეხბურთის ერთ-ერთი გიგანტის მოთამაშე გახდა, ამიტომ მოგახსენებთ, რომ ელიტურ ესპანურ ლიგაში 68 შეხვედრა აქვს ჩატარებული. ალექსის ანგარიშზე მხოლოდ 4 გოლი მოდის. დაგვეთანხმებით, არცთუ შთამბეჭდავი მაჩვენებელია, მაგრამ მიატოვიჩი დარწმუნებულია, რომ ხეტაფელი "სანტიაგო ბერნაბეუზე" ფრთებს გაშლის და გაცილებით პროდუქტიულად იასპარეზებს.

სტატიას მიატოვიჩის სიტყვებით დავასრულებთ: *"ყველაფერს ვილონებთ, რომ სეზონი ღირსეულად დავასრულოთ. თუ მოვლენები ჩვენთვის არასახარბიელო შედეგით დამთავრდება, ფარხმალს არ დავყრით და შემადგენლობას მნიშვნელოვნად გავაძლიერებთ. საკმარისად მყარი ფინანსური მდგომარეობა გვაქვს იმისთვის, რომ საუკეთესო ვარსკვლავები ჩავიგდოთ ხელში. ამ ეტაპზე გვარების დასახელებისგან თავს შევიკავებ, თუმცა, მერწმუნეთ, საუკეთესოებში თანამედროვე ფეხბურთის კაშკაშა ვარსკვლავებს ვგულისხმობ. ვიმეორებ, ამ სეზონში ბოლომდე ვიბრძოლებთ, თუმცა, თუ დასახულ ამოცანებს ვერ გადავჭრით, ბედს არ შევეგუებით და დანაკლისს გაისად ავინაზღაურებთ."*

ჰამბურგი

# ტროხოვსკი: ბაიერნი? არავითარ შემთხვევაში!

## ნახევარმცველმა ჰამბურგთან კონტრაქტი 2011 წლამდე გააგრძელა

ორიოდ დღის წინ გაცნობეთ, რომ "ბაიერნის" მესვეურებმა **პიოტრ ტროხოვსკის** მიუნხენში დაბრუნების სურვილი გამოთქვეს. როგორც იცით, ნახევარმცველი, რომელიც ამჟამად "ჰამბურგის" ღირსებას იცავს, 2002-იდან 2004 წლამდე მიუნხენურ კლუბში თამაშობდა. მაგრამ HSV-ს 22 წლის ნახევარმცველმა გუშინ ჩრდილოგერმანულ კლუბთან კონტრაქტი ვადამდე ადრე გააგრძელა, მის ახალ ხელშეკრულებას ვადა 2011 წლამდე აქვს.

*"მიხარია, რომ ტროხოვსკისთან შეთანხმებას მივაღწიეთ. მიუხედავად სამი მოგებისა, მაინც არასახარბიელო სიტუაციაში ვართ და სიმართლე გითხრათ, არ მეგონა, რომ კონტრაქტის გაგრძელებას ასე მალე დათანხმებოდა, თანაც როგორც შევიტყვეთ, მისი გადაბირება "ბაიერნს" სურდა. ტროხოვსკი "ჰამბურგისთვის" ძალიან მნიშვნელოვანი ფიგურაა."* - აცხადებს გუნდის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე **ბერნდ ჰოფმანი**.

ტორხე რეკორდმაისტერიდან "ჰამბურგში" 2005 წლის ზამთარში გადავიდა. მიმდინარე სეზონში მან 19 თამაშში მიიღო მონაწილეობა, ორი გოლი გაიტანა და 4 საგოლე გადაცემა გააკეთა. *"არ ვიცი, რამდენად შეესაბამებოდა სიმართლეს ის ინფორმაცია, რომლის მიხედვითაც "ბაიერნის" ხელმძღვანელებს ჩემი დაბრუნება სურდათ, რადგან პირადად ჩემთვის არავის მოუმართავს, მაგრამ ფაქტია, რომ მე პრიორიტეტს "ჰამბურგს" ვანიჭებ. არც მაინტერესებს, მართლა უნდოდათ თუ არა მიუნხენური გუნდის შეფებს ჩემი შეძენა."* - ეს სიტყვები კი თვითონ ფეხბურთელს ეკუთვნის.

გერმანიის თასი

# კლევერი, პენალტების დამჭერი

## ნიურნბერგს სათადარიგო მეკარემ უშველა

იმის გამო, რომ გრანდები გერმანიის თასს ადრეულ ეტაპზე გამოეთიშნენ (მეოთხედფინალს ვერც "ბაიერნმა" მიაღწია, ვერც "ვერდერმა" და ვერც "შალკემ"), გუშინწინ ნახევარფინალში გასასვლელად პატარებმა იბრძოლეს. ყველაზე დიდ ინტერესს "ნიურნბერგისა" და "ჰანოვერის" მატჩი იწვევდა. მატჩის ძირითადი და დამატებითი დრო ნულოვანი ფრით დასრულდა, პენალტების სერია კი ნიურნბერგელებმა მოიგეს. საინტერესო ის გახლდათ, რომ 119 წუთის მანძილზე ფრანკების კარს მათი ძირითადი მეკარე **რაფაელ შეფერი** იცავდა, ხსენებულ დროს კი ჭკუის კოლოფმა **ჰანს მაიერმა** (ფრანკების მწვრთნელია), მიხვდა რა, რომ გამარჯვებულის გამოსავლენად აუცილებლად თერთმეტმეტრიანების სერია გახდებოდა საჭირო, შეფერი მოედნიდან გაიყვანა და მის ნაცვლად კარში სათადარიგო მეკარე **დანიელ კლევერი** ჩააყენა. იმიტომ, რომ ეს უკანასკნელი პენალტების მოგერიების უბადლო ოსტატია. მან მერვედფინალში, "უნტერჰახინგთან" 4 პენალტის მოგერიება შეძლო.

კლევერმა "რკინის ჰანსს" იმედები არ გაუცრუა და ჰანოვერელებს ორი თერთმეტმეტრიანი აუღო. სათადარიგო მეკარემ **შრიოტერისა** და **შტაინერის** დარტყმები მოიგერია - "წითლებიდან" მხოლოდ **ჩერუნდოლომ** და **ვინიციუსმა** გაიტანეს. ფრანკებმა კი ოთხივე პენალტი შესაშურად შეასრულეს და "ნიურნბერგი" 25 წლიანი პაუზის შემდეგ გერმანიის თასის ნახევარფინალში პირველად გავიდა. ამ გამარჯვებისთვის "ნიურნბერგის" ფეხბურთელები გუნდისგან პრემიის სახით 400 ათასი ევროს მიიღებენ (თითოეულისთვის 20 ათასია გამზადებული). "ვოლფსბურგმა" საკუთარ მოედანზე 2:0 მოუგო აახენის "ალემანიას" (გოლები: **კლიმოვიჩი, მარსელინიო**), ფრანკფურტის "აინტრახტმა" კი გასვლაზე, მეოთხედფინალში როგორღაც გამძვრალი მეორებუნდესლიგელი "ოფენბახი" დაამარცხა (3:0, დუბლი შეასრულა **ტაკაჰარამ**, ერთი გოლი კი **ფინკმა** გაიტანა). სხვათა შორის, "ოფენბახში" **კლაუს ტოპმიოლერის** ვაჟი, **დინო** თამაშობს (თავდამსხმელია). "აინტრახტთან" მან 90 წუთი ითამაშა, მაგრამ ვერაფერი გააწყო.



არიგო საკი

დაპირისპირება

# არიგო საკი: რონალდოსავით ზარმაცი არავინ მინახავს

## სამეფო კლუბის ყოფილმა გენერალურმა დირექტორმა შარშანდელ რეალში არსებულ სიტუაციას ფარდა ახადა...

**არიგო საკი** შესაძლებლობას არ უშვებს ხელიდან, რომ მადრიდის "რეალს" კბილი გაჰკრას. არადა, არცთუ დიდი ხნის წინ ის სამეფო კლუბში გახლდათ დასაქმებული. ყოველივე ამის გათვალისწინებით იტალიელი საფეხბურთო მოღვაწის ქმედებები ერთობ არადელიკატურად გამოიყურება. "დიარიო ასის" გუშინდელ ნომერში საკის მოკლე ინტერვიუ გამოქვეყნდა."რეალის" ყოფილმა გენერალურმა დირექტორმა რამდენიმე საკითხზე ისაუბრა. მკითხველების ყველაზე დიდი ინტერესი იმ მონაკვეთმა გამოიწვია, რომელიც პირენეული გრანდის ადმინისტრაციასა და ფეხბურთელების თავგასულობას ეხებოდა: *"მადრიდში უცნაური მეთოდებით მუშაობდნენ. ზოგს ვირებივით ტვირთავდნენ, ზოგს კი ხმის გაცემასაც ვერ უბედავდნენ. იშვიათად მინახავს ისეთი არადისციპლინირებული ფეხბურთელი, როგორიც რონალდოა. ამავდროულად, ბრაზილიელს პლანეტის ერთ-ერთ ყველაზე ნიჭიერ მოთამაშედ მივიჩნევ. თუმცა მხოლოდ ნიჭი არაფერს ნიშნავს. წარმოდგენა არ მაქვს, რატომ აძლევდნენ ნაზარიო და ლიმას თავზე გასვლის უფლებას. ის ვარჯიშობდა მხოლოდ იმისთვის, რომ უნდა ევარჯიშა. არავითარი თავგანწირვა. სამწვრთნელო კარიერის განმავლობაში არაერთი წარმატებისთვის მიმიღწევია. ამით იმის თქმა მსურს, რომ ფეხბურთში რაღაც გამეგება. მერწმუნეთ, რონალდოსავით ზარმაცი მოთამაშე სხვაგან არსად მინახავს. ცხადია, ამას ყველა ამჩნევდა, მაგრამ სამხრეთამერიკელს შენიშვნასაც კი არ აძევდნენ. სხვათა შორის, ზიდანი და ბექჰემიც გათამამებულები ჰყავდათ. ვერ ვიტყვი, რომ ისინი არ ვარჯიშობდნენ, თუმცა ისიც ფაქტია, რომ ზიზუსა და ბექსს სხვებზე გაცილებით მეტი უფლება ქონდათ. შეეძლოთ, ვარჯიშზე იმდენჯერ დაეგვიანათ, რამდენჯერაც თავად მოისურვებდნენ. ამ დროს კი რაულ ბრავოს ანალოგიური საქციელისთვის ტყავს გააძრობდნენ."*

**რონალდოს** საკის გამოხდომაზე კომენტარი არ გაუკეთებია, მაგრამ ბრაზილიელის ხასიათის გათვალისწინებით, შეგვიძლია დაგარწმუნოთ, რომ იგი ბატონ არიგოს პასუხს პირველივე შესაძლებლობისთანავე გასცემს.

# ბლატერმა ინგლისს ცივი შხაპი გადაასხა

ფიფას პრეზიდენტმა **ზეპ ბლატერმა** მსოფლიოს 2018 წლის ჩემპიონატის მასპინძლობაზე ფავორიტად ჩრდილოეთ ამერიკის კონტინენტი (აშშ, მექსიკა, კანადა) დაასახელა. ამ საკითხს ის დიდი ბრიტანეთის ფინანსთა მინისტრ **გორდონ ბრაუნთან** (დიდი ალბათობით, პრემიერის პოსტზე **ტონი ბლერის** შემცვლელი) შეხვედრამდე განიხილავდა. ფაქტობრივად, ფიფას ბოსმა ინგლისელთა სამუნდიალო პრეტენზია სერიოზული ეჭვის ქვეშ დააყენა. ცხადია, ალბიონელები ამას ასე ადვილად შეეგუებიან, მაგრამ რა უნდა ქნან რო?

*"ფიფას აღმასკომმა გადაწყვიტა, განაგრძოს კონტინენტების როტაცია, მაგრამ მხოლოდ 2014 წლის ჩათვლით. ახლა იმაზე უნდა ვიმსჯელოთ, შეეხება თუ არა ეს როტაცია ყველა კონფედერაციას, თუკი 2018 წლის მუნდიალს კონკაკაფ-ის (ჩრდილოეთ ამერიკა და კარიბის ზღვის ზონა) რომელიმე ქვეყანა უმასპინძლებს"* - თქვა ზეპმა.

იქვე, მან მიანიშნა, რომ არ გამორიცხავს, 2018 წელს მსოფლიო ჩემპიონატი რომელიმე აზიურ ქვეყანაშიც ჩატარდეს: *"შეიძლება, აღმასკომმა გადაწყვიტოს, რომ ამერიკის კონტინენტი მხოლოდ ერთ-ერთ ვარიანტად იქნას განხილული. შემდეგ კი, როტაციის მიხედვით, ჯერი სწორედ აზიაზე მიდგება".*

ბლატერს, მუნდიალის მასპინძლობისთვის, ძლიერ კანდიდატებად ჩინეთი და ავსტრალიაც მიაჩნია.

ზენიტი

# 20 მილიონი ტიმოშჩუკში?

## სარეკორდო ტრანსფერი რუსეთისათვის



რუსეთის უძვირფასესი ფეხბურთელი ანატოლი ტიმოშჩუკი ანდრეა პირლოს წინააღმდეგ

სანკტ პეტერბურგის "ზენიტმა" რუსული ფეხბურთისათვის სარეკორდო ტრანსფერი სრულყო. მან დონეცკის "შახტიორისა" და უკრაინის ნაკრების ვარსკვლავი **ანატოლი ტიმოშჩუკი** 20 მილიონ დოლარად შეიძინა. კლუბის ოფიციალურ ვერგვერდზე ვკითხულობთ, რომ ფეხბურთელმა ოთხწლიან კონტრაქტზე მოაწერა ხელი. მისი ხელფასის ოდენობა არ გახმაურებულა. ტიმოშჩუკი 27 წლისაა. ის შარშანდელი მუნდიალის მონაწილეა. რუსული სააგენტოების ცნობით, ტიმოშჩუკი "შახტიორში" ყოფნის დროსაც პოსტსაბჭოურ სივრცეში ყველაზე მაღალანაზღაურებადი ფეხბურთელი იყო. მოთამაშის ტრანსფერის გარდა, ორმა კლუბმა ხელი მოაწერა შეთანხმებას თანამშრომლობის შესახებ. თანამშრომლობა გულისხმობს მწვრთნელთა სტაჟირებას, ერთობლივი შეკრებებისა და ამხანაგური მატჩების ორგანიზებას.

დეკემბერში "ზენიტმა" კიდევ ერთი სატრანსფერო რეკორდი დაამყარა. მან ყაზანის "რუბინიდან" არგენტინელი თავდამსხმელი **ალეხანდრო დომინგესი** 7 მილიონ დოლარად შეიძინა. აქამდე ერთ რუსულ კლუბს მეორისთვის ამხელა თანხა არასოდეს გადაუხდია. დასასრულს იმასაც შეგახსენებთ, რომ "ზენიტის" მფლობელია რუსული გიგანტი "გაზპრომი", რომელიც ამავე დროს გელზენკირხენის "შალკეს" უმთავრესი სპონსორი გახლავთ.

გაურკვევლობა

# სად არის ფოგთსი?

## გერმანელმა ნიგერიაში ჩასვლაზე უარი თქვა. ხელფასი არ გადაუხადესო...

ნიგერიის ნაკრებში გაურკვევლობაა. გუნდის ახალი თავკაცი **ბერტი ფოგთსი** ამ აფრიკულ სახელმწიფოში სამშაბათს უნდა ჩასულიყო და სამუშაოს შესდგომოდა, მაგრამ ის არც სამშაბათს გამოჩენილა და არც ოთხშაბათს. უფრო მეტიც, ოთხშაბათ საღამოს ნიგერიის ფეხბურთის ფედერაციის შტაბბინაში დარეკა და თქვა, რომ პერსონალური მიზეზების გამო ჩასვლას ვერ ახერხებს. ასეთია ინფორმაცია, რომელსაც ფედერაციის პრესსამსახური ავრცელებს, მაგრამ ნიგერიულ მედიას მომხდართან დაკავშირებით განსხვავებული ვერსია აქვს. მათი მტკიცებით, ფედერაციამ ფოგთსსა და ახალ სამწვრთნელო შტაბს პირველი თვის ხელფასი არ გადაუხადა. ჰერ ბერტისთვის ცნობილი იმ მავნე პრაქტიკის შესახებ, რომელსაც ნიგერიელები უკვე მრავალი წელია, მისდევენ. ამ ქვეყანაში მომუშავე სპეციალისტების უმრავლესობა კუთვნილ ფულს იქამდე ვერ ილებს, სანამ ფიფაში არ იჩივლებს, ფიფა კი ნიგერიელებს სანქციებით არ დაემუქრება ხოლმე. ფოგთსს უსიამოვნებები არ სჭირდება. ამიტომ, როგორც კი პრობლემა იყნოსა, ვიზიტისაგან უმალ თავი შეიკავა.

ფოგთსმა ნიგერიელებთან ოთხწლიანი კონტრაქტი გააფორმა. მან ასისტენტებად წარსულში სახელგანთქმული გერმანელი ფეხბურთელები, **თომას ჰესლერი** და **ული შტაინი** მიიწვია. ჰერ ბერტიმ ყოველთვიურად 50 ათასი დოლარი უნდა მიიღოს. მედიის ინფორმაციას დაუყოვნებლივ გამოეხმაურა ფედერაციის ოფიციალური წარმომადგენელი **ტუნდე ადერიბიგდე** და დასძინა: *"კონტრაქტთან დაკავშირებით პრობლემები არ არსებობს. ფული მის გერმანულ ანგარიშზე ორშაბათს გადაირიცხა. სატელეფონო საუბარში მან წუხილი გამოთქვა იმის გამო, რომ დროულად ჩამოსვლას ვერ ახერხებს. ამავე დროს, დაგვარწმუნა, რომ უმოკლეს დროში გვეწვევა."* 24 მარტს ნიგერია უგანდასთან აფრიკის ერთა თასის საკვალიფიკაციო მატჩს ჩაატარებს. ეს 60 წლის გერმანელი მწვრთნელის სადებიუტო შეხვედრა იქნება.



ბერტი ფოგთსი

1974 წლის მსოფლიოს ჩემპიონისათვის ყველაზე დიდ სამწვრთნელო მიღწევად 1996 წელს გერმანიის ნაკრებთან ერთად მოპოვებული ევროპის ჩემპიონობა ითვლება. ბუნდესგუნდიდან წასვლის შემდეგ ფოგთსმა ქუვეითისა და შოტლანდიის ნაკრებებში იმუშავა, მაგრამ განსაკუთრებული წარმატებების გარეშე. რაც შეეხება ნიგერიას, ამ გუნდს ორჯერ აქვს მოპოვებული აფრიკის ჩემპიონის ტიტული - 1980 და 1994 წლებში, ხოლო 1996 წელს ოლიმპიადის ოქროს მედლებს დაეუფლა.



ოთხწლიანი იძულებითი პაუზის შემდეგ ხუან ვერონი არგენტინის ნაკრებში დაბრუნდა

არგენტინა

# ბასილემ ვერონი გამოიძახა

## საწვრთნელი შეკრება მხოლოდ ადგილობრივი ფეხბურთელებით

არგენტინელთა თავკაცმა **ალფიო ბასილემ** საწვრთნელი შეკრებისათვის მხოლოდ ადგილობრივ ჩემპიონატში მოასპარეზე ფეხბურთელები გამოიძახა. სიაში მოხვდა ვეტერანი **ხუან სებასტიან ვერონიც**, რომელსაც ალბისელესტეში ოთხი წელია, არ უთამაშია. "ლაციოს", "ინტერის", "მანჩესტერ იუნაიტედისა" და "ჩელსის" ყოფილმა ვარსკვლავმა თეთრ-ცისფერი მაისურა უკანასკნელად 2003 წლის ნოემბერში, კოლუმბიასთან გასვლით შეხვედრაში (1:1) მოირგო. ბასილეს წინამორბედი **ხოსე პეკერმანი** მას არ სწყალობდა და 2004-დან შარშანდელი მუნდიალის ჩათვლით მის გამოძახებას ზედმეტად მიიჩნევდა. ვერონის სანაკრებო კარიერაში ყველაზე მძიმე 2002 წელი იყო. არგენტინა მუნდიალს ჯგუფური ტურნირიდან გამოეთიშა. ამ წარუმატებლობაში ინჩასებმა სწორედ მას დასდეს ბრალი. ხუან სებასტიანი სამშობლოში გასულ ზაფხულს დაბრუნდა და ლა პლატის "ესტუდიანტესში" ჩაირიცხა. ამ გუნდის თავკაცი **დიეგო სიმეონეა**. ორმა ვეტერანმა გუნდს აპერტურის ჩემპიონობა მოაპოვებინა. დასასრულს, გაეცანით არგენტინელთა შემადგენლობას:

**მეკარეები** - ხუან პაბლო კარისო (რივერ პლეიტი), ოსკარ უსტარი (ინდეპენდიენტე);

**მცველები** - უგო იბარა (ბოკა ხუნიორსი), დანიელ დიასი (ბოკა ხუნიორსი), პაულუ ფერეირა (რივერ პლეიტი), ედუარდო ტუსიო (რივერ პლეიტი), ერნან პელერანო (ველეს სარსფილდი), ხერმან რე (ნიუელსი), ჯონათან ბოტინელი (სან ლორენსო);

**ნახევარმცველები** - ლეონარდო პონსიო (რივერ პლეიტი), ფერნანდო ბელუში (რივერ პლეიტი), აგუსტინ პელეტიერი (ლანუსი), ხუან სებასტიან ვერონი (ესტუდიანტესი), ხოსე სოსა (ესტუდიანტესი), კრისტიან ლედესმა (სან ლორენსო), დანიელ მონტენეგრო (ინდეპენდიენტე), ნერი კარდოსო (ბოკა ხუნიორსი);

**თავდამსხმელები** - როდრიგო პალასიო (ბოკა ხუნიორსი), ესეკილ ლავესი (სან ლორენსო), მარიანო პავონე (ესტუდიანტესი), მაურო სარატე (ველეს სარსფილდი).

### ალბელდა ბარსელონაში?

**დავიდ ალბელდა** "ვალენსიიდან" აბარგებას აპირებს. [illegible] ნი სპორტულ დირექტორ **ამადეო კარბონიზე** ნაწყენია: [illegible] მა პირობა არ შეასრულა და მას ხელფასი არ მოუმატა. ალბელდა ახალ კონტრაქტს ხელს აღარ მოაწერს. მოქმედი შეთანხმება 2010 წელს იწურება, მაგრამ დავიდი სეზონის დასრულებისთანავე ეცდება ახალი სამსახურის მოძებნას. ესპანური სააგენტოების მტკიცებით, ალბელდას "ბარსელონა" ეპატიჟება. მოსალოდნელი ტრანსფერის დეტალები უცნობია.

### გაბრიელ მილიტო 15 მილიონად

"სარაგოსამ" "ბარსელონას" **გაბრიელ მილიტოს** სანაცვლოდ 15 მილიონი გირვანქა მოსთხოვა. კატალონიელები არ მალავენ, რომ ამ ფეხბურთელის ხელში ჩაგდება სურთ. "ბარსა" გაბის ძმას, **დიეგოსაც** აკვირდება. დიეგო მილიტოც "სარაგოსაში" თამაშობს და არაგონელების ერთ-ერთი საკვანძო ფიგურაა. ამ უკანასკნელის ფასი უცნობია. გაბრიელს კი 15 მილიონზე იაფად არავინ გაყიდის.

### ბულგარელი არბიტრები შერისხეს

ბულგარეთის ფეხბურთის ფედერაციამ ორ არბიტრს სამუდამო დისკვალიფიკაცია მიუსაჯა, სამი კი - ერთი წლით ჩამოაშორა ფეხბურთს. მიზეზი ქვეყნის ჩემპიონატის მატჩებში დაშვებული აურაცხელი შეცდომებია. ბულგარული კლუბები, მათ შორის, ქვეყნის ყველაზე ტიტულოვანი კოლექტივი, სოფიის "ლევსკი", მსაჯების მუშაობით აღშფოთებას ვერ მალავდნენ და დაჟინებით მოითხოვდნენ უცხოური ბრიგადების მიწვევას. ამ უქმეებზე ბულგარეთის პირველობა განახლდება. ცნობისთვის, პირველ წრეში ფეხბურთის ფედერაციამ კიდევ ოთხ არბიტრს გამოუტანა უმკაცრესი განაჩენი.

### ბენტლი: ახალი კონტრაქტი ბლექბერნთან

**დევიდ ბენტლიმ** "ბლექბერნთან" ახალი კონტრაქტი გააფორმა. 22 წლის თავდამსხმელი "ივუდ პარკზე" 2011 წლამდე ითამაშებს. პრემიერლიგის მიმდინარე გათამაშებაში მან მხოლოდ ერთი მატჩი გამოტოვა და ექვსი გოლი შეაგდო. ბენტლი ინგლისის 18 წლამდელთა ნაკრების ყოფილი კაპიტანი და ახალგაზრდული ნაკრების ყოფილი ვარსკვლავია. მან კარიერა "არსენალში" დაიწყო, მაგრამ უთამაშებლობის გამო გასული წლის იანვარში "ბლექბერნს" მიაშურა და გუნდის საკვანძო ფეხბურთელად იქცა.

### ბორიელო ერთ თვეში დაბრუნდება

**მარკო ბორიელოს** სამთვიანი დისკვალიფიკაცია მიესაჯა. "მილანის" თავდამსხმელმა დოპინგტესტი ნოემბერში, "რომასთან" ნამატჩევს (1:2) ჩააგდო. მის ორგანიზმში პრედნიზოლონის კვალი აღმოაჩინეს. ინფორმაცია ამის შესახებ 21 დეკემბერს გახმაურდა. იმ დღიდან ბორიელოს თამაში აკრძალული აქვს. დისკვალიფიკაციის ათვლა სწორედ 21 დეკემბრიდან იწყება. ესე იგი, მარკო მოედანს 21 მარტს დაუბრუნდება. მიმდინარე სეზონში ფეხბურთელმა 12 მატჩი ჩაატარა და სამი გოლი შეაგდო. იმასაც შეგახსენებთ, რომ "მილანი" მეხუთე ადგილზე იმყოფება და ლიდერ "ინტერს" უპრეცედენტო რაოდენობის ქულებით (30) ჩამორჩება.



რობენს გული დასწყდა, მაგრამ ბოლოს მაინც იზეიმა

ჩელსი

# რობენი ჟოზეს აკრიტიკებს

## გაისად პეპემ, შეიძლება, ლონდონში ითამაშოს

**არიენ რობენმა ჟოზე მოურინიო** გააკრიტიკა. კვირას, "არსენალთან" ლიგის თასის ფინალურ მატჩში (2:1) ჰოლანდიელი გარემარბი თადარიგში გაამწესეს და მხოლოდ მეორე ტაიმში გამოიყვანეს. რობენს მაღალი კლასის დამტკიცება არ გასჭირვებია. მან **დიდიე დროგბას** საგოლე გადაცემა გაუკეთა. ლონდონელებმა გამარჯვების გოლი ამ პასით შეაგდეს. "გარდიანის" ვარაუდით, მოურინიოს უკმაყოფილების მიზეზი ისაა, რომ რობენი ადვილად ილებს ტრავმებს, რის გამოც პრინციპული თამაშები უცდება.

ჰოლანდიური ტელევიზიისთვის მიცემულ ინტერვიუში არიენმა ასეთი კომენტარი გააკეთა: *"რატომ ვიჯექი სკამზე? მგონი, ეს მწვრთნელს უნდა ჰკითხოთ. ასეთი იმედგაცრუებული თავის დღეში არ ვყოფილვარ. ვფიქრობ, კარგ ფორმაში ვარ და ძირითადში ყოფნას ვიმსახურებ. მიხარია, რომ საგოლე პასი გავაკეთე. მგონი, ერთ ტაიმშიც მოვახერხე იმის ჩვენება, თუ რა შემიძლია."*

ამასობაში, "ჩელსი" "პორტუს" ცენტრალური მცველით, **პეპეთი** დაინტერესდა. ბრაზილიელ ლეგიონერს და **ჟოზე მოურინიოს** ერთი აგენტი ჰყავთ. სეზონის ბოლომდე პეპე პორტუგალიურ პასპორტს მიიღებს. მისი კონტრაქტი 2010 წელს იწურება. "ჩელსის" გარდა, ფეხბურთელის შეძენა "რეალს", "ფიორენტინასა" და "იუვენტუსს" სურთ. მისი ფასი უცნობია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ სამუელ ეტოოსთან

# ჩემთვის, ვარჯიში პრინციპული თამაშივითაა

## კამერუნელი თავს დისციპლინირებულ ფეხბურთელად მიიჩნევს და ვერ იტანს მათ, ვინც ამ თვისებით არ გამოირჩევა



სამუელ ეტოო

**სამუელ ეტოო მორიგ სკანდალში გაეხვა. ყველამ იცის, რომ კამერუნელმა ფორვარდმა სანტანდერის "რასინგთან" მატჩში მონაწილეობაზე უარის თქმის შემდეგ ფრანკ რიიკაარდისა და რონალდინიოს წინააღმდეგ გაილაშქრა. ბუნებრივია, ამ ხმაურიან განცხადებას საზოგადოებაში უდიდესი გამოხმაურება მოჰყვა. სკანდალი ბოლომდე ჩანყნარებული არ იყო, როცა ეტოომ კიდევ ერთი არაორდინალური საქციელი ჩაიდინა. აი, რაშია საქმე: "ბარსელონის" "მინი ესტადიზე" "მერიდიან ქაფის" ტურნირი ტარდება. შეჯიბრში 18 წლამდე ახალგაზრდები მონაწილეობენ. იმ დღეს ევროპისა და აფრიკის ნაკრებები უპირისპირდებოდნენ ერთმანეთს. შავი კონტინენტის ღირსებას ეტოოს ძმა - ეტიენი იცავდა. უეფას მიერ ორგანიზებულ ტურნირთან დაკავშირებით "მინი ესტადიზე" გადაადგილების წესები შეიცვალა. სტადიონის ეზოში ალუმინის ჯებირები დადგეს. იქ შესულ ადამიანს ისრები ანიშნებდა ცენტრალურ შესასვლელთან როგორ უნდა მოხვედრილიყო. ეტოომ ეს ცვლილება მეტისმეტად მტკივნეულად მიიღო. კამერუნელი უეფას მიერ დადგენილ დროებით წესებს არ დაემორჩილა და თვითნებურად მოიქცა. მან საკუთარი მანქანით ალუმინის ჯებირები გაანგრია და ავტომობილი იქ გააჩერა, სადაც ჩვეულებრივ აჩერებდა ხოლმე. არადა, აღნიშნულ ავტოსადგომზე უეფას მესვეურებს საინფორმაციო ცენტრი ქონდათ მოწყობილი. ესპანურმა მედიამ სამუელის ქმედებას მკაცრი შეფასება მისცა. აფრიკელს დისციპლინის ფეხებზე დაკიდებაში დასდეს ბრალი. "დიარიო მარკამ" კი სამუს სულაც თავშიავარდნილი ეგოისტი უწოდა. აღსანიშნავია, რომ თავად ფეხბურთელი სხვაგვარად ფიქრობს. ის საკუთარ პერსონას არადისციპლინირებულად სულაც არ მიიჩნევს. ეტოომ "ფრანს ფუტბოლისთვის" მიცემულ ინტერვიუში ხმამაღლა განაცხადა, დისციპლინას ყოველთვის ზედმიწევნით კარგად ვიცავ და ნერვები მეშლება, როცა მას სხვები არღვევენო.**

**- პროფესიული კარიერის დასაწყისში გამთამაშებლის ან საყრდენი ნახევარმცველის პოზიციაზე თამაშობდით. მაშინ ვერავინ წარმოიდგენდა, რომ ცენტრფორვარდი გახდებოდით. 9 ნომერზე მართლაც არასოდეს გქონდათ ნათამაშები.**

- ჩემი განათლებითა და გამოცდილებით ვერცერთი დიდი ფორვარდი დაიკვეხნის. მათგან განსხვავებით, ძალიან კარგად ვიცი, თუ რას ნიშნავს თავდაცვა. სხვადასხვა დროს ისეთ პოზიციებზე ვასპარეზობდი, რომელიც თავგანწირვით თამაშს მოითხოვს. განუწყვეტლივ წინ და უკან უნდა მერბინა. დაუშვებელი იყო დაცვაში არ დამეხია და იქ ისე არ მებრძოლა, როგორც მეკარის წინ მდგარ უკანასკნელ მცველს. გულწრფელად გეუბნებით, თითოეული ბურთისთვის ვიბრძოდი. არ არსებობდა შემთხვევა, როცა თავი დამეზოგა და თუნდაც ყველაზე სახიფათო სიტუაციაში ფეხი იქ არ ჩამეყო, სადაც მისი მოგლეჯვის რეალური საფრთხე არსებობდა. აი, ეს განმასხვავებს სხვა დიდი ფორვარდებისგან.

**- რისი თქმა გსურთ, თქვენ ევოლუციის უფრო დიდი გზა გაიარეთ?**

- როცა ევროპაში ჩამოვედი, თავს ისე ვგრძნობდი, როგორც ბრაზილიელი. ისინი ხომ ყოველთვის დაუჯერებელი ფინტების გაკეთებას ცდილობენ. მეც ასე ვიყავი. პრინციპში, ფინტები ახლაც ძალიან მიყვარს. შესაძლებლობის მოცემისთანავე, მოწინააღმდეგეს რეტს ვასხამ ხოლმე. სიმართლე გითხრათ, არანაირი სურვილი არ მაქვს, ჩავის ან დეკუს ამპლუა შევითავსო. ისინი შუა ხაზში თამაშის ორგანიზებას ჩინებულად ახერხებენ. მე კი მოწინააღმდეგის კარის სიახლოვეს მოქმედება მიყვარს. ვფიქრობ, ყველაზე ძლიერი სწორედ თავდასხმაში ვარ. ალბათ, ძალიან გამიმართლა, რომ ამ გუნდში ვთამაშობ. "ბარსა" ყოველთვის ცდილობს, თავისუფალი სივრცე მონახოს და საგოლე შეტევა განავითაროს. ამისათვის ნახევარმცველები უდიდეს სამუშაოს ასრულებენ. მადლობა ღმერთს, ჩვენ ფანტასტიკური უნარების მქონე ბიჭები გვყავს. შუახაზელები ყველაფერს აკეთებენ იმისთვის, რომ მოწინააღმდეგეს ბურთი აართვან, ბარიერები გაარღვიონ და თავდამსხმელი ხელსაყრელ პოზიციაზე გაიყვანონ. სწორედ ეს არის ლამაზი ფეხბურთის ჯადოსნური რეცეპტი. შედეგს თანაგუნდელების უსიტყვო ურთიერთგაგება განაპირობებს.

**- "ბარსელონა" თქვენი სტილის ფეხბურთელისთვის საუკეთესო გუნდია?**

- ამ ეტაპზე ვფიქრობ, რომ ეს ასეა, მაგრამ თუ კარგად დავფიქრდები, აღმოვაჩენ, რომ ჩემი შესაძლებლობების ბოლომდე გამომჟღავნების შანსს "არსენალი" ან "მანჩესტერ იუნაიტედიც" მომცემდნენ. "ბარსას" მსგავსად, ისინიც შემტევ, გახსნილ ფეხბურთს ანიჭებენ უპირატესობას.

**- მიშელ პლატინი ხშირად ამბობს, საუკეთესო მოთამაშე ის არის, ვისაც გუნდისთვის ყველაზე მეტი სარგებელი მოაქვსო.**

- სწორედ ესაა საქმე. მეც ზუსტად ასე ვფიქრობ და ყოველთვის ბოლომდე ვიხარჯები, რათა გუნდს გამოვადგე, რათა თანაგუნდელებისთვის ხელმისაწვდომი ვიყო. მთავარია, ნებისმიერ კოლეგას შეეძლოს შენთან თანამშრომლობა. მოკლედ, თამაშიდან წამითაც არ უნდა გამოეთიშო. გონიერი მოქმედებით მეკარესაც კი უნდა დაუტოვო იმის შანსი, რომ პასი მოგაწოდოს და გოლის გატანაში ხელი გაგიმართოს. შესაძლოა, ვინმემ იფიქროს, რომ თავს ვიქებ, მაგრამ ეს არ მაინტერესებს. ჩემი ერთ-ერთი საუკეთესო თვისება რკინისებური დისციპლინაა. ამიტომ, ვერ ვიტან, როცა სხვებს ეს თვისება არ გამოარჩევთ.

**- საინტერესოა, სამუელ ეტოოს თამაშში ინსტინქტსა და შრომით გამომუშავებულ თვისებებს შორის როგორი შეფარდებაა?**

- ვარჯიშს ისე ვეკიდები, როგორც უპრინციპულეს თამაშს. უნიჭო ფეხბურთელი, რა თქმა უნდა, ვერაფერს გახდება, მაგრამ თუ ნიჭს ჯოჯოხეთური შრომა და ტანჯვა არ ახლავს, წარმატებებზე ფიქრი უტოპიაა. იგივე რონალდინიო ავიღოთ. ტრიბუნები სიამოვნებით გმინავენ, როცა მის დაუჯერებელ ფინტებს ხედავენ... მაგრამ გაუჩო ვარჯიშებზე ამ ილეთებს ათასჯერ რომ არ იმეორებდეს და საკუთარ თავზე არ მუშაობდეს, მატჩებზე ვერაფერს გააკეთებდა. საფეხბურთო გენია სწორედ სავარჯიშო მოედანზე იბადება. განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ შეხვედრებს 80 ათასი გულშემატკივარი ესწრება, ვარჯიშებს კი - მხოლოდ ჟურნალისტები და ღობეებს მომწყდარი რამდენიმე ათეული ინჩასი. ერთი სიტყვით, ღმერთისგან ნაჩუქარ ინსტინქტმა თუ ნიჭს გამოყენება სჭირდება. წარმატების ერთადერთი გზა ვარჯიშია.

**- მოედანზე განსაკუთრებით კარგად რონალდინიოს უგებთ. ამ გარემოებას როგორ ახსნით?**

- საწვრთნელ ბაზაზე ერთად უდიდეს დროს ვატარებთ. მუდამ თავდაუზოგავად ვვარჯიშობთ. ის უსიტყვოდ ხვდება, რას ვფიქრობ და რას ვაპირებ. თავის უბრალო მოძრაობაც კი საკმარისია იმისთვის, რომ გენიალური პასი მივიღო. რა თქმა უნდა, არც მე მიჭირს მისი ჩანაფიქრების გაშიფვრა. ხშირად მიფიქრია, ალბათ, ერთმანეთზე ვართ დამოკიდებულები-მეთქი, მაგრამ საქმეს დაუნახებია, რომ ცალ-ცალკე, ინდივიდუალურადაც ისეთივე ძლიერები ვართ, როგორც ერთად. მე ხანგრძლივი დროის განმავლობაში ვერ ვთამაშობდი. მაშინ, როცა ტრავმით გამოწვეული ნალველი მკლავდა, ეტოოს გარეშე დარჩენილი რონალდინიო საოცარ შეხვედრებს ატარებდა.

**- მსოფლიო ვარსკვლავად ლუის არაგონესმა ჩამოგაყალიბათ?**

- არა. მან მითხრა, შეგიძლია, ერთი ჩვეულებრივი, კარგი ფეხბურთელი გახდე, მაგრამ ამავდროულად ყველა პირობა გაქვს იმისთვის, რომ სამყაროს უდიდესი ფორვარდის რანგში მოევლინო. ფასდაუდებელი რჩევა იყო, თუმცა არჩევანი მე გავაკეთე. ყოველთვის ვცდილობ, ჩემი ცხოვრება მხოლოდ ჩემზე იყოს დამოკიდებული.

**- არასოდეს იღლებით?**

- სირბილი ბურთთან ერთად დავიწყე. როგორც კი ფეხი ავიდგი, უმალ ბურთი მოვითხოვე და მას შემდეგ ფეხბურთით მოვდივარ. ევროპაში 15 წლის ასაკში ჩამოვედი. მოგეხსენებათ, მაშინ მადრიდის "რეალმა" შემიძინა. 10 მარტს 26 წლის გავხდები, თუმცა ჯერჯერობით არანაირ დაღლას არ ვგრძნობ. შეუძლებელია, ამ ასაკის თავმოყვარე ფეხბურთელი საკუთარი საქმით დაიღალოს.

**- აფრიკის საუკეთესო ფეხბურთელი ზედიზედ ოთხჯერ გახდით. საინტერესოა, ამ ფანტასტიკური წარმატების რაიმე საიდუმლოს ხომ არ ფლობთ?**

- ყველა საიდუმლო სავარჯიშო მოედანს უკავშირდება. რამდენად მონდომებულად და თავგანწირულადაც ივარჯიშებ, იმდენად ამოუცნობ და წარმატებულ რეცეპტს შექმნი. აი, სულ ეს არის მთელი საიდუმლო.

**- თქვენს კარიერაზე ყველაზე პოზიტიური გავლენა ვინ იქონია?**

- ჩემმა ოჯახმა. მამაჩემი გვერდიდან არ მცილდებოდა. შრომისმოყვარეობა გენეტიკითა და მისი შთაგონებით მერგო. შესაძლოა, თავი მოგაბეზრეთ, მაგრამ ღრმად მწამს, რომ შრომის გარეშე არაფერი გამოდის. ეს-ესაა მკითხეთ, ხომ არ დაიღალეთო. მაშინ ვიღლები, როცა ტრავმის გამო დიდი დრო მიცდება. ჩემი პროფესია კი მხოლოდ სიამოვნებას მანიჭებს. რონალდინიოც ამას ამბობს, თუ თამაშისგან სიამოვნებას ველარ მივიღებ, კარიერას დავასრულებო.

**ილია ნიკოლაიშვილი**



ჯერალდ ასამოა მეუღლესთან ერთად

შემთხვევა

# ასამ ზუსტად გააკეთა...

## 190 კილომეტრი საათში: ასამოა ცოლის მშობიარობაზე მიიჩქაროდა...

დიდი ხანია, **ჯერალდ ასამოას** შესახებ ალარაფერი დაგვიწერია. ეს იმიტომ, რომ "შალკეს" თავდამსხმელი დიდი ხნის ტრავმირებულია და გელზენკირხენულ კლუბს მიმდინარე სეზონში ვერ ეხმარება. სხვა საქმეა ის, რომ **ლევან კობიაშვილი** და კომპანია ასას გარეშეც გადის ფონს და გერმანიის ჩემპიონობისთვის იბრძვის, მაგრამ ჯერალდი გუნდს მაინც აკლია - იმდენად არა როგორც ფეხბურთელი, არამედ როგორც პიროვნება, რომლის გასახდელში ყოფნას შალკელები ყოველთვის დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ.

ეს დღე ჯერალდს ცხოვრების ბოლომდე ემახსოვრება: საუბარია, ორშაბათზე, რომელ დღესაც "შალკეს" 28 წლის ფეხბურთელმა ბევრი რამ გადაიტანა. სალამოს ჯერალდი გელზენკირხენის "ოტელ-მარიოტში" თავის მრჩეველთან ერთად ვახშმობდა, როცა მისი მობილური ტელეფონი აწკრიალდა. ცოლი ურეკავდა - სასწრაფოდ ჩემკენ გამოემართე, მშობიარობა მეწყება, ტყუპები სულ ცოტა ხანში მოევლინებიან ამ ქვეყანასო. ასამოამ, რა თქმა უნდა, მაშინვე შეწყვიტა ვახშამი, თავის "მერსედესს" მიაშურა და სამშობიაროსკენ აიღო გეზი. მაგრამ 52-ე ავტობანზე პრობლემები შეექმნა. "შალკეს" ვარსკვლავი 190 კმ/სთ სიჩქარით მოძრაობდა, არადა ნებადართული მხოლოდ 80 კმ/სთ იყო. ცხადია, რომ ავტობანზე დამონტაჟებულმა აპარატმა მაშინვე გადაუღო "სამახსოვრო ფოტო." მაგრამ ჯერალდმა მოძრაობა განაგრძო, თანაც იმავე სიჩქარით, რის გამოც სულ მალე პოლიციამ გააჩერა.

*"ხელებით და ფეხებით ვუხსნიდი, ჩემი მეუღლე მშობიარობს და ძალიან გთხოვთ, გამიშვით-მეთქი. ჩემთვის უკვე სულერთი იყო, დამაჯარიმებდნენ თუ არა, თუნდაც მანქანა წაერთმიათ. მაგრამ არ დამიჯერეს, რომ მართლაც მამა ვხდებოდი. მითხრეს, ყველა ასე ამბობს და არ ვაპირებთ, დავიჯეროთო."* - ამბობს ასამოა. პოლიციელებმა მხოლოდ 10 წუთის შემდეგ დართეს ნება, გზა გაეგრძელებინა. ამ დროს მისი მეუღლე უკვე მშობიარობას იწყებდა. ჯერალდმა მაინც დროულად მიუსწრო მეუღლეს. 23 საათსა და 14 წუთზე კი ყველაფერი "ჰეფი ენდით" დამთავრდა: ტყუპები საკეისრო კვეთით დაიბადნენ.

"შალკეს" მთავარი მწვრთნელი **მირკო სლომკა** ღიმილით ამბობს: *"ბიჭი და გოგო ერთად? ფაქტია, რომ ასამ ყველაფერი ზედმიწევნით ზუსტად გააკეთა. ვულოცავ და ბედნიერებას ვუსურვებ."*

იმის გამო, დაშვებულ სიჩქარეს 110 კმ/სთ-ით გადააჭარბა, ასამოას მართვის მოწმობა წესით 3 თვით უნდა ჩამოართვან. თუმცა ავტობანის პოლიციის შეფი **კლაუს ლააკმანი** ამბობს: *"საპატიო მიზეზი ჰქონდა, რის გამოც, შესაძლოა, მართვის მოწმობა არ ჩამოვართვათ."* ჰო, ახალდაბადებული ტყუპები და ახალნამშობიარები მეუღლე ვინმემ ხომ უნდა ატაროს...

**გოტფრიდ ლენცი**

დანაშაული და სასჯელი

# ლინკოლნის ხუთმატჩიანი

## ბრაზილიელმა, შნაიდერთან ერთად, შალკესაც გაულაწუნა

გასულ კვირას **ლინკოლნმა** მხოლოდ **ბერნდ შნაიდერს** როდი გაარტყა სილა. გუშინ გერმანიის საფეხბურთო კავშირის სპორტულმა სასამართლომ გელზენკირხენული კლუბის გამთამაშებელს ამ საქციელისთვის (ბოლო დღეებშიც ვწერდით) განაჩენი გამოუტანა, რამაც ცხადყო, რომ ლინკოლნმა ხელის იმ ერთი მოქნევით ყველაზე მეტად მაინც თავისი გუნდი აზარალა. განაჩენი ასეთია: ლინკოლნს ხუთმატჩიანი დისკვალიფიკაცია მიუსაჯეს, რაც იმას ნიშნავს, რომ ბრაზილიელი ათიანი **ლევან კობიაშვილის** გუნდს არა მხოლოდ პარასკევს, "ჰამბურგთან", არამედ კიდევ ოთხ ძალიან მნიშვნელოვან შეხვედრაში (მათ შორის "შტუტგარტთან" და "ბაიერნთან") ვერ დაეხმარება. და ეს იმ დროს, როცა **მირკო სლომკას** სამწყსოს საკადრო პრობლემები თავზესაყრელად აქვს.

ასეთი მძიმე განაჩენი ლინკოლნს იმის გამო გამოუტანეს, რომ მან არასპორტული საქციელი 2005 წელსაც ჩაიდინა (**ჰიტცლშპერგერს** შეაფურთხა), რისთვისაც მაშინაც დასაჯეს (6 მატჩიანი დისკვალიფიკაციით, რომელმაც ერთ თვეს გასტანა), მაგრამ როგორც ჩანს, ლინკოლნმა მას მერე ჭკუა ვერ ისწავლა. "შალკეს" ხელმძღვანელებს გერმანიის საფეხბურთო კავშირისგან მიღებული შეტყობინების შემდეგ პროტესტის გრძნობა არ გასჩენიათ. "ხუმარების" მენეჯერი **ანდრეას მიულერი** ახლა უკვე იმაზე ფიქრობს, რამდენი გადაახდევინოს ლინკოლნს.

ამრიგად, სლომკას საკადრო პრობლემებს კიდევ ერთი შეემატა. გელზენკირხენელთა ლაზარეთი ხომ ისედაც გადაჭედილია: **მლადენ კრსტაიჩთან** ერთად ("ლევერკუზენთან" დაშავდა), ტრავმირებულები არიან **გუსტავო ვარელა** (სეზონის ბოლომდე), **სიორენ ლარსენი, პეტერ ლოვენკრანდსი, ჯერალდ ასამოა, კრისტიან პანდერი** და სათადარიგო მეკარე **ფერმანი**. სხვათა შორის, ძალიან მცირე, მაგრამ მაინც არის იმის შანსი, რომ კრსტაიჩმა "ჰამბურგთან" ითამაშოს. სერბი ამბობს, ერთი პროცენტიც რომ იყოს შანსი, მოედანზე აუცილებლად გავალ, რადგან ეს ძალიან მნიშვნელოვანი შეხვედრააო. პრობლემები აქვს კაპიტან **მარსელო ბორდონსაც** და თუ HSV-სთან გელზენკირხენელებს ეს უკანასკნელიც არ ეყოლებათ, გამოდის, რომ სათადარიგო ცენტრალური მცველებით უნდა იასპარეზონ. ორიოდ დღის წინათ გაცნობეთ, რომ პარასკევს აუცილებლად ითამაშებს **ლევან კობიაშვილი**, რომელმაც დისკვალიფიკაციაც მოიხადა და ტრავმაც საბოლოოდ მოიშუშა.

*"მიუხედავად ამდენი პრობლემისა, მჯერა, რომ მაინც გავხდებით გერმანიის ჩემპიონები და ორმოცდაცხრა წლიანი პაუზის შემდეგ გულშემატკივრებს პირველად გავახარებთ "ვერცხლის სინით". ოპტიმიზმის საფუძველს ყველაფერთან ერთად ის უპირატესობა მაძლევს, რომელიც მეორეადგილოსან "შტუტგარტთან" გვაქვს."* - აცხადებს სლომკა. ხვალ საღამომდე მირკოს ჯერ კიდევ აქვს დრო, საუკეთესო სასტარტო შემადგენლობა გამოძებნოს და მოუგოს გუნდს, რომლის კარსაც ექსშალკელი, სლომკაზე განრისხებული და შურისძიების სურვილით გაგიჟებული **ფრანკ როსტი** იცავს...

**გოტფრიდ ლენცი**



ლინკოლნს ხანგრძლივი შევებულება გამოუწერეს

ინტერვიუ კევინ კურანისთან

# მჯერა, რომ ჩემპიონები გავხდებით

## ამისთვის სამი მიზეზია: ფანები, ერთიანობა, რწმენა!



კევინ კურანი

**კევინ კურანიმ მიმდინარე სეზონში ძალიან მოუმატა და გერმანელებს ის ძველი კურანი გაახსენა, "შტუტგარტის" მაისურით მოედანს უგოლოდ რომ არ ტოვებდა ხოლმე. შალკელის პროგრესმა ისიც განაპირობა, რომ კევინი გერმანიის ნაკრებში დააბრუნეს, სადაც მან ასევე გამოიჩინა თავი (შვეიცარიას გოლი გაუტანა). "ბილდისთვის" მიცემულ ინტერვიუში, ამ სეზონში 11 გოლის გამტანი და ბომბარდირთა დავაში მეორე ადგილზე მყოფი ფორვარდი ამბობს, "შალკეს" ჩემპიონობაში დარწმუნებული ვარო. ხოლო, თუ რას ეფუძნება კურანის ოპტიმიზმი, ამას ქვემოთ შეიტყობთ.**

**- ჰერ კურანი, შარშან ამ დროს ჩემპიონთა ლიგის საგზურისთვის იბრძოდით, ახლა კი გერმანიის ჩემპიონობის იმედი გაქვთ. რა განსხვავებაა შარშანდელ და წლევანდელ "შალკეს" შორის?**

- მას მერე, რაც "შალკეში" ვირიცხები, ყოველთვის დიდ პრობლემას წარმოადგენდა ის ფაქტი, რომ გუნდში მუდმივად არეულობა იყო. ბოლო წლებში ჩვენმა გუნდმა ძალიან ბევრი რამ გადაიტანა. გაცილებით გამოცდილები გავხდით. ამ ხნის მანძილზე ბევრი რამ შეიცვალა.

**- და ყველა პრობლემა წარსულს ჩაბარდა?**

- დიახ. აბსოლუტურად ყველა პრობლემა მოგვარებულია. უამრავი ცვლილებისა და მიმდინარე სეზონში მიღწეული წარმატებების შემდეგ, ჩვენთან ბოლოს და ბოლოს სიმშვიდემ დაისადგურა. ადრე ფეხბურთელებს ალიბის მოძებნა არ უჭირდათ, ახლა კი ასე აღარაა.

**- წინა სეზონში სერიოზული კრიზისი გქონდათ, რის გამოც მსოფლიოს ჩემპიონატზეც არ გათამაშეს. საინტერესოა, როგორ დაიბრუნეთ ფორმა და რის ხარჯზე მიაღწიეთ იმას, რომ მოედანს ფაქტობრივად უგოლოდ აღარ ტოვებთ?**

- როგორღაც გამოვფხიზლდი. მთლიანად "შალკეზე" ვარ კონცენტრირებული და მხოლოდ გასულ თუ მომდევნო შეხვედრებზე ვფიქრობ. უფრო ინტენსიურადაც ვვარჯიშობ. აი, მაგალითად როცა ხვალ დილით გავიღვიძებ, ჩემი ფიქრები მხოლოდ ვარჯიშისკენ იქნება მიმართული. ყოველი ვარჯიშსა და თამაშს მოუთმენლად ველი ხოლმე.

**- კიდევ?**

- ერთ რამესაც მივხვდი: ბოლო დროს უფრო ხშირად მიმართლებს, ვიდრე ადრე. და დავასკვენი, რომ იღბალი, რომელსაც ღმერთი მაძლევს, მხოლოდ მაშინაა ჩემს მხარეს, როცა თავს ოდნავადაც არ ვზოგავ და 100 პროცენტით ვიხარჯები.

**- "ლევერკუზენთან" "შალკეს" არ გაუმართლა, არაერთი საგოლე მომენტი შექმენით, მაგრამ ვერცერთის რეალიზება ვერ მოახერხეთ. ე.ი. კვირას ბოლომდე არ იხარჯებოდით?**

- რაღაც გვაკლდა...

**- "ვოლფსბურგთან" გოლი, რომლითაც მეტოქემ ანგარიში გაათანაბრა, ბოლო წუთებზე გაუშვით...**

- ჰო, ეს მართალია, "ვოლფსბურგთან" ფორტუნამ ზურგი გვაქცია. მაგრამ ჩვენ გვაქვს უდიდესი მიზანი: გერმანიის ჩემპიონობა, რომლის მისაღწევადაც ყველაფერს გავაკეთებთ. თუ ვიშრომებთ და თავს არ დავზოგავთ, "ვერცხლის სინი" ჩვენ დაგვრჩება. ამაში დარწმუნებული ვარ.

**- ჩამოთვალეთ სამი მიზეზი, რის გამოც "შალკე" გერმანიის ჩემპიონი უნდა გახდეს...**

- 63 000! აი, ზუსტად ამდენი მაყურებელი ეტევა ჩვენს სტადიონზე და თავს უბედნიერეს ფეხბურთელად ვგრძნობ, როცა ვხედავ, რომ "აუფ შალკეს" ტრიბუნები ყველა საშინაო შეხვედრაზე პირთამდე ივსება. ამას გარდა, მილიონობით ადამიანი ტელევიზორში გვიყურებს და მხარს გვიჭერს. შესანიშნავი ფანები - ეს პირველი მიზეზია იმისა, რომ ბუნდესლიგა "შალკემ" უნდა მოიგოს. 49 წელი გავიდა მას შემდეგ, რაც "შალკემ" ჩემპიონობა უკანასკნელად იზეიმა. ეს ძალიან დიდი დროა - ჩვენი გულშემატკივრები "ვერცხლის სინს" იმსახურებენ.

**- მეორე მიზეზი?**

- მთელი გუნდი ერთ მუშტადაა შეკრული. ახლა ბევრი ფეხბურთელი გვყავს დაშავებული და ამიტომ შესაძლებლობების წარმოჩენა სათადარიგო მოთამაშეებს უწევთ. თუ ლაზარეთი დაცარიელდება, ისინი ისევ სათადარიგოთა სკამზე გადაინაცვლებენ და ეს ყველამ იცის. მიუხედავად ამისა, თითოეული მათგანი იმედოვნებს, რომ ტრავმირებული ფეხბურთელები მალე დადგებიან ფეხზე. აი, კიდევ ერთი დასტური იმისა, რომ "შალკე" ერთ მუშტად შეკრული გუნდია, დიდი ერთიანობა, რომელიც შესანიშნავად ფუნქციონირებს. დამლაგებლით დაწყებული, უკანასკნელი ფანით დამთავრებული - ყველას ერთი მიზანი ამოძრავებს.

**- და მესამე მიზეზი?**

- რწმენა! თითოეულ ჩვენგანს სჯერა, რომ "შალკე" გერმანიის ჩემპიონი გახდება. თითოეული ჩვენგანი გრძნობს, რომ რაღაც არაჩვეულებრივის მიღწევა შეიძლება. ყველანი ერთად ვართ და ერთმანეთს მხარში ვუდგავართ - ამისთვის ბრძოლა ნამდვილად ღირს.

**- თქვენი აზრით, რომელია ყველაზე მნიშვნელოვანი ფეხბურთელი?**

- ულაპარაკოდ ჩვენი კაპიტანი მარსელო ბორდონი. ის ყველასგან განსხვავებული, შესანიშნავი ადამიანია.

**- რამდენად მნიშვნელოვანი ფიგურაა გუნდისთვის მირკო სლომკა?**

- პირადად მე სლომკა ძალიან მიყვარს. მირკოც ჩვენი განუყოფელი ნაწილია. გამგები და სამართლიანი მწვრთნელია, თანაც ჯერ ძალიან ახალგაზრდაა. მიხარია, რომ ხელმძღვანელები ზეწოლის ქვეშ არ მოექცნენ და მწვრთნელი არ შეცვალეს. მენეჯერი ანდრეას მიულერი ყველაზე რთულ პერიოდშიც კი მხარში გვედგა და ერთხელაც არ გავუკრიტიკებივართ.

**- გერმანიის ნაკრებშიც დაბრუნდით და შვეიცარიასთან გოლი გაიტანეთ. გერმანიის ჩემპიონობა, ბუნდესგუნდში დაბრუნება და ქორწილი - შესაძლოა, ეს თქვენი წელი იყოს...**

- დარწმუნებული ვარ, რომ ეს ის ქალია, რომელთან ერთადაც სიკვდილამდე უნდა ვიყო.

**- ქორწილი როდის იქნება?**

- ზუსტი თარიღი ჯერ არ არსებობს. ფაქტია, რომ უნდა ვიჩქარო, თორემ იქნებ, ჩემმა გადაიფიქროს (იცინის).

**გოტფრიდ ლენცი**

ლიბერტადორესი 2007. ჯგუფური ტურნირი

**ბანფილდი (არგ)-ეს ნასიონალი (ეკვ) 4:1**

**ბანფილდი**: ლუკეტი, ბარასა, მაიდანა, სანგინეტი, პაჯესი (73. კარლოს გალვანი), ჩატრუკი (68. სალვატიერა), კინტეროსი, ვილარეალი, ანდრისი, ლუხამბიო (44. ვიტი), ცვიტანიჩი.

**ეს ნასიონალი**: ჯოვანი იბარა, ომარ დე ხესუსი, კარლოს კასტრო, პაველ საისედო, ერიკ დე ხესუსი, კინტეროსი, სანტიაგო მორალესი (46. კიროსი), ვალტერ აიოვი (გუსტავო ფიგეროა), ველინგტონ სანჩესი, ვალტერ კალდერონი, ივან კავიედესი.

**გოლები**: 1:0 ცვიტანიჩი (7), 1:1 კალდერონი (21), 2:1 ანდრისი (23), 3:1 ანდრისი (28), 4:1 ლუკეტი (64)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბანფილდი | 2 | 1 | 0 | 1 | 4-2 | 3 |
| 2. ამერიკა | 1 | 1 | 0 | 0 | 2-1 | 3 |
| 3. ლიბერტადი | 1 | 1 | 0 | 0 | 1-0 | 3 |
| 4. ელ ნასიონალი | 2 | 0 | 0 | 2 | 2-6 | 0 |

**III ჯგუფი**

**გრემიო (ბრა)-კუკუტა (კოლ) 0:0**

**გრემიო**: სახა, პატრისიო, ვილიამი, სკიავი, ლუსიო, ლუკასი, დიეგო სოუზა (84. ალოიზიო), რამონი (66. სანდრო), ჩეკო, კარლოს ედუარდო, დუგლასი (64. ევერტონი).

**კუკუტა**: რობინსონ საპატა, ბუსტოსი (78. ბრაინერ გარსია), ურტადო, ვალტერ მორენო, რაგუა, რუედა (46. დელ კასტილიო), ნელსონ ფლორესი, მაკნელი ტორესი, ჩარლზ კასტრო, ვიქტორ კორტესი (74. ხუან მარტინესი), ბლას პერესი.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. გრემიო | 2 | 1 | 1 | 0 | 1-0 | 4 |
| 2. კუკუტა | 2 | 0 | 2 | 0 | 0-0 | 2 |
| 3. დეპორტესი | 1 | 0 | 1 | 0 | 0-0 | 1 |
| 4. ს. პორტენიო | 1 | 0 | 0 | 1 | 0-1 | 0 |

**VII ჯგუფი**

**ტოლუკა (მექ)-ბოლივარი (ბოლ) 1:2**

**ტოლუკა**: კრისტანტე, ავალოსი (46. მოისეს ველასკო), ალმასანი, პაულო და სილვა, დიეგო დე ლა ტორე, ესკიველი, ზინია, პონსე (62. ვალადესი), როსადა, ვისენტე სანჩესი, მანუელ დე ლა ტორე.

**ბოლივარი**: საიასი, კუელარი (71. მესა), იგნასიო გარსია, ხუარესი, ლეიტაო, მელგარი (89. კამაჩო), ლეონელ რეიესი, სალვატიერა, ტორდოია, ვილიანტი, სილერო (90+2. გატია).

**გოლები**: 1:0 და სილვა (1), 1:1 ვილიანტი (54), 1:2 სილერო (58)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბოლივარი | 2 | 1 | 1 | 0 | 2-1 | 4 |
| 2. ტოლუკა | 2 | 1 | 0 | 1 | 3-3 | 3 |
| 3. ბოკა | 1 | 0 | 1 | 0 | 0-0 | 1 |
| 4. სენსიანო | 1 | 0 | 0 | 1 | 1-2 | 0 |

### ყაზახური ინვესტიცია ევროპულ ფეხბურთში

ყაზახეთის პრეზიდენტის, **ნურსულთან ნაზარბაევის** სიძემ **რახატ ალიევმა** ევროპული კლუბის შეძენა გადაწყვიტა. მას განსაკუთრებული ამბიციები არ აქვს. ყაზახი მილიარდერი სტაბილური ფინანსური მდგომარეობის მქონე საშუალო დონის კლუბითაც კმაყოფილი იქნება. ბელგიური სააგენტოების ცნობით, ალიევი "მუსკრონის" ხელმძღვანელობასთან აწარმოებს მოლაპარაკებებს. დეტალები უცნობია. მკითხველს შევახსენებთ, რომ რახატ ალიევი ყაზახეთის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტია. მისივე ინიციატივა გახლდათ 2002 წელს ქვეყნის უეფაში გაწევრიანება.

### ახალი რომაული კონტრაქტები

რომაელთა თავკაცი **ლუჩანო სპალეტი** იუწყება, რომ სამ წამყვან ფეხბურთელს - **კრისტიან კივუს, ფილიპ მექსესა** და **ამანტინო მანსინის** ახალ კონტრაქტებს შესთავაზებენ: *"ისინი გვარწმუნებენ, რომ ჩვენთან მუშაობით კმაყოფილები არიან. ჩვენი ამოცანაა, მათთან თანამშრომლობა გავაგრძელოთ. ვნახოთ, როგორ წარიმართება მოლაპარაკებები. მზად ვართ, სერიოზულ დათმობებზე წავიდეთ."*

ეროვნული ბიბლიოთეკა

## კალათბურთი

ლეგიონერები

# მინუს 30 მინუს 20 გრადუსში




იტალიურმა "მონტეპასკიმ" ულების თასის პირველი მეოთხედფინალური მატჩი რუსეთში, ყაზანის "უნიქსთან" 53:83 წააგო.

როგორ დამარცხდა იტალიის ჩემპიონატის ლიდერი საშუალო რუსულ კლუბთან 30 ქულით? მოდით, ამ კითხვაზე პასუხი "უნიქსის" პრეს-ატაშე **ვლადიმირ ტამბოვს** ვანდოთ.

*"ასეთია თამაში - ერთ დღეს 30 ქულის სხვაობით აგებ, მეორე დღეს ამავე სხვაობით იგებ. "უნიქსმა" "ხიმკისთან" სამარცხვინო მატჩის შემდეგ იტალიელებთან მატჩზე კონცენტრაცია სრულად მოახდინა და ფინალური ოთხეულისკენ დიდი ნაბიჯი გადადგა.*

*სტუმრებისთვის ყაზანელთა მტკიცე დაცვა მოულოდნელი სიურპრიზი აღმოჩნდა. მათ საწყის წუთებში ვერც ერთი ქულის ჩაგდება მოახერხეს. ანგარიში მე-5 წუთზე ფორტემ დაასველა - 2:6. "მონტეპასკიმ" "უნიქსის" დაცვასთან გამკლავება ვერც შემდეგში შეძლო - პირველ მეოთხედში მხოლოდ 8 ქულას დასჯერდა, მესამეში - ცხრას.*

*მეოთხე ათწუთეულის მე-3 წუთზე ტაბლოზე მაქსიმალური სხვაობა დაფიქსირდა - 68:37. თუმცა, ამის მერე სტუმრებმა ბოისას სამი საჯარიმოსა და კაუკენასის ორქულიანების წყალობით სხვაობა ოდნავ შეამცირეს. თუმცა, "უნიქსმა" 30-ქულიანი უპირატესობის შენარჩუნება მაინც მოახერხა".*

ახლა "მონტეპასკის" მწვრთნელ **სიმონე პიანიჯანის** მოვუსმინოთ: *"ეს იყო ჩემი გუნდის ყველაზე სუსტად ჩატარებული მატჩი მიმდინარე სეზონში. საპირისპირო უნდა ითქვას "უნიქსზე". ისინი თამაშს მაქსიმალურად მომზადებულები შეხვდნენ. ჩვენ კი თავიდანვე ვერ მოვახერხეთ თამაშის აწყობა, ცოტა შეშინებულადაც გამოვიყურებოდით, რამაც გუნდის თვითრწმენაზე უარყოფითად იმოქმედა. იტალიაში სამქულიანების პროცენტული მაჩვენებლის მიხედვით საუკეთესონი ვართ. ყაზანში კი 23-დან 4 გამოვიყენეთ (17 პროცენტი). მაშინ, როცა მეტოქემ 23-დან 13 სამიანი ჩააგდო. - 30 ქულა ურთულესი გასაბათილებელია, მაგრამ იმედს არ ვკარგავ, რომ ამას შევძლებთ".*

ახლა **ვლადიმერ ბოისას** შესახებ. მისმა უშუალო კონკურენტმა **შონ სტოუნრუკმა** ცუდად ითამაშა (ხუთივე ტყორცნა ააცილა და 4 შეცდომა დაუშვა) ამიტომ მწვრთნელი ბოისას უფრო მეტად ენდო - 21 წუთი ათამაშა. ამ დროში ჩვენიანმა თითო ორი და სამქულიანი ააცილა და 4 საჯარიმო ჩააგდო. 4 ქულას კი 4 მოხსნა და 1 პასი მიამატა. ამასთან, ვოვას მარგი ქმედების კოეფიციენტის მატებაში (7) მის წინააღმდეგ "უნიქსელთა" მხრიდან მიღებული 5 ფოლი დაეხმარა. ნაყოფიერების მიხედვით ბოისა მხოლოდ **რიმანტას კაუკენასს** ჩამორჩა, რომელმაც 16 ქულა მიითვალა.

**"უნიქსის" ოფიციალურ ვებგვერდზე მატჩის წინ გამოქვეყნდა ვლადიმირ ტამბოვის მიერ ჩაწერილი ვლადიმერ ბოისას ინტერვიუ, რომლის გაცნობა ქართველ ქომაგსაც დააინტერესებს. პუბლიკაციის სათაურმა დღეს აქტუალურობა დაკარგა: "ჩვენი მიზანი ულების თასის მოგებაა!"**

"სასტუმრო "შალიაპინთან" მოსეირნე ტანმაღალი ახალგაზრდისთვის ყურადღება რომ არ მიგექციათ, არ შეიძლებოდა. მას მზის დიდი სათვალე ეკეთა და თავზე კაპიუშონი ჰქონდა წამოხურული. **Are you from Italy?** - ვკითხე. **Можно по русский?** - მომიბრუნდა. ორი აზრი არ არსებობდა - ეს ვლადიმერ ბოისა იყო.

**- ტემპერატურის 35 გრადუსიან ცვლილებას როგორ შეეგუეთ, სიენაში ახლა ხომ +15 გრადუსია?**

- საქართველოდან ვარ და დიდი სიცივეებიც მინახავს, ამიტომ ამ ყინვას ნამდვილად არ შევუშინებივარ. ჩემი თანაგუნდელები კი სასტუმროდან ცხვირს ვერ ყოფენ. ამიტომაც ვსეირნობ მარტო.

**- როგორც მახსოვს, წლები წინ "უნიქსი" გეპატიჟებოდათ...**

- მართალია. ორი წლის წინათ ამ კლუბისგან სერიოზული წინადადება მივიღე. ამავე დროს მქონდა ისრაელის "მაკაბისა" და სტამბოლის "ეფესის" ვარიანტები. თურქები თავიანთ პასპორტს მთავაზობდნენ და სახელის შეცვლასაც მირჩევდნენ, მაგრამ ყველაზე მეტად "მონტეპასკის" წინადადება მომეწონა. ჯერ ერთი იმიტომ, რომ ყველაზე ახლოს იყო სლოვენიასთან, სადაც 16 წლიდან (1997 წლიდან) ვთამაშობდი. იტალიაში წასვლის მეორე მიზეზი ბუნებრივი პირობები იყო - იტალიაში სწორედ საჩემო კლიმატია. კარიერას რომ დავასრულებ, საცხოვრებლად აპენინებზე დავრჩები.

**- საქართველოდან ასეთ კარგ გუნდში როგორ მოხვდით?**

- 90-იანი წლების პირველ ნახევარში საქართველოს ეკონომიკურად ძალიან უჭირდა, თუმცა ბავშვთა საკალათბურთო ლიგას ვერაფერს დაუწუნებდი. სწორედ პატარაობისას მოვხვდი ევროპელი აგენტების თვალთახედვის არეში და სლოვენიაში ადრეულ ასაკში წავედი. 2005 წლიდან კი "მონტეპასკიში" ვთამაშობ.

**- თქვენთვის რამდენად მნიშვნელოვანია ულების თასის მოგება?**

- ვემზადებით როგორც იტალიის ჩემპიონატის, ასევე ულების თასის მოსაგებად. ეს იოლი არ იქნება, მაგრამ ძალისხმევას არ დავიშურებთ.

ვლადიმერი ყაზანის ღირსშესანიშნაობებით დაინტერესდა, მასთან ერთად მეც გავისეირნე, მაგრამ 10 წუთში მობრუნდა და მითხრა: *"ჩემი შესაძლებლობები ზედმეტად შევაფასე, მეგონა, ამ ქურთუკით ასეთ ყინვას გავუძლებდი, მაგრამ შევცდი. ძალიან შემცივდა, სასტუმროში უნდა დავბრუნდე"*.

მოამზადა
**ვაჟა სიმონიშვილმა**



საქართველოს ნაკრები

# ბულგარელები გვიწვევენ?

**გუშინ ბულგარულმა საინფორმაციო წყაროებმა გაავრცელეს ინფორმაცია, რომლის მიხედვითაც ივლისში დაგეგმილ სანაკრებო ტურნირზე საქართველოს ნაკრებია მიწვეული. აი, რა წერს Bulgariabasket:**

"ბულგარეთის კალათბურთის ფედერაციამ ყოველწლიურ ტუნნირზე, "სოფიის თასზე" სათამაშოდ სამი ნაკრები მიიწვია - მაკედონიის, ისრაელისა და საქართველოსი. ტურნირი სოფიის "უნივერსიადა-ჰოლში" 27-29 ივლისს ჩატარდება და მასპინძელთა ნაკრებისთვის ევრო-2007-ის საკვალიფიკაციო შეჯიბრებისთვის მზადების მნიშვნელოვანი ეტაპი იქნება.

სადღეისოდ მხოლოდ ერთი რამაა უცნობი - მაკედონელები 2 და 4 აგვისტოს ჩეხებთან ამხანაგურ მატჩებს გეგმავენ და 100 პროცენტით ჯერ არ გადაუწყვეტიათ სოფიაში ჩამოსვლა-არჩამოსვლის საკითხი. თუ ამ გუნდმა ტურნირში მონაწილეობაზე უარი თქვა, მაშინ მას არანაკლებ ძლიერი ნაკრები შეცვლის."

ინფორმაციის გადასამოწმებლად კალათბურთის ფედერაციის გენერალურ მდივანს **მერაბ რატიშვილს** დავუკავშირდით. - *საკონტროლო მატჩების შესახებ ევროპული კალათბურთის არაერთ ფედერაციას გავუგზავნეთ მიმართვა. მათ შორის ბულგარელებსაც, რომლებთანაც ივლისის ტურნირის შესახებ სატელეფონო საუბარი კი გვქონდა, მაგრამ მოწვევა არ მიგვიღია. ასე რომ, 100 პროცენტით ჯერ არაფერია გადაწყვეტილი. როცა ოფიციალურ მოწვევას მივიღებთ, მას მწვრთნელის გორდონ ჰერბერტის სანაკრებო გეგმებთან შევათანხმებთ და პასუხს მხოლოდ ამის შემდეგ გავაგზავნით.*

საქართველოს ნაკრები პირველ ოფიციალურ მატჩს ლუქსემბურგში 21 აგვისტოს გამართავს. აქედან გამომდინარე 27-29 ივლისს ბულგარეთის ტურნირზე თამაში ჩვენთვის ზედგამოჭრილი უნდა იყოს. ოღონდ, მანამდე ერთი, ან ორკვირიანი მოსამზადებელი ციკლი უკან უნდა გვქონდეს მოტოვებული. ეს გუნდის შესაკვრელად აუცილებელია, მითუმეტეს რომ მთავარი კონკურენტები, ფინელები, ივლისის დასაწყისიდან აპირებენ შესარჩევი მატჩებისთვის მზადებას.

**ვაჟა სიმონიშვილი**

## ცხენოსნობა

# სეზონის გახსნა

ახალ სეზონს "ჟოკეი კლუბი" იპოდრომის დახურულ მანეჟში ხსნის ხოლმე - ღია პირველობით დაბრკოლებათა გადალახვაში. გასახარია, რომ სარბიელზე ვიხილეთ უკვე კარგად დაოსტატებული ახალგაზრდა მხედრები, ისინი უფროსი თაობის საიმედო შემცვლელებად ითვლებიან. კლუბის მთავარი მწვრთნელი **გელა ტატანაშვილი** კლუბისა და ფედერაციის ხელმძღვანელობას დაჰპირდა, რომ ეს ბიჭები მალე თამამად შეძლებენ საერთაშორისო ტურნირებში მონაწილეობას. წარმოგიდგენთ გამარჯვებულებსა და პრიზიორებს.

**თორნიკე გაჩეჩილაძე**

| კონკური №1. ძირითადი ცხენებით |
| --- |
| 1. შალვა გაჩეჩილაძე ("ჟოკეი კლუბი") |
| 2. გიორგი აფციაური ("ჟოკეი კლუბი") |
| 3. ივანე ნორაკიძე ("ჟოკეი კლუბი") |

| კონკური №2. ახალგაზრდა ცხენებით |
| --- |
| 1. ივანე ნორაკიძე ("ჟოკეი კლუბი") |
| 2.გიორგი აფციაური ("ჟოკეი კლუბი") |
| 3. გოჩა ჯალალონია (კერძო მფლობელის ცხენით) |

| კონკური №3. იოლი კლასი |
| --- |
| 1. გაგა თოხაძე ("ჟოკეი კლუბი") |
| 2. გაგა თოხაძე (მეორე ცხენით) |
| 3. გიორგი სამხარაძე (კერძო მფლობელის ცხენით) |

## უნივერსიადა არ ჩერდება

"ტრადიციას არ ვულალატებთ, საქართველოს სტუდენტთა სპორტული თამაშები, რომელიც ორ წელიწადში ერთხელ ტარდება ხოლმე, წლეულსაც გაიმართება და ყოვლად უსაფუძვლოა ხმები, თითქოს უნივერსიადების ისტორია წარსულს ბარდება. სპორტის დეპარტამენტთან საბოლოო შეთანხმება მიღწეულია. უნივერსიადას 15 მარტიდან დავიწყებთ და დაახლოებით 2 თვე გაგრძელდება". - გვითხრა საქართველოს საუნივერსიტეტო სპორტის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტმა **მერაბ მეტრეველმა**, სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილესთან **გია გალდავასთან** ამ გამართული საგანგებო თათბირის შემდეგ. ასე რომ, სტუდენტებო, მოემზადეთ უნივერსიადის სტარტებისთვის.

**ცოტნე ბაქრაძე**

## თბილისის სპორტულ ბაზებზე

**1-4 მარტი, კრივი.** საქართველოს ახალგაზრდული პირველობა. გლდ-ანი, დკდ-ს დარბაზი. დასაწყისი 13 საათზე.

**2-3 მარტი, სამბო.** საქართველოს პირველობა ჭაბუკთა შორის. დიღმის საჭიდაო კომპლექსი. დასაწყისი 11 საათზე.

საქართველოს კალათბურთის ფედერაცია ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ვეტერანი კალათბურთელი, სპორტის ოსტატი

**ვენერა მჭედლიძე**

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს

საქართველოს ფარიკაობის ფედერაცია სამძიმარს უცხადებს თბილისის ოლიმპიური რეზერვების ფარიკაობის სკოლის დირექტორს ლუდვიგ ღაღანიძეს ძმის გარდაცვალების გამო.

საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემია სამძიმარს უცხადებს აკადემიის ასოცირებულ პროფესორს ლუდვიგ ღაღანიძეს ძმის გარდაცვალების გამო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭადრაკი

# დაბრუნება და გამარჯვება



პარმენ გელაზონია

**საქართველოს ახლახან დასრულებულ ჩემპიონატის პირველ ლიგას ორი გამარჯვებული ჰყავდა - გაიოზ ნიგალიძე და პარმენ გელაზონია. კოეფიციენტის წყალობით პირველ ადგილზე ნიგალიძე გავიდა და გამარჯვებულად ის გამოცხადდა, მაგრამ გულნაკლული არც გელაზონია დარჩენილა - მთავარი იყო ოთხეულში მოხვედრილიყავი და უმაღლესი ლიგის საგზური მიგეღო.**

**გელაზონიას, ისევე როგორც ნიგალიძისა და შოთა აზალაძის, კვარტეტში შესვლას ნაკლებად ელოდნენ. პირველ ორს ასაკის, ხოლო გელაზონიას აქტიურ ჭადრაკში ახლახან დაბრუნების გამო. დღეს "ლელოს" მკითხველისთვის გელაზონიას გაცნობა გადავწყვიტეთ - იგი 26 წლისაა და ბავშვობაში იმედისმომცემ მოჭადრაკედაც ითვლებოდა, თუმცა...**

ვთამაშობდი ასაკობრივ ჩემპიონატებში, საქართველოს პირველობებზე და არცთუ ურიგოდ. მართალია ჩემპიონი ერთხელაც ვერ გავხდი, მაგრამ პრიზიორი ვყოფილვარ. თბილისის ჩემპიონი იმდენჯერ გავხდი, სათვალავი ამერია კიდეც. განსაკუთრებული წარმატებით 1997 წელს ვითამაშე საქართველოს ჩემპიონატში - მესამე ადგილი დავიკავე. ჩემპიონი გიორგი ბაღათუროვი გახდა, მეორე ადგილი გენადი ზაიჩიკმა დაიკავა. 1997 წელს ერევანში 20-წლამდელთა მსოფლიო ჩემპიონატზე ვითამაშე და მართალია, მე-15-ე ადგილზე გავედი, მაგრამ ქართველთა შორის საუკეთესო შედეგი აღმოამაჩნდა.

1999 წლამდე აქტიურად ვთამაშობდი, შემდეგ კი სამწვრთნელო კარიერას მივყავი ხელი - რატომღაც აქეთ გამიწია გულმა. დავოჯახდი, ორი ვაჟიც შემეძინა და, რა გასაკვირია, რომ თამაშისთვის ვერ ვიცლიდი. არ მინანია, იმიტომ, რომ მწვრთნელობაც ძალიან საინტერესო და საპასუხისმგებლო პროფესიაა და თუკი შეგირდმა გაგიმართლა და შედეგი აჩვენა, ბევრად მეტი სიხარულს გრძნობ, ვიდრე საკუთარი გამარჯვებისას. ვწვრთნიდი შოთა აზალაძეს, ანა გავაშელს, ანა ბუცხრიკიძეს, ქრისტინე მჟავიას, ნოდარ ლორთქიფანიძეს, ვიყავი საერთაშორისო ოსტატების მირანდა ხორავას და სოფიკო ტერელაძის კონსულტანტი.

**- რატომ წახვედით, გასაგებად აგვიხსენით, მაგრამ რატომ დაბრუნდი, ეს არანაკლებ საინტერესოა.**

- თამაში მომწყურდა. ამ წლების განავლობაში იშვიათად, მაგრამ ვთამაშობდი აქა-იქ, თუმცა ნაკლები სერიოზულობით ვუდგებოდი საქმეს. როგორც ჩანს, დრომ შეცვალა ჩემი განწყობა და მომაბრუნა. მეორე მნიშვნელოვანი მომენტიც არის - ძალიან შემაგულიანა ქართველ მოჭადრაკეთა წარმატებებმაც და ვიფიქრე, ესენი ხომ ჩემი მეგობრები, ჩემი თაობის ბიჭები არიან, მათ ტოლ-სწორად ვეპაექრებოდი წლების წინ და თუკი მათ შეძლეს მაღალ დონეზე ასვლა, მე რატომ ვერ უნდა მოვახერხო-მეთქი?

**- მწვრთნელობას თავი დაანებეთ?**

- არა, ამ საქმესაც მივდევ. ეს ხომ ჩემი შემოსავლის ერთადერთი წყაროა. მოწაფეებთან და მათ მშობლებთან სრული ურთიერთგაგება მაქვს და ისინი ჩემს ინტერესებს ითვალისწინებენ. ორივე საქმის კეთებას შევძლებ - ამისი ახლა უკვე არ მეშინია...

**- ახლა ბოლო წარმატებაზე ვისაუბროთ: უფრო კონკრეტულად, რის ხარჯზე იმარჯვეთ?**

- ნამდვილად არ ველოდი, თუკი ასეთ შედეგს ვაჩვენებდი. რაღაც იმედი კი მქონდა, ისე ხომ ტურნირში თამაშს აზრი არ ექნებოდა, მაგრამ მაინც... წარმატების საიდუმლო კი კონცენტრაციასა და ყოველი შეხვედრისთვის კონკრეტული გეგმის დასახვა-განხორციელებაშია. რა თქმა უნდა, წინასაშეჯიბრო მომზადებამაც იქონია დიდი როლი. ამის გამო დებიუტში ვიღებდი უკეთეს პოზიციას და ნაბიჯ-ნაბიჯ ვავითარებდი.

**- ტურნირში მრავლად იყო ისეთი მოჭადრაკე, რომელთაც რიგიანი სადებიუტო მომზადებაც აქვთ, პრაქტიკაც თქვენზე მეტი გააჩნიათ და მწვრთნელ-კონსულტანტებიც ჰყავთ. როგორღა აჯობეთ ამ კონპონენტებში?**

- მეც მყავდა დამხმარე - დიდოსტატი მიხეილ მჭედლიშვილი, რომელიც ქართულ ჭადრაკში სადებიუტო ცოდნით ერთ-ერთი საუკეთესოა. მეორე: ჩემი აზრით, ძალიან სასარგებლო და პრაქტიკულია კონკრეტული მეტოქისთვის მომზადება - წინა დღით მის პარტიებს შეისწავლი და რაიმე სიახლეს შესთავაზებ. ასეთი მიდგომით დროც იზოგება და ნერვებიც.

**- რახან ნერვები ახსენეთ, მათი მდგრადობა რამდენად განაპირობებს შედეგს?**

- ფსიქოლოგიური ფაქტორი ერთ-ერთი უმთავრესია, თუ გადამწყვეტი არა. ამ მხრივ სრული მზადყოფნა მქონდა, რაც იმაშიც გამოიხატა, რომ არცერთ პარტიაში ცაიტნოტში არ მოვხვედრილვარ.

**- ესეც ხომ არ არის ფავორიტთა ხელმოცარვის კიდევ ერთი მიზეზი?**

- უდავოდ. ჩემი აზრით, ისინი ფსიქოლოგიური წნეხის ქვეშ იმყოფებოდნენ, - ვალდებულები იყვნენ, რომ გაემარჯვათ და ოთხეულში მოხვედრილიყვნენ, სხვებს კი, მეც მათ შორის, ამის განცდა არ გვქონია და ლაღად, ყოველგვარი დაძაბულობის გარეშე ვთამაშობდით. მართლაც ძალიან ძლიერი შემადგენლობა შეიკრიბა. ამ ტურნირში არავის ჰქონდა გარანტია, რომ ოთხეულში მოხვდებოდა. ამიტომ ვარ ძალიან გაკვირვებული და გახარებულიც. ჩემს კარიერაში ეს უმნიშვნელოვანესი გამარჯვებაა, ამიტომ მას ჩემს ვაჟებს - 4 წლის ლუკას და სამი წლის ლაზარეს ვუძღვნი.

**- ერთი კითხვაც გააჩინა ამ ტურნირმა. რახან ახალგაზრდები და უტიტულოები დაწინაურდნენ, ხომ არ ნიშნავს ეს ქართული ჭადრაკის დონის დაქვეითებას?**

- არავითარ შემთხვევაში! რატომ. ქართული საჭადრაკო სკოლა ერთ-ერთი უძლიერესია მსოფლიოში და მისი საერთო დონე ძალიან მაღალია. ქართველი გოგო-ბიჭები შესანიშნავად თამაშობენ, მაგრამ მათ არ აქვთ შესაბამისი რეიტინგები. საქმე ის გახლავთ, რომ უფულობის გამო არ ეძლევათ საერთაშორისო ტურნირებში თამაშის საშუალება და არც ჩვენში იმართება ასეთი შეჯიბრებები. ამ ფონზე რეიტინგის სიმცირე თვალისმოტყუებაა და მეტი არაფერი. ჩემი აზრით, წარმატებას ყველამ ღირსეულად მიაღწია.

**- თქვენი საჭადრაკო მსოფლმხედველობა როგორია? როგორ თამაშს ანიჭებ უპირატესობას?**

- პოზიციური სტილის მიმდევარი ვარ. არ მიყვარს ტაქტიკური პოზიციები, სადაც ბევრი უნდა თვალო. ამიტომ ვცდილობ ენდშპილში გადავიყვანო პარტია და იქ ვეძებო შანსები. სწორედ ასეთი ტაქტიკით გავიმარჯვე რამდენიმე შეხვედრაში. ჩემი საჭადრაკო გემოვნების ჩამოყალიბებაში დიდი წვლილი მიუძღვით კლასიკოს მოჭადრაკეებს - აკუბა რუბინშტეინს, ხოსე რაულ კაპაბლანკას და ანატოლი კარპოვს. ეს უკანასკნელი, მიმაჩნია, რომ ყველა დროის უდიდესი მოჭადრაკეა.

**- დღეს მოჭადრაკე თანამედროვე ტექნოლოგიების გარეშე წარმოუდგენელია. უამრავი ინფორმაცია არის გადასამუშავებელი...**

- სამწუხაროდ, კომპიუტერი არ მაქვს და მხოლოდ წიგნების მეშვეობით ვემზადები. მიზეზის ახსნა ალბათ არ არის საჭირო...

**- მიხეილ მჭედლიშვილი თავადაც ითამაშებს უმაღლეს ლიგაში. ამჯერად ვისთან ითანამშრომლებთ?**

- ნება მომეცით, ამ კითხვაზე პასუხისგან თავი შევიკავო - მცირე საიდუმლოა და არ გავამჟღავნებ. ტურნირის შემდეგ გაგიმხელთ.

**- უმაღლესი ლიგა სამიოდ კვირაში დაიწყება. რას გეგმავთ?**

- ცხადია, წარმატებულ თამაშს. ამისათვის მზადების განსაკუთრებულ რეჟიმზეც უნდა გადავიდე. უძლიერეს ქართველ მოჭადრაკეებთან მომიწევს პაექრობა. ბევრ მათგანს ბავშვობაში შევხვედრივარ და ცვალებადი წარმატებით მითამაშია, მაგრამ ზურაბ აზმაიფარაშვილს კი - არასოდეს. ეს ფაქტი ძალიან მახარებს. ასეთ ძლიერ ტურნირში არასდროს მითამაშია და ესეც ერთგვარი სტიმული და გამოწვევაა. იმედი მაქვს, რომ საერთაშორისო ოსტატის ნორმას შევასრულებ, იქნებ, დიდოსტატის პირველი ბალიც ავილო და რეიტინგში გვარიან მომატებასაც ვგეგმავ. ამჯერად მხოლოდ 2268 ქულა მაქვს, მაგრამ წარმატებული თამაშისა შემთხვევაში კარგადაც მოვიმატებ.

**- საერთაშორისო წოდებების მისაღებად ერთ ტურნირში თამაში საკმარისი არაა, თქვენ კი, საერთაშორისო ტურნირებში ვერ თამაშობთ. ამ პრობლემის დაძლევას როგორ აპირებთ?**

- ჭადრაკის ფედერაციის ახალი ხელმძღვანელობა რეიტინგ-ტურნირების და საერთაშორისო შეჯიბრებების საქართველოში ჩატარებას დაგვპირდა. თუ დანაპირები შესრულდა, საქართველოში ჭადრაკის დონე კიდევ უფრო მოიმატებს, მოჭადრაკეებს კი ოსტატობის შესაბამისი რეიტინგები გაუჩნდებათ.

**ზვიად შათირიშვილი**

## ექვსნი კონსტანცაში

**რაგბი.** რუმინეთის უმაღლეს სარაგბო დივიზიონში მოასპარეზე კონსტანცას "ფარულში" ამიერიდან ერთბაშად ექვსი ქართველი მორაგბე ითამაშებს. აქამდე მოთამაშე ოთხეულს **ბიძინა სამხარაძეს, ლაშა თავართქილაძეს, ლაშა აზალაძეს** და **გიორგი ხოსიტაშვილს** კიდევ ორი რუსთაველი მორაგბე **კახა უჩავა** და **ირაკლი ნატრიაშვილი** დაემატა. აღსანიშნავია, რომ ჩვენებურთა გუნდის მწვრთნელად ახლახან ავსტრალიელი სპეციალისტი პოლ ნიქსონი დაინიშნა.

## რეპეტიცია დიდი ტურნირის წინ

**ჩოგბურთი.** 17 წლის **ანა ტატიშვილს** დიდი გამოცდის წინ მაინცდამაინც კარგი რეპეტიცია არ გამოუვიდა - მან ვერ შეძლო ლას ვეგასის ტურნირის (75 ათასი დოლარი) ძირითად ბადეში გასვლა. ორი მატჩის მოგების შემდეგ მსოფლიოს 270-ე ჩოგანი ქართველი ამერიკელ **ანჯელა ჰეინესს** (190) შეხვდა კვალიფიკაციის ფინალურ წრეში. ანამ ქარიან ამინდში რამდენიმე ბრეიკ-პოინტი გაანიავა და დაისაჯა კიდეც - 3:6, 2:6. ძირიდათ ბადეში ჰეინესი გავიდა, სადაც ის **ალექსანდრა სტივენსონს** შეხვდება. ანა კალიფორნიაში ინდიან ველსის დიდ საერთაშორისო ტურნირშია (2,1 მილიონი დოლარი) "უაილდ ქარდით" დაპატიჟებული. შეჯიბრება ორშაბათს იწყება. ტატიშვილი ძირითად ბადეში ითამაშებს.

## ჩიხლაძე მეორე წრეშია

**დევისის თასის** თბილისური მატჩის შემდეგ პირველად ითამაშა საქართველოს მეორე ჩოგანმა **ლადო ჩიხლაძემ**. ლადო შვეიცარიაში მცირე საერთაშორისო ტურნირში (10 ათასი დოლარი), სადაც მეშვიდე ნომრად არის განთესილი. პირველ წრეში მისი მეტოქე ავსტრიელი **არმინ სანდბიხლერი** იყო. სანდბიხლერი მსოფლიო კლასიფიკაციაში ჩიხლაძეზე წინაა (550 და 562). მატჩი სამი სეტი გაგრძელდა, ლადომ 6:7 (5), 6:3, 7:6 (2) იმარჯვა და მერვედფინალში გავიდა.

## ოთხიც და მერე ქამრები

**პროფესიული კრივი.** ვერი ბაღში, პროფესიული კრივის ფედერაციის დარბაზში, დღეს მორიგი სარეიტინგო ორთაბრძოლები გაიმართება. შემდეგი ხუთშაბათიდან კი ბრძოლები უფრო საინტერესო და დაძაბული გახდება, რადგან დაიწყება საქართველოს ქამრების გათამაშება. დღევანდელ შეხვედრება რაც შეეხება, ისინი კვლავ 18 საათზე დაიწყება. სულ 4 ბრძოლა შედგება, საიდანაც მხოლოდ 54 კილოგრამ წონით კატეგორიაში ვიხილავთ ოთხ რაუნდს, დანარჩენები კი ექვსრაუნდიანები იქნება. გაგაცნობთ წყვილებს:

54 კგ: **გიორგი ყველაშვილი (თბილისი) – გიორგი გაჩეჩილაძე (ქუთაისი)**
62 კგ: **ნუგზარ მარგველაშვილი (საჩხერე) – ნიკოლოზ ავეტისიანი (ბორჯომი)**
66 კგ: **გიორგი გოგებაშვილი (გორი) – მიხეილ ხუციშვილი (ვარიანი), გიორგი ზალკალიანი (თბილისი) – ალექსანდრე ბენიძე (თბილისი)**

## ჯერჯერობით მეოცეზე



**ფიგურული ციგურაობა.** გერმანიის ქალაქ ობერსდორფში ახალგაზრდული მსოფლიო ჩემპიონატი მიმდინარეობს. სპორტულ ცეკვებში ქართულმა წყვილმა (**ეკატერინა ზაიკინა- ოთარ ჯაფარიძე**) დაიწყო ასპარეზობა. სულ 27 წყვილი სრიალებს და ჯერ მხოლოდ სავალდებულო ცეკვები გაიმართა. პირველი დისციპლინის შემდეგ ქართველები მეოცე ადგილზე არიან 23.87 ქულით. დღეს ორიგინალური პროგრამის დღეა, თავისუფალი პროგრამა ხვალ გაიმართება.

პეკინი 2008



# სტიპენდია მწვრთნელებისთვის

**პეკინის** ოლიმპიადისთვის მზადების კუთხით სპორტის დეპარტამენტმა კიდევ ერთი კარგი ნაბიჯი გადადგა - ნაკრებებთან მომუშავე 34 მწვრთნელს დამატებითი სტიპენდიები დაუნიშნა. რანგისა და დატვირთვის მიხედვით - 150-დან 800 ლარამდე. ისინი თანხას მიიღებენ საქართველოს ბანკში გახსნილ ანგარიშზე, რომლის პლასტიკური ბარათებიც გუშინ გადაეცათ სპორტის დეპარტამენტში გამართულ შეხვედრაზე.

დეპარტამენტმა კანდიდატები ძიუდოს, ჭიდაობის, კრივის, ტანვარჯიშის სახეობათა და მძლეოსნობის ფედერაციებიდან შეარჩია. კრიტერიუმები ოლიმპიური ნაკრების კანდიდატთა რაოდენობა-ხარისხმა განსაზღვრა, თუმცა ამ სიაში ძალოსნობა რატომ არ მოხვდა, ვერ გეტყვით.

კიდევ ერთხელ განვმარტოთ, რომ სტიპენდიები დაენიშნათ მხოლოდ ეროვნულ ნაკრებში მომუშავე მწვრთნელებს და ოლიმპიური ლიცენზიების კანდიდატთა პირად დამრიგებლებს. სამწუხაროდ, ამ ჯერზე სიაში ვერ მოხვდნენ რეგიონებში მომუშავე მწვრთნელები, რასაც გუშინ თავის გამოსვლაში სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარე **დავით ნამგალაურიც** შეეხო. მან ხაზი გაუსვა, რომ რაიონებში არსებული სპორტსკოლები კლუბებად გადაკეთდნენ, რის შემდეგაც ისინი ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებაზე აღარ არიან. ამის მიუხედავად, ოლიმპიადამდე რეგიონებში ამ კლუბებსა თუ სპორტულ ბაზებს მუნიციპალური დაფინანსებით მაინც შეინახავენ.

**ირაკლი თავაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძიუეთ



ომარ მერაბიშვილი და დავით ხახალეიშვილი

ინტერვიუ ომარ მერაბიშვილთან

# სანამ ფეხზე ვარ, აქ ვიქნები!

**საქართველოს დამსახურებულ მწვრთნელს ომარ მერებაშვილს რამდენიმე დღის წინ 65 წელი შეუსრულდა. საწვრთნელო კარიერის მანძილზე მას არაერთი სახელოვანი სპორტსმენი ჰყავს აღზრდილი, მათ შორის ოლიმპიური ჩემპიონი დავით ხახალეიშვილი. ომარ მერაბიშვილი დღესაც ძველბური შემართებით განაგრძობს საქმიანობას და კვლავაც ქართული ძიუდოს სამსახურშია. მწვრთნელს განვლილ კარირასა და სამომავლო გეგმებზე ვესაუბრეთ.**

**- როგორ შეაფასებდით თქვენ მიერ განვლილ გზას?**

- მწვრთნელობა ძალიან საინტერესო, თუმცა, ამასთანავე, რთული პროფსიაა. სულ ჩრდილში ვართ მოქცეული, მაგრამ ცხოვრებას თავიდან რომ ვიწყებდე, ისევ მწვრთნელი გავხდებოდი. ძალიან დიდი სიხარულია, როცა შენი შეგირდი წარმატებებს აღწევს, ეს განცდა ყველა გასაჭირსა და საფიქრალს გავიწყებს. მწვრთნელების წარმატებების საზომად მათი მონაფეების მიერ მიღწეული შედეგები ითვლება. დავასახლებ ჩემს მიერ აღზრდილ ხუთ ძიუდოისტს, რომლებითაც ერთი დიდი სახელმწიფოც კი იამაყებდა – დავით ხახალეიშვილი, აკაკი კიბორძალიძე, ავთანდილ გუბელაძე, რუსლან გედენიძე და ირაკლი ცირეკიძე. ეს ბიჭები ჩემს ხელში აღიზარდნენ და მათი წყალობით წარმატებული მწვრთნელის სახელი მაქვს.

**- როგორ იწყებოდა თქვენი კარირა?**

- სამბოს ვჭიდაობდი და მწვრთნელობაც ამ სახეობაში დავიწყე. 1972 წელს ძიუდო სამბოს გაემიჯნა. სპეციალური გადამზადების შემდეგ ძიუდოში გადავედი. პირველი დიდი წარმატებებიც მალე მოვიდა, აკაკი კიბორძალიძე, ავთანდილ გუბელაძე და დავით ხახალეიშვილი საბჭოთა კავშირის სპარტაკიადის ჩემპიონები გახდნენ, შემდგომში მათ არაერთი ტიტული მოიპოვეს, ხახალეიშვილი კი ოლიმპიური ჩემპიონი გახდა.

**- თქვენს კარიერაში ყველაზე დიდი სიხარული ალბათ მაშინ განიცადეთ.**

- როცა ხახალეიშვილმა ოლიმპიადის ფინალში იაპონელი ოგავა დაამარცხა, უბედნიერესი კაცი ვიყავი, რადგანაც უდიდესი შრომა და გარჯა დაგვიფასდა. ვერ წარმოიდგენთ, რა დღეები გადავიტანეთ ბარსელონის ოლიმპიადამდე. მაშინ ისეთი პოლიტიკური ვითარება იყო, რომ დსთ-ის ნაკრებში გამოსვლას სასტიკად გვიკრძალავდნენ. შემდეგ მთავრობა შეიცვალა და უკვე კატეგორიულად გვთხოვდნენ ხახალეიშვილის ნაკრებში მოხვედრას. დათომ ყველა საკონტროლო შეხვედრა მოიგო და ბარსელონაში წავიდა, სადაც ბრწყინვალედ იასპარეზა და შინ ოქროს მედლით დაგვიბრუნდა. ჩემი ოცნებაა, რომ საწვრთნელო კარიერის დასრულებამდე ჩემმა აღსაზრდელებმა კიდევ ერთი ოლიმპიური მედლით დამასაჩუქრონ. ირაკლი ცირეკიძის ძალიან დიდი იმედი მაქვს და მას აქვს კიდეც ამის შესაძლებლობა.

**- ყველაზე დიდი იმედგაცრუებათ უთუოდ ხახალეიშვილს უკავშირდება?**

- რა თქმა უნდა. 1996 წელს ატლანტის ოლიმპიადაზე მომხდარი ამბავი, როცა დავით ხახალეიშვილი აწონვაზე დაგვიანების გამო შეჯიბრებიდან მოხსნეს. დათო ძალიან მაგრად იყო მომზადებული და ისეთი წილისყრა ჰქონდა, ფინალში გასვლა ჯიბეში ედო...

**- თქვენი შეგირდებიდან ვინ იყო ისეთი, რომელსაც კარიერაში უფრო მეტის მიღწევა შეეძლო?**

- ძალიან ნიჭიერი სპორტსმენი იყო მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი აკაკი კიბორძალიძე. მასზე დიდ იმედებს ვამყარებდი, ტიტულები არ აკლდა მაგრამ, უფრო დიდ მწვერვალზე ასვლაც შეეძლო. სხვებიც იყვნენ, მაგრამ შემდეგ სახელმწიფო აირ-დაირია, სამოქალაქო ომი დაიწყო და ამან შეგვაფერხა.

**- ახლანდელ თაობაზე რას იტყვით?**

- ბრწყინვალე თაობაა და ეს საქმითაც არაერთხელ დაამტკიცეს. ძიუდო ძალიან განვითარდა და წინ წავიდა. ქართველებმა სიახლეებს ნაბიჯი კარგად ავუწყვეთ და მსოფლიოში ერთ ერთი ყველაზე წარმატებული ნაკრები გვყავს. ამაში ჩემი მონაფეების წვლილიცაა. ზემოთაც აღვნიშნე რომ ირაკლი ცირეკიძის დიდი იმედი მაქვს. ეს ბიჭი ისეთი სტილის მოჭიდავეა, ცოტა ტექნიკა რომ დახვეწოს, მომრევი აღარ ეყოლება. სულ რაღაც ორი წელია, რაც ამობრწყინდა და უკვე თითქმის ყველა უძლიერესი სპორსმენისთვის მოგებული აქვს. დიდი იმედი მაქვს რომ პეკინში ოლიმპიურ ოქროს მედალს მოიპოვებს.

**- რა არის თქვენი წარმატებების საიდუმლო?**

- პირველ რიგში ის, რომ ჩემი საქმე ძალიან მიყვარს. ძიუდო არის ჩემი ცხოვრება და სანამ ფეხზე ვიქნები მას ვემსახურები. ჩვენს სკოლაში კონვეირული სისტემა გვაქვს ჩამოყალიბებული: ვიწყებთ დილის ჯგუფებით, შემდეგ გამორჩეულები გადაგვყავს ძლიერებში, იქედან უძლიერესებში, აქედან ვარჩევთ და ვქმნით დიდ ჯგუფს. ეს სისტემა საშუალებას გვაძლევს, რომ ნიჭიერი ახალგაზრდები აღმოვაჩინოთ და მათ წინსვლაში შევუწყოთ ხელი.

**- ცოტა ხნის წინ ითქვა, რომ ქუთაისში ძიუდოს სასახლე აშენდებაო.**

- ქუთაისმა ქართული ძიუდოს წარმატებაში ძალიან დიდი წვლილი შეიტანა, ისე რომ საკუთარი დარბაზი არ გვქონია. ახლაც სხვაგან ვართ შეკედლებული, თუმცა მხარის რწმუნებული აკაკი ბობოხიძე პრეზიდენტის სახელით დაგვპირდა, რომ ქუთაისში 500 მაყურებელზე გათვლილი ძიუდოს სასახლე აშენდება. იმედია, სიტყვას საქმე მოჰყვება.

**დავით კოხრეიძე**
ქუთაისიდან

იაპონელები გვეხმარებიან

# სარეაბილიტაციო გრანტი მთავარი დარბაზისთვის

დღეს იაპონიის კულტურის ცენტრში საქართველოს ძიუდოს ფედერაცია იაპონურ მხარესთან ხელშეკრულებას გააფორმებს ძიუდოს ცენტრალური დარბაზის სარეაბილიტაციოდ გრანტის გამოყოფის თაობაზე. ეს თანამშრომლობა ერთი შემადგენელი ნაწილია იაპონური მხარის საგრანტო დახმარებისა, რაც გორში შეზღუდული შესაძლებლობების ადამიანთათვის საქველმოქმედო, ოზურგეთში პროფესიულ რეაბილიტაციის, მარნეულში მოსავლის აღება-გაუმჯობესების ცენტრების შექმნისა და ყარაჯალაში საშუალო სკოლის რეაბილიტაციის პროექტებს მოიცავს.

დღეს ყველა ამ პროექტს მოაწერენ ხელს და მათ შორის, ძიუდოისტთათვის დახმარებასაც. სავარაუდოდ, ამ დარბაზს ამიერიდან იაპონია-საქართველოს მეგობრობის დარბაზი ერქმევა. არადა, საწყენია, რომ ვერაფრით მიანიჭეს ამაგდარი მწვრთნელის, საქართველოში ძიუდოს ერთ-ერთ ფუძემდებლის, ბიძინა მაზიაშვილის სახელი.

ძიუდოს ცენტრალური დარბაზი სპორტის ამ სახეობაში ერთ-ერთი საუკეთესოა, თუმცა მხოლოდ საქართველოს მასშტაბებით, თანამედროვე კონდიციებამდე მისაყვანად კი გვარიანი თანხებია საჭირო. საბოლოოდ ამაზე იაპონელები დაგვთანხმდნენ. წინასწარი მონაცემებით, დარბაზის სარეაბილიტაციოდ დაახლოებით 90 ათას დოლარს გამოდიან. აღსანიშნავია, რომ აზიელები შესაძლო პროექტებს მათთვის ჩვეული პროფესიონალიზმით, დიდხანს და დაკვირვებით მუშაობდნენ, დაახლოებით ერთი წელიწადი, და გადაწყვეტილებაც ისე მიიღეს.

**ირაკლი თავაძე**

ჭიდაობა

# ჭიდაობა ჩვენი, ქართული...

## ტურნირმა ათვლა დაიწყო

ლეგენდარული ფალავნის **ვახტანგ ბალავაძის** ღვაწლის საქვეყნოდ დამფასებლებს ქართული ხალხური თამაშებისა და სპორტის ეროვნული სახეობების ასოციაცია და სამტრედიის რაიონის გამგეობა შეემატა. მათი თაოსნობით, სამტრედიაში პირველად გაიმართა ვახტანგ ბალავაძის სახელობის ტურნირი ქართულ ჭიდაობაში. მონაწილეობდნენ კახეთის, ქართლის, იმერეთისა და სამეგრელოს მოჭიდავეები. ტურნირის კომისარი იყო ბალავაძის მეგობარი, წარსულში საქართველოს აბსოლუტური ფალავანი სიმონ მაისურაძე. ავადმყოფობის გამო ვახტანგ ბალავაძე თავად ვერ დაესწრო ასპარეზობას. ტურნირის გახსნისას წაიკითხეს მისი მიმართვა მონაწილეებისადმი:

"მოხარული ვარ, რომ ჩემს მშობლიურ კუთხეში, სადაც ჭიდაობა ვისწავლე, დღეს ასეთი ტურნირი იმართება. ყოველთვის ვამბობდი, დღეს კი ახალგაზრდა მოჭიდავეებს გავუმეორებ, რომ მსოფლიოში არ არსებობს ქართული ჭიდაობის დარი რაინდული და ლამაზი ჭიდაობა. ჩემს ყველა ვამარჯვებას, ყველა ტიტულს, ქართულ ჭიდაობას ვუმადლი. "ჭიდაობის პროფესორიც" იმიტომ შემარქვეს, რომ ნახერხმოყრილ საჭიდაოზე ნასწავლი ილეთებით ვამარცხებდი ირანელ, თურქ თუ იაპონელ ფალავნებს. დიდი იმედი მაქვს, რომ თქვენს შორისაც არიან მომავალი ჩემპიონები, რომლებიც ოდესლაც გაიხსენებენ, რომ პირველი გამარჯვება სწორედ სამტრედიაში გამართულ ტურნირზე მოიპოვეს". - ნათქვამია მიმართვაში.

ტურნირზე პირველად გაჟღერდა ქართული ჭიდაობის ჰიმნი, რომელიც შეიქმნა ასოციაციის მოწადინებით. ტექსტის და მუსიკის ავტორია აკაკი (თემურ) პაპაშვილი, ასრულებს თემურ ნიკლაური.

ტურნირის ორგანიზატორებს მხარში დაუდგნენ ქუთაისის, ზუგდიდისა და აბაშის რაიონების ხელმძღვანელები, კომპანიები "ყაზბეგი" და "ბორჯომი", ქართული ჭიდაობის ქომაგები **გიორგი მიქელაძე, თამაზ კენჭოშვილი** და **ლაერტ ზუბადაშვილი.**

დიმიტრი დონდუა,

ქართული ხალხური თამაშებისა და სპორტის ეროვნული სახეობების ასოციაციის პრეზიდენტი

| 60 კგ |
|---|
| 1. ტარიელ ჯანაშია (სამტრედია) |
| 2. გიორგი ყვეწაშვილი (ყვარელი) |
| 3. ლევან ოთინაშვილი (ყვარელი) |

| 70 კგ |
|---|
| 1. ზვიად მაზანდარაშვილი (გორი) |
| 2. ვასილ ბერუაშვილი (რუსთავი) |
| 3. მანუჩარ მარგიანი (სამტრედია) |

| 80 კგ |
|---|
| 1. ლევან წიკლაური (ყვარელი) |
| 2. ოთარ ახალაია (ზუგდიდი) |
| 3. ლევან ზარდიაშვილი (გურჯაანი) |

| 90 კგ |
|---|
| 1. გოდერძი ჯავახაძე (ქუთაისი) |
| 2. იასონ ნემსაძე (ქუთაისი) |
| 3. ლაშა ბერიძე (რუსთავი) |

| +90 კგ |
|---|
| 1. გიორგი დარძული (რუსთავი) |
| 2. დავით ცინცაძე (ქუთაისი) |
| 3. ზაზა ჩაჩუა (სამტრედია). |

## თვის მოვლენები

**1. ფეხბურთი:** ავსტრალიელმა მცველმა ნედ ზელიჩმა თბილისის "დინამოსთან" წელიწადნახევრიანი კონტრაქტი გააფორმა.

**3. რაგბი:** ერთა თასის პირველი ტურის მატჩში საქართველოს ნაკრებმა სტუმრად დაამარცხა რუმინეთი 20:17 და ანთიმოზ ივერიელის თასი დაიბრუნა.

**6. ფეხბურთი:** საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების თავკაცად გერმანელი რალფ მინგეს ნაცვლად ხორვატი პეტარ სეგრტი დაინიშნა.

**7. ფეხბურთი:** საქართველოს ახალგაზრდულმა ნაკრებმა 1:2 წააგო ამხანაგური მატჩი თურქეთის გუნდთან. ქართველთაგან გოლი აკაკი ხუბუტიამ გაიტანა.

**7. ფეხბურთი:** საქართველოს ეროვნულმა ნაკრებმა ამხანაგურ მატჩში თურქეთის გუნდი დაამარცხა - 1:0. გამარჯვების გოლი დავით სირაძემ გაიტანა.

**8. ფეხბურთი:** გიორგი დემეტრაძემ უცხოელებზე ლიმიტის შემოღებისთვის უკრაინის ფეხბურთის ფედერაციასა და საფეხბურთო ლიგას უჩივლა.

**8. სამბო:** სამბოს ფედერაციის ყრილობაზე პრეზიდენტად "სახალხო ბანკის" გენერალური დირექტორი გიორგი გოგუაძე აირჩიეს.

**7–9. ჩოგბურთი:** დევისის თასზე საქართველოს ნაკრებმა 3:2 დაამარცხა პორტუგალიის ნაკრები და სულ მცირე პირველ ევრო-აფრიკულ ჯგუფში ადგილი შეინარჩუნა. მატჩები მოიგეს: ირაკლი ლაბაძემ, ლადო ჩიხლაძემ და ლაბაძე-ჩიხლაძის წყვილმა, წააგეს: გიორგი ჭანტურიამ და გიორგი ხრიკაძემ.

**8–9. ძიუდო:** წარუმატებლად იასპარეზა პარიზის მსოფლიო სუპერთასზე საქართველოს ნაკრებმა, შოთა ხაბარელის შეგირდებმა ერთი მედალიც კი ვერ მოიპოვეს "ბერსიში".

**9. ფეხბურთი:** იენის "კარლ ცაისის" შემადგენლობაში პირველი გოლი გაიტანა მიხეილ აშვეთიამ.

**13. ფეხბურთი:** გაირკვა საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების მეტოქეები: ესპანეთი, რუსეთი, პოლონეთი და ყაზახეთი.

**15. კრივი:** დასრულდა საქართველოს ჩემპიონატი. ჩემპიონები გახდნენ: ზვიად ხადური (48 კგ), მერაბ თურქაძე (51), ნიკოლოზ იზორია (54), კობა ფხაკაძე (57), ვასილ ყაზიშვილი (60), ლევან ლვამიჩავა (64), კახა ჟვანია (69), რევაზ ქარელიშვილი (75), თორნიკე იველაშვილი (81), იაგო კილაძე (91) ბექა ლობჟანიძე (+91)

**18. ფეხბურთი:** სეზონი საქართველოში თასის მეოთხედფინალური მატჩებით განახლდა.

**17–20. ჭიდაობა:** გაიმართა საქართველოს ახალგაზრდული ჩემპიონატი ანტიკურ და თავისუფალ ჭიდაობაში.

## თებერვალი

**19–23. ზამთრის სახეობები:** ხაკაში (ესპანეთი) ახალგაზრდობის ოლიმპიურ დღეებში ქართველი სამთომოთხილამურეები და ბიატლონისტები გამოვიდნენ.

**23. ფეხბურთი:** ზამთრის პაუზის შემდეგ განახლდა საქართველოს ჩემპიონატი.

**23. ჭადრაკი:** მოსკოვის "აეროფლოტ ოუფენზე" შარშანდელმა გამარჯვებულმა ბაადურ ჯობავამ მხოლოდ მეშვიდე ადგილი დაიკავა.

**25. ძიუდო:** ჰამბურგის მსოფლიო სუპერთასზე ლაშა გუჯეჯიანმა (მძიმე) ბრინჯაოს მედალი მოიპოვა.

**26. სუმო:** გამოქვეყნდა ახალი რეიტინგი. ლევან ცაგურია (კოკაი) მეშვიდე მაეგაშირაა.

**27. ფიგურული ციგურაობა:** გერმანიაში ახალგაზრდულ მსოფლიო ჩემპიონატზე ქართული წყვილიც მონაწილეობს - ეკატერინა ზაიკინა-ოთარ ჯაფარიძე.

ტრანსფერები

# დიდი ვაჭრობის დღე

## ნეში აილენდერსში, ბერტუცი დეტროიტში, გერინი სან ხოსეში... ლიგაში სატრანსფერო ფანჯარა დაიხურა



ბილ გერინი

სამშაბათს, თბილისის დროით 23 საათზე დასრულდა პერიოდი, როცა ჰოკეის ეროვნული ლიგის გუნდებს მოთამაშეთა გაცვლითი ოპერაციების განხორციელება შეეძლოთ. ტრეიდების ბოლო დღეს, რამდენიმე ხმაურიანი ტრანსფერი შედგა. ზოგმა გუნდმა მოახლოებული ფლეი ოფის წინ შემადგენლობის გაძლიერება გადაწყვიტა, სხვებმა კი, სამომავლო პერსპექტივებზე გააკეთეს აქცენტი.

■ ■ ■

აქტიური სატრანსფერო დღე "ფლორიდამ" და "პიტსბურგმა" გახსნეს. "პანტერებმა" პენსილვანიაში გაუშვეს ლიგის ერთ-ერთი ყველაზე ასაკოვანი ჰოკეისტი, 40 წლის **გარი რობერტსი**. სავარაუდოდ, რობერტსის გამოცდილება, რომელსაც 1989 წელს "კალგარისთან" ერთად სტენლის თასი აქვს მოგებული, ახალგაზრდულ "პიტსბურგს" ფლეი ოფის მატჩებში გამოადგება. სეზონში უმოტივაციოდ დარჩენილმა "ფლორიდამ" პერსპექტიული მცველი **ნოე უელჩი** მიიღო.

გარდა რობერტსისა, "პინგვინებმა" "ფინიქსს" ლიგის ერთ-ერთი ყველაზე ძალისმიერი ჰოკეისტი, ფრანგული წარმოშობის **ჟორჟ ლარაკი** "გამოსძალეს". ჩვენ უკვე ვწერდით იმის შესახებ, რომ ლარაკის მთავარი ამოცანა "პიტსბურგის" ახალგაზრდა ვარსკვლავების - **სიდნი კროსბის, ევგენი მალკინისა** და **ჯორდან სტაალის** დაცვა იქნება. ლარაკის სანაცვლოდ "ფინიქსმა" ნაკლებად ცნობილი ფორვარდი **დანიელ კარჩილო** და დრაფტის მესამე რაუნდში არჩევანის უფლება მიიღო.

■ ■ ■

მეკარეები გაცვალეს "ბაფალომ", "ფილადელფიამ" და "კოლამბუსმა". "ბაფალოდან" "ფილადელფიაში" გადავიდა 29 წლის **მარტინ ბირონი**, რომელიც წელს ბრწყინვალედ მოთამაშე **რაიან მილერის** ჩრდილში მოექცა. სანაცვლოდ, "სეიბრზს" დრაფტის მეორე რაუნდში არჩევანის უფლება ერგო.

თუმცა "ბაფალო" მეორე მეკარის გარეშე დიდხანს არ დარჩენილა. 2007 წლის დრაფტის მეხუთე რაუნდის ნაცვლად, "სეიბრზმა" "კოლამბუსიდან" ამერიკელი გოლკიპერი **ტაი კონკლინი** დაიმატა. ეს აშკარად ფლეი ოფის მატჩებზე გათვლილი ნაბიჯია. შარშან, კონკლინი სტენლის თასის ფინალში "ედმონტონის" ღირსებას იცავდა. მართალია, მაშინ შეცდომები ბლომად დაუშვა, მაგრამ გამოცდილებაც საკმარისი შეიძინა, რაც "ბაფალოს" ფლეი ოფში აშკარად გამოადგება.

■ ■ ■

ფლეი ოფზე გათვლილი კიდევ ერთი ხმაურიანი გაცვლა შედგა "სან ხოსესა" და "სენტ ლუისს" შორის. "ბლუზმენების" 36 წლის თავდამსხმელი **ბილ გერინი**, რომელიც 90-იან წლებში "დალასთან" ერთად სტენლის თასის მფლობელი გახდა, "სან ხოსეში" გადავიდა. ეს უკანასკნელი სტენლის თასის წინ, შემადგენლობის გაძლიერებას ლამობდა და ამიტომაც, ვეტერანი ფორვარდის სანაცვლოდ არ დაინანა ფინელი **ვილე ნიემინენი**, ახალგაზრდა ფორვარდი **ჯეი ბერიბოლი** და 2007 წლის დრაფტის პირველ რაუნდში ჰოკეისტის არჩევის უფლება.

■ ■ ■

ძალიან სერიოზული შენაძენი აქვს სტენლის თასის მოპოვების კიდევ ერთ პრეტენდენტ "დეტროიტ რედ უინგზს". მან შემადგენლობა ფლორიდელი **ტოდ ბერტუცით** გააძლიერა. თუმცა ეს ოდნავ სარისკო ნაბიჯიცაა, ვინაიდან ტრავმების გამო, 32 წლის ფორვარდი წელს სულ შვიდჯერ გამოჩნდა ყინულზე. ბერტუცი იმედოვნებს, რომ მალე აღიდგენს სპორტულ ფორმას და სტენლის თასის მოპოვებაში დაეხმარება "დეტროიტს". ბერტუციში "ფლორიდამ" დრაფტის სხვადასხვა რაუნდში არჩევანის უფლება მოიპოვა.

■ ■ ■

უმნიშვნელოვანესი მოვლენა მოხდა "ედმონტონში". კლუბი დატოვა მრავალწლიანმა კაპიტანმა და სიმბოლო - **რაიან სმიტმა**, რომელმაც თავის კარიერაში პირველად გამოიცვალა გუნდი. დღეიდან სმიტი "ნიუ იორკ აილენდერსში" ითამაშებს. "ოილერზს" კი, რაიანის სანაცვლოდ ახალგაზრდა ჰოკეისტები - **რობერტ ნილსონი** და **რაიან ო'მარა** დარჩა.

აღსანიშნავია, რომ წელს, რაიან სმიტმა "ედმონტონის" შემადგენლობაში 53 მატჩი ჩაატარა და 53 ქულა (31 გოლი+22 შედეგიანი გადაცემა) დააგროვა. ამ ჰოკეისტმა არაერთხელ განაცხადა, რომ "ედმონტონში" დარჩენა და იქ კარიერის დასრულება სურდა, მაგრამ "მენავთობეებმა" ვერ შეძლეს მისთვის მრავალწლიანი კონტრაქტის გაფორმება და სმიტსაც კლუბისა და ქვეყნის შეცვლა მოუხდა.

## NHL. რეგულარული ჩემპიონატი

**რეინჯერსი-მონრეალი 4:0**

1:0, 2:0, 1:0

**გოლები**: 1:0 იაგრი-23 (კულენი-18, პრუხა-15), 2:0 მარსელ ჰოსა-9 (იმონენი-4, ტიუტინი-12), 3:0 მარსელ ჰოსა-10 (მალიკი-13, იაგრი-53), 4:0 კულენი-12 (მარსელ ჰოსა-6, როჟსივალი-23).

**ვაშინგტონი-ფლორიდა 5:6 (ბ)**

3:4, 1:1, 1:0, 0:0

**გოლები**: 0:1 კოლნიკი-8 (გრეტონი-14), 0:2 ო. იოკინენი-26 (ოლეში-14), 0:3 უეისი-14 (გელინასი-22, სალეი-24), 1:3 ოვეჩკინი-36 (პოტიე-20), 2:3 სატერბი-6 (ოვეჩკინი-40, ერსკინი-6), 2:4 ო. იოკინენი-27 (სემიონოვი-2, გელინასი-23), 3:4 ბიჩი-7 (მუირი-3, ოვეჩკინი-41), 3:5 ო. იოკინენი-28 (ოლეში-15, შტუმპელი-28), 4:5 ოვეჩკინი-37 (სატერბი-10, ბრაშირი-8), 5:5 ლეიჩი-8 (კლიმერი-11, პეტინგერი-14).

**ბულიტები გაიტანეს**: შტუმპელი (ფლორიდა), პელტონენი (ფლორიდა).

**კოლორადო-კოლამბუსი 3:2**

1:0, 1:0, 1:2

**გოლები**: 1:0 ბრუნეტი-24 (ლაილსი-25, ჰეიდუკი-25), 2:0 პ. შჩასტნი-22 (ჰეიდუკი-26, ფინგერი-1), 3:0 რაიკროფტი-5 (გიტი-4), 3:1 რ. ნეში-18 (ჰეინსი-21, მალორტა-12), 3:2 რ. ნეში-19 (ა. ერიქსონი-19, ვიბორნი-39).

**სენტ ლუისი-ვანკუვერი 3:1**

0:0, 1:1, 2:0

**გოლები**: 1:0 ბეკსი-8 (დვორაკი-22, დრეიკი-6), 1:1 დ. სედინი-27 (სანტალა-2, ჰ. სედინი-51), 2:1 უეიტი-7 (ჩაიანეკი-27, ბრიუერი-16), 3:1 უეიტი-8 (ბრიუერი-17, ბეკსი-6).

**კაროლინა-ოტავა 2:4**

0:0, 2:1, 0:3

**გოლები**: 0:1 ჰიტლი-37 (სპეცა-36, კორვო-19), 1:1 ე. სტაალი-26 (სტილმანი-14, რეი უიტნი-46), 2:1 ვაშიჩეკი-5 (კომოდორი-18, სტილმანი-15), 2:2 ვოლჩენკოვი-1 (ფილიპსი-13), 2:3 რედენი-6 (სპეცა-37, ალფრედსონი-42), 2:4 სპეცა-26 (ალფრედსონი-43, ჰიტლი-44).

**ედმონტონი-ფინიქსი 0:3**

0:1, 0:2, 0:0

**გოლები**: 0:1 ნოლანი-15 (დ. მორისი-9, დოენი-19), 0:2 ლეუ-1 (დ. მორისი10, ტეფი-1), 0:3 რაინპრეხტი-7 (დოენი-20).

**ტორონტო-ბაფალო 1:6**

0:1, 1:3, 0:2

**გოლები**: 0:1 პომინვილი-26 (მაკარტური-2, დ. რუა-32), 0:2 სტეფორდი-4 (ვანეკი-29, ჰეხტი-24), 0:3 დ. რუა-12 (კალინინი-16, ვანეკი-30), 1:3 პონიკაროვსკი-17 (პოლი-12, ი. უაიტი-19), 1:4 ჰეხტი-15 (ლიდმანი-15, მაკარტური-3), 1:5 ჰეხტი-16 (პაეტში-17), 1:6 მაკარტური-2 (მეირი-4, კალეტა-2).

**აილენდერ-ფილადელფ 6:5 (ო)**

4:1: 1:2, 0:2, 1:0

**გოლები**: 1:0 ჯ. ბლეიკი-32 (კამპოლი-9, რ. რობიტაილი-19), 2:0 ჯ. ბლეიკი- (რ. რობიტაილი-20), 2:1 უმბერგერი-13 (პიტკანენი-31, ს. რუჟიჩკა-5), 3:1 ჰანტერი-18 (სილინჯერი-27), 4:1 ჯ. ბლეიკი-31, 4:2 ს. კაპანენი-10 (აფანასენკოვი-7, მ. რიჩარდსი-15), 5:2 საიმონი-8 (ჯ. ბლეიკი-24, რ. რობიტაილი-21), 5:3 აფანასენკოვი-8 (პიკარი-15, მ. იორკი-9), 5:4 უმბერგერი-14 (პიკარი-16), 5:5 განიე-35 (პიტკანენი-32, ჯ. კარტერი-18), 6:5 ჰანტერი-19 (სილინჯერი-28, პოტი-22).

**ტამპა ბეი-დალასი 1:2 (ო)**

0:0, 1:1, 0:0, 0:1

**გოლები**: 0:1 ი. ლეპტინენი-22 (ი. იოკინენი-23, მოდანო-14), 1:1 ბ. რიჩარდსი-23 (პერენი-18, რეინჯერი-22), 1:2 ნადი-10 (რიბეირო-32, ბუშე-25).

**ჩიკაგო-დეტროიტი 1:4**

0:1, 0:2, 1:1

**გოლები**: 0:1 კალდერი-10 (ფრანცენი-14), 0:2 ჰოლმსტრიომი-25 (დაციუკი-45, კრონვალი-17), 0:3 ფრანცენი-8 (კალდერი-13, ჰაშეკი-1), 0:4 ჰოლმსტრიომი-26 (ლიდსტრიომი-45, დაციუკი-46), 1:4 ჯ. ჰამილტონი-14 (ბონდრა-7, სიბრუკი-12).

**პიტსბურგი-ნიუ ჯერსი 0:1**

0:0, 0:1, 0:0

**გოლი**: 0:1 ლანგენბრუნერი-21 (გომესი-40, ელიაში-39).

ედმონტონ ოილერზი

# მესიე გრეტცკის გვერდით დააყენეს

თავის დროზე, **მარკ მესიე** "ედმონტონ ოილერზს" ხუთჯერ გაჩემპიონებაში დაეხმარა. კლუბმაც ლეგენდარულ ფორვარდს ამაგი არ დაუკარგა და გუშინ, "ფინიქს კოიოტსთან" მატჩის წინ, საკუთარი არენის თაღზე მესიეს 11-ნომრიანი მაისურა აღმართა.

ამ ცერემონიალისთვის "ფინიქსთან" მატჩი შემთხვევით არ შეურჩევიათ. ამ კლუბის მთავარი მწვრთნელი ლეგენდარული **უეინ გრეტცკია**, რომელთან ერთადაც მარკი 80-იანი წლების დიდ "ედმონტონში" თამაშობდა.

მესიე "ოილერზის" ისტორიაში მეხუთე ჰოკეისტი გახდა, ვისაც მსგავსი პატივი ხვდა წილად. მანამდე, "რექსოლ პლეისის" ჭერში **ელ ჰამილტონის** (3), **იარი კურის** (17), **გრანტ ფიურის** (31), **პოლ კოფის** (77) და **უეინ გრეტცკის** (99) მაისურები ჩამოკიდეს.

*"დიდი მადლობა უნდა ვუთხრა აქაურ გულშემატკივრებს, რომლებიც საუკეთესონი არიან მთელ NHL-ში. ბედნიერი ვარ, რომ დღეს ჩემ გვერდით გრეტცკი იმყოფება. უეინის გარეშე არ შედგებოდა ის გამარჯვებები, რომელსაც "ედმონტონმა" მიაღწია"*, - განაცხადა მარკ მესიემ. სხვათა შორის, გუშინდელ ცერემონიალს ძველი "ოილერზის" მთავარი მწვრთნელი - **გლენ სატერიც** ესწრებოდა.

მესიე ჰოკეის ეროვნული ლიგის ისტორიაში მეოთხე ჰოკეისტი გახდა, ვისი მაისურიც ორი კლუბის არენის თაღზე კიდია. ეს მოთამაშეები არიან - გრეტცკი ("ედმონტონი" და "ლოს ანჯელესი"), **რეი ბურკი** ("ბოსტონი" და "კოლორადო") და **ბობი ჰალი** ("ჩიკაგო" და "ვინიპეგი"). "ნიუ იორკ რეინჯერსმა" მარკის მაისურა 2006 წლის იანვარში აღმართა "მედისონ სკვერ გარდენის" თაღზე.

"ედმონტონმა" მარკ მესიე 1979 წლის დრაფტის მესამე რაუნდში აირჩია. ამ კლუბში მან 12 სეზონი გაატარა, 851 მატჩში 392 გოლი გაიტანა და 1034 ქულა დააგროვა, ხუთჯერ მოიგო სტენლის თასი, თითოჯერ დასახელდა სეზონისა და ფლეი ოფის საუკეთესო მოთამაშედ.

1991 წელს, მესიე "ნიუ იორკ რეინჯერსში" გადავიდა და 1994 წელს, ამ კლუბს 53-წლიანი პაუზის შემდეგ, პირველად მოაპოვებინა სტენლის თასი, რითაც პირველი ჰოკეისტი გახდა NHL-ის ისტორიაში, ვინც ორი კლუბის კაპიტნის რანგში მოიგო სტენლის თასი.

სულ ჰოკეის ეროვნულ ლიგაში მარკ მესიემ 1756 მატჩი ჩაატარა, 694 გოლი გაიტანა და 1193 შედეგიანი გადაცემა შეასრულა. მოპოვებული ქულების რაოდენობით (1887), ის მხოლოდ გრეტცკის ჩამორჩება, ასევე მეორე ადგილზეა ჩატარებული მატჩების მიხედვით (ჩამორჩება **გორდი ჰოუს**) და მესამეა გრეტცკისა და **რონ ფრენსისის** შემდეგ, საგოლე პასების რაოდენობით.



მარკ მესიე

## მარტის კალენდარი

**1 მარტი**
ბოსტონი-ფილადელფია
რეინჯერსი-პიტსბურგი
ვანკუვერი-ფინიქსი
ედმონტონი-მინესოტა
ვაშინგტონი-ტამპა ბეი
აილენდერსი-სენტ ლუისი
ფლორიდა-დალასი
ლოს ანჯელესი-ანაჰაიმი
ჩიკაგო-კოლორადო

**2 მარტი**
კაროლინა-პიტსბურგი
ანაჰაიმი-სან ხოსე
ნიუ ჯერსი-ტორონტო
ატლანტა-ოტავა
დალასი-კოლამბუსი
დეტროიტი-ჩიკაგო
ბაფალო-მონრეალი

**3 მარტი**
რეინჯერსი-სენტ ლუისი
ლოს ანჯელესი-ნეშვილი
ბოსტონი-მონრეალი
ტორონტო-ბაფალო
ვაშინგტონი-აილენდერსი
ფინიქსი-კოლამბუსი
ფლორიდა-ტამპა ბეი
ედმონტონი-კალგარი

**4 მარტი**
პიტსბურგი-ფილადელფია
ატლანტა-კაროლინა
დეტროიტი-კოლორადო
ჩიკაგო-ოტავა
დალასი-სან ხოსე
ანაჰაიმი-ნეშვილი
ნიუ ჯერსი-ბოსტონი
ვანკუვერი-მინესოტა

**5 მარტი**
რეინჯერსი-აილენდერსი

**6 მარტი**
ბოსტონი-კოლორადო
ვანკუვერი-ტამპა ბეი
მინესოტა-სან ხოსე
სენტ ლუისი-კალგარი
ფილადელფია-ნიუ ჯერსი
ატლანტა-ფლორიდა
ტორონტო-ვაშინგტონი
ოტავა-პიტსბურგი
ჩიკაგო-ლოს ანჯელესი
დეტროიტი-ნეშვილი

**7 მარტი**
ბაფალო-კოლორადო
ანაჰაიმი-ფინიქსი
კოლამბუსი-ლოს ანჯელესი
ედმონტონი-ტამპა ბეი

**8 მარტი**
ბოსტონი-მინესოტა
ფილადელფია-ფლორიდა
ატლანტა-მონრეალი
ფინიქსი-ვანკუვერი
ნეშვილი-კალგარი
სენტ ლუისი-დალასი
ოტავა-ტორონტო
აილენდერსი-რეინჯერსი
პიტსბურგი-ნიუ ჯერსი

**9 მარტი**
ვაშინგტონი-კაროლინა
კოლამბუსი-დალასი
ანაჰაიმი-ედმონტონი
დეტროიტი-ლოს ანჯელესი
სან ხოსე-ვანკუვერი
ბაფალო-მინესოტა

**10 მარტი**
ფილადელფია-ბოსტონი
პიტსბურგი-რეინჯერსი
ბაფალო-ნიუ ჯერსი
ტორონტო-ოტავა
ფინიქსი-ჩიკაგო
ნეშვილი-კოლამბუსი
სენტ ლუისი-მონრეალი
აილენდერსი-ვაშინგტონი
ატლანტა-ფლორიდა
კალგარი-ტამპა ბეი

**11 მარტი**
რეინჯერსი-კაროლინა
დეტროიტი-ბოსტონი
მინესოტა-კოლორადო
დალასი-ლოს ანჯელესი
ანაჰაიმი-ვანკუვერი
სან ხოსე-ედმონტონი

**12 მარტი**
ატლანტა-ვაშინგტონი
ფინიქსი-ფილადელფია
კალგარი-სენტ ლუისი
ლოს ანჯელესი-ედმონტონი

**13 მარტი**
რეინჯერსი-ოტავა
ნეშვილი-დეტროიტი
ვანკუვერი-მინესოტა
კაროლინა-ფლორიდა
ტორონტო-ტამპა ბეი
მონრეალი-აილენდერსი
დალასი-ფილადელფია
სან ხოსე-ჩიკაგო
პიტსბურგი-ბაფალო

**14 მარტი**
კოლორადო-კალგარი
ანაჰაიმი-კოლამბუსი
ნიუ ჯერსი-პიტსბურგი
დეტროიტი-ნეშვილი

**15 მარტი**
ბოსტონი-ვაშინგტონი
ედმონტონი-მინესოტა
ფინიქსი-სან ხოსე
ვანკუვერი-სენტ ლუისი
ფილადელფია-ატლანტა
კაროლინა-ნიუ ჯერსი
ლოს ანჯელესი-ჩიკაგო
ოტავა-აილენდერსი
ფლორიდა-ბაფალო
დალასი-კალგარი

**16 მარტი**
ვაშინგტონი-ტორონტო
ანაჰაიმი-ჩიკაგო
პიტსბურგი-მონრეალი
ატლანტა-რეინჯერსი
სან ხოსე-კოლამბუსი
ტამპა ბეი-ბაფალო

**17 მარტი**
ნიუ ჯერსი-კაროლინა
ედმონტონი-სენტ ლუისი
მონრეალი-ტორონტო
ვანკუვერი-დეტროიტი
ფინიქსი-კოლორადო
რეინჯერსი-ბოსტონი
ოტავა-ფილადელფია
ნეშვილი-დალასი
კალგარი-მინესოტა
ფლორიდა-აილენდერსი
ლოს ანჯელესი-კოლამბუსი

**18 მარტი**
ვაშინგტონი-ტამპა ბეი
ატლანტა-ბაფალო
ანაჰაიმი-ლოს ანჯელესი
კოლორადო-სან ხოსე
დალასი-ფინიქსი
პიტსბურგი-ოტავა

**19 მარტი**
რეინჯერსი-პიტსბურგი
ედმონტონი-ვანკუვერი

**20 მარტი**
მონრეალი-ბოსტონი
კალგარი-დეტროიტი
ფილადელფია-ფლორიდა
სენტ ლუისი-ოტავა
მინესოტა-ფინიქსი
კოლამბუსი-ჩიკაგო
ტორონტო-ნიუ ჯერსი
ტამპა ბეი-აილენდერსი

**21 მარტი**
ბაფალო-ვაშინგტონი
ედმონტონი-კოლორადო
ვანკუვერი-ნეშვილი
რეინჯერსი-ფილადელფია
ლოს ანჯელესი-დალასი
ჩიკაგო-სან ხოსე

**22 მარტი**
კაროლინა-ვაშინგტონი
კალგარი-ნეშვილი
ფინიქსი-ანაჰაიმი
ატლანტა-სან ხოსე
მინესოტა-სენტ ლუისი
ბოსტონი-მონრეალი
აილენდერსი-პიტსბურგი
ტამპა ბეი-ნიუ ჯერსი
ფლორიდა-ოტავა
დეტროიტი-კოლამბუსი

**23 მარტი**
ედმონტონი-კოლორადო
ანაჰაიმი-დალასი
ჩიკაგო-ლოს ანჯელესი
ბაფალო-ტორონტო

**24 მარტი**
ბოსტონი-რეინჯერსი
ფილადელფია-აილენდერსი
პიტსბურგი-ატლანტა
დეტროიტი-სენტ ლუისი
ტორონტო-ბაფალო
მონრეალი-ვაშინგტონი
მინესოტა-ლოს ანჯელესი
ფინიქსი-დალასი
კაროლინა-სან ხოსე
ტამპა ბეი-ოტავა
ფლორიდა-ნიუ ჯერსი
ედმონტონი-ნეშვილი

**25 მარტი**
აილენდერსი-რეინჯერსი
პიტსბურგი-ბოსტონი
კოლამბუსი-სენტ ლუისი
ჩიკაგო-კალგარი
ვანკუვერი-კოლორადო

**26 მარტი**
დეტროიტი-ანაჰაიმი

**27 მარტი**
ვაშინგტონი-პიტსბურგი
კოლორადო-ვანკუვერი
მინესოტა-კალგარი
ნეშვილი-ედმონტონი
სენტ ლუისი-კოლამბუსი
ტამპა ბეი-ფლორიდა
ტორონტო-კაროლინა
მონრეალი-რეინჯერსი
ოტავა-ბოსტონი
სან ხოსე-ლოს ანჯელესი
დალასი-ფინიქსი
აილენდერსი-ნიუ ჯერსი

**28 მარტი**
ბაფალო-ნიუ ჯერსი
ფილადელფია-კაროლინა
ფლორიდა-ატლანტა
ჩიკაგო-ანაჰაიმი

**29 მარტი**
ბოსტონი-პიტსბურგი
ატლანტა-ტორონტო
კოლამბუსი-ანაჰაიმი
სენტ ლუისი-ედმონტონი
ნეშვილი-დეტროიტი
მინესოტა-კალგარი
ფინიქსი-კოლორადო
ლოს ანჯელესი-ვანკუვერი

**30 მარტი**
კაროლინა-ტამპა ბეი
ოტავა-მონრეალი
ნიუ ჯერსი-ფილადელფია
ფლორიდა-ვაშინგტონი
სან ხოსე-ფინიქსი
ჩიკაგო-კოლამბუსი
დეტროიტი-დალასი
ბაფალო-აილენდერსი

**31 მარტი**
ბოსტონი-ატლანტა
კოლორადო-მინესოტა
ტორონტო-პიტსბურგი
მონრეალი-ბაფალო
სენტ ლუისი-ანაჰაიმი
ვანკუვერი-კალგარი
ნეშვილი-დალასი
აილენდერსი-ოტავა
ფილადელფია-რეინჯერსი
ტამპა ბეი-ვაშინგტონი



არენასმა თამაშს უკლო

NBA. რეგულარული ჩემპიონატი

# აივერსონის შემდეგ გარნეტი

რაც დრო გადის, "დალას მავერიქსი" სულ უფრო დიდ ჰანდიკაპს იქმნის დანარჩენ გუნდებთან. **ეივერი ჯონსონის** ბიჭები უკვე იმდენად იოლად იგებენ, რომ ტეხასელთა მთავარ მწვრთნელს, ალბათ, თავისუფლად შეუძლია ნაკლებად დატვირთოს **დირკ ნოვიცკი, ჯეისონ ტერი, ჯოშ ჰოვარდი** და **ჯერი სტექჰაუზი**. რეზერვისტები შესანიშნავად ცვლიან ძირითადის მოთამაშეებს და გუნდი დამაჯერებლად მიიწევს რეგულარულის ჩემპიონობისკენ. ფლეი ოფიც ახლოვდება და სიმართლე გითხრათ, ცოტა მეეჭვება კიდეც, ამ ფორმაციისა და გაქანების "მავერიქსს" ვინმემ სერია მოუგოს. "დალასის" 4 მატჩში დასამარცხებლად, ოპონენტმა თითქმის უშეცდომო კალათბურთი უნდა ითამაშოს.

ჯონსონის გუნდის მორიგი მსხვერპლი "მინესოტა" და მისი სუპერვარსკვლავი **კევინ გარნეტი** გახდნენ.

არავინ დავობს იმაზე, რომ "მგლებსა" და ნოვიცკის გუნდს შორის უსაშველოდ დიდი სხვაობაა, მაგრამ ასეთი შერცხვენა?!

გარნეტი, რომელიც მიმდინარე რეგულარულში ერთ მატჩში საშუალოდ 22.3 ქულასა და 12.8 მოხსნას აგროვებს და ჯერაც საუკეთესო მოთამაშის პრიზის მოპოვების ერთ-ერთი ფავორიტია, საცოდავი სანახავი იყო. მან თამაშიდან 16-დან 11 ტყორცნა გააფუჭა და პირნმინდად დათმო პრინციპული დაპირისპირება გერმანელთან, ვისაც არც ამჯერად დაეწუნებოდა არაფერი.

"დალასმა" მეტოქეს ოდენ 65 ქულა გააკეთებინა და ამ მხრივ გუნდური რეკორდიც დაამყარა. კიდევ ერთი რეკორდი კი წაუგებელ თვეს უკავშირდება – მანამდე "მავერიქსს" არასოდეს დაესრულებინა ერთი თვე ასპროცენტიანი მაჩვენებლით.

"დალასმა" ზედიზედ მეცამეტე შეხვედრა მოიგო და 58-ე მატჩში 48-ე გამარჯვება მოიპოვა.

*"ყოველ მომდევნო შეხვედრაზე ვფიქრობთ. ბევრი უკვე ახლავე გვანიჭებს ჩემპიონობას, მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ ფლეი ოფში ზედიზედ 13-ს კი არა, 3-4 მატჩსაც არავინ მოგაგებინებს. უფრო სწორად, ამის გაკეთება რეგულარულთან შედარებით რთული იქნება"*, - ამბობს ჯეისონ ტერი.

"მავერიქსმა" თებერვალი 11 მოგებითა და წაგების გარეშე დაასრულა. ალნიშნულ მატჩში კი, "მინესოტამ" 81 "ცოცხალი" სროლიდან მხოლოდ 24 გამოიყენა და 29.6-პროცენტიანი მაჩვენებლით ყველა დროის გუნდური ანტირეკორდი დაამყარა.

"მგლები" უკანასკნელ 21 შეხვედრაში მეთხუთმეტედ დამარცხდნენ და დღეს უკვე სულ უფრო ხშირად საუბრობენ იმაზე, რომ ამ რეგულარულის ბოლომდე "მინესოტას" ბოსები ახლანდელ მთავარ მწვრთნელს, რბილ და ლმობიერ **რენდი უიტმენს** თანამდებობიდან გაათავისუფლებენ.

*"დალასი" ძალიან ძლიერი გუნდია, მაგრამ ჩვენ შორის ისეთი სხვაობაც არ არის, რომ ოთხი მეოთხედის განმავლობაში მხოლოდ 65 ქულა დავაგროვოთ"*, - მიაჩნია გარნეტს.

მთლიანად "მგლებს" რაც შეეხება, კევინ გარნეტის გაშვება კვლავ დღის წესრიგში უნდა იდგეს. აგერ, "ფილადელფიამ" **ალენ აივერსონი** "ნაგეტსში" რომ მიაბრძანა, მას მერე გუნდი ბევრად უკეთ ათამაშდა. გარნეტისთვისაც ასე აჯობებს.

■ ■ ■

მაქსიმუმის დემონსტრირებას ახდენს "ნიუ ჯერსი", რომელსაც ჯერაც აკლია ტრავმირებული **რიჩარდ ჯეფერსონი** და **ნენად კრსტიჩი**.

**ჯეისონ კიდი** კარიერაში საუკეთესო სეზონს ატარებს, **ვინს კარტერი** მხოლოდ მაყურებელზე აღარ თამაშობს და ნელ-ნელა ახალგაზრდებიც (პირველ რიგში, კიდის შემცვლელი **მარკუს უილიამსი**) უმატებენ.

"ვაშინგტონთან" მატჩში, ისტრუზერფორდელებმა 16 ზუსტი (32 მცდელობიდან) სამქულიანით გუნდური რეკორდი დაამყარეს, ხოლო შორეული ტყორცნებისას ჩვეულებრივად არასტაბილურმა კიდმა, 10-დან 6 ასეთი სროლა შეასრულა ზუსტად. ჯეისონი განსაკუთრებით მესამე მეოთხედში იყო შეუჩერებელი - ამ მონაკვეთში მან 10-დან 7 ტყორცნა შეასრულა (5 ზუსტი სამქულიანი) ზუსტად და 19 ქულაც გააკეთა.

სეზონში საუკეთესო მატჩი ჩაატარა ბებერმა **კლიფორდ რობინსონმაც**. ვეტერანი ფორვარდი, რომელიც მიმდინარე რეგულარულში ერთ მატჩში საშუალოდ მხოლოდ 4.3 ქულასა და 2.5 მოხსნას აგროვებს, 2-დან 2 ზუსტი სამქულიანითა და მისი მხრიდან ბევრის მიერ მივიწყებული დიდებული დაცვით გამოირჩა.

*"ვიცი, რომ ყველამ ჩამომწერა და სიმართლე გითხრათ, რეგრესს მეც ვგრძნობ, მაგრამ კვირაში ერთი შეხვედრის მაღალ დონეზე ჩატარება ახლაც შემიძლია"*, - განაცხადა ნამატჩევს გამართულ პრესკონფერენციაზე კლიფორდმა, რომელიც თავის დროზე, ორჯერ საუკეთესო რეზერვისტადაც ულიარებიათ.

"უიზარდსის" მარცხის ერთ-ერთი მიზეზი კი **გილბერტ არენასის** საშინელი გამოსვლის გარდა (25 სროლიდან მხოლოდ 7 გამოიყენა), **კეირონ ბატლერის** ტრავმაც იყო. "დიდი სამეულის" (არენასი-ბატლერი-**ანტუან ჯეიმისონი**) ორი წევრის გარეშე (ჯეიმისონი უკვე კარგა ხანია დაშავებულთა სიაშია შეყვანილი) დარჩენილმა "ვაშინგტონმა", ვერც **ჯარვის ჰეიესის** სეზონში სარეკორდო 21 ქულით იხეირა და ზედიზედ მესამედ დამარცხდა.

რაც შეეხება არენასს, მან ბოლო ორ შეხვედრაში თამაშიდან 47-დან 11 სროლა გამოიყენა. ეს მისი გუნდის თამაშზეც აისახა.

**ზურაბ თალაკვაძე**

**კლივლენდი-ნიუ ორლეანი 97:89**

25:18, 27:25, 25:22, 20:24

კლივლენდი: ლ. ჯეიმსი (35 ქ. 8 პ. 5 მ. 2 ჩ), გიბსონი (12 ქ), ჰიუზი (11 ქ. 8 მ. 5 პ. 2 ჩ. 2 დ), ილგაუსკასი (11 ქ. 9 მ).

ნიუ ორლეანი: დევ. უესტი (25 ქ. 10 მ. 6 პ. 2 ჩ), მეისონი (16 ქ. 5 მ), ჩენდლერი (14 ქ. 10 მ. 3 დ).

**მინესოტა-დალასი 65:91**

19:26, 8:16, 26:26, 12:23

მინესოტა: გარნეტი (15 ქ. 13 მ), რ. დევისი (15 ქ. 4 მ. 2 ჩ), მ. ბლაუნტი (10 ქ).

დალასი: ნოვიცკი (23 ქ. 14 მ), ტერი (18 ქ. 7 პ), ჯოშ ჰოვარდი (17 ქ. 7 მ), დიოპი (6 ქ. 10 მ. 3 დ).

**მილუოკი-გ. სტეიტი 122:101**

27:30, 35:23, 29:15, 31:33

მილუოკი: რედი (31 ქ), ჩ. ბელი (20 ქ), პატერსონი (19 ქ. 8 მ. 2 ჩ), მო უილიამსი (16 ქ. 13 პ. 5 მ), ბოგუტი (13 ქ. 14 მ. 2 დ).

გოლდენ სტეიტი: მ. ელისი (17 ქ. 3 პ), ელ ჰარინგტონი (15 ქ), აზუბუიკე (14 ქ), პაუელი (12 ქ. 8 მ. 5 პ), ჯ. რიჩარდსონი (12 ქ. 8 მ. 7 პ. 4 ჩ. 2 დ), მ. პიეტრუსი (11 ქ. 2 ჩ).

**ინდიანა-ფინიქსი 92:103**

19:19, 31:30, 29:24, 13:30

ინდიანა: ჯ. ონილი (28 ქ. 13 მ. 7 პ. 6 დ), დ. არმსტრონგი (17 ქ. 6 პ), მ. დანლივი-უმცროსი (16 ქ), დ. გრეინჯერი (13 ქ. 7 მ. 3 პ), ფოსტერი (უქულოდ, 14 მ).

ფინიქსი: ნეში (25 ქ. 11 პ. 4 მ), ა. სტაუდმაიერი (23 ქ. 18 მ. 2 ჩ), მერიონი (22 ქ. 6 მ), ბარბოსა (13 ქ. 4 ჩ), რ. ბელი (11 ქ).

**ნიუ ჯერსი-ვაშინგტონი 113:101**

22:18, 27:33, 30:27, 34:23

ნიუ ჯერსი: ვ. კარტერი (27 ქ. 6 მ), კიდი (26 ქ. 9 პ. 8 მ), ნახბარი (23 ქ. 6 მ), ე. ჰაუსი (12 ქ. 5 მ. 5 პ), კ. რობინსონი (12 ქ).

ვაშინგტონი: არენასი (26 ქ. 6 მ. 3 პ), ჰეიესი (21 ქ. 9 მ. 3 პ), ჰეივუდი (11 ქ. 8 მ).

**აღმოსავლეთი**

| | თ | მ | წ | % |
|---|---|---|---|---|
| 1. დეტროიტი* | 55 | 36 | 19 | 65.5 |
| 2. კლივლენდი | 57 | 33 | 24 | 57.9 |
| 3. ვაშინგტონი* | 55 | 31 | 24 | 56.4 |
| 4. ტორონტო* | 57 | 31 | 26 | 54.4 |
| 5. ჩიკაგო | 59 | 32 | 27 | 54.2 |
| 6. ინდიანა | 56 | 29 | 27 | 51.8 |
| 7. ნიუ ჯერსი | 58 | 28 | 30 | 48.3 |
| 8. ორლანდო | 58 | 28 | 30 | 48.3 |
| 9. მაიამი | 56 | 27 | 29 | 48.2 |
| 10. ნიუ იორკი | 58 | 26 | 32 | 44.8 |
| 11. შარლოტი | 57 | 22 | 35 | 38.6 |
| 12. ატლანტა | 57 | 22 | 35 | 38.6 |
| 13. მილუოკი | 58 | 21 | 37 | 36.2 |
| 14. ფილადელფია | 57 | 19 | 38 | 33.3 |
| 15. ბოსტონი | 56 | 14 | 42 | 25.0 |

**დასავლეთი**

| | თ | მ | წ | % |
|---|---|---|---|---|
| 1. დალასი* | 57 | 48 | 9 | 84.2 |
| 2. ფინიქსი* | 57 | 44 | 13 | 77.2 |
| 3. სან ანტონიო | 57 | 39 | 18 | 68.4 |
| 4. იუტა* | 56 | 37 | 19 | 66.1 |
| 5. ჰიუსტონი | 56 | 35 | 21 | 62.5 |
| 6. ლეიკერსი | 58 | 33 | 25 | 56.9 |
| 7. დენვერი | 55 | 27 | 28 | 49.1 |
| 8. კლიპერსი | 56 | 27 | 29 | 48.2 |
| 9. ნიუ ორლეანი | 57 | 27 | 30 | 47.4 |
| 10. მინესოტა | 57 | 26 | 31 | 45.6 |
| 11. გ. სტეიტი | 58 | 26 | 32 | 44.8 |
| 12. საკრამენტო | 56 | 24 | 32 | 42.9 |
| 13. პორტლენდი | 58 | 24 | 34 | 41.4 |
| 14. სიეტლი | 56 | 22 | 34 | 39.3 |
| 15. მემფისი | 57 | 15 | 43 | 25.9 |

*შენიშვნა: * - დივიზიონის ლიდერი*

# TV სპორტი

**1 მარტი. ხუთშაბათი**

**SPORT 1 (უკრაინა)**

**08:08** ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. შტუტგარტი-ჰერტა.
**10:00** სპორტინფორმი.
**10:17** ავტოსპორტი. A1 გრან-პრი. მიმოხილვა.
**11:17** სპორტინფორმი.
**11:32** ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. მილანი-სამპდორია.
**13:20** მძლეოსნობა
**13:55** ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. პალერმო-მილანი.
**15:42** ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**16:42** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. ფინალი. როტერდამი. ჰოლანდია.
**18:17** ფეხბურთი. პორტუგალიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**18:45** ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ინტერი-უდინეზე.
**20:30** სპორტინფორმი.
**20:42** ჰოკეი. NHL-ის რეგულარული ჩემპიონატი. ვაშინგტონი-ოტავა-კაროლინა.
**22:27** მძლეოსნობა
**22:40** სპორტინფორმი.
**22:55** ჩოგბურთი. ATP-ის მიმოხილვა.
**23:23** ფეხბურთი. ლიბერტადორესის თასი. ჯგუფური ტურნირი. სან პაულუ-ალიანსა.
**01:10** სპორტინფორმი.
**01:25** კრივი. ნოკაუტების დრო.
**02:15** სპორტინფორმი.
**02:30** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალი. ლილი-მანჩესტერ იუნ.
**04:20** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალის მიმოხილვა.
**05:20** ავტოსპორტი. A1 გრან-პრი. მიმოხილვა.
**06:20** ფეხბურთი. პორტუგალიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**06:48** ფეხბურთი. ლიბერტადორესის თასი. ჯგუფური ტურნირი. სან პაულუ-ალიანსა.
**08:33** ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.

**EUROSPORT**

**10:00** თხილამურებით რბოლა. მსოფლიო ჩემპიონატი. ესტაფეტა 4x5 კმ. ქალები. საპორო. იაპონია (LIVE).
**11:00** თხილამურებით რბოლა. მსოფლიო ჩემპიონატი. მამაკაცები. 15 კმ. საპორო. იაპონია.
**11:45** მძლეოსნობა.
**12:15** თხილამურებით რბოლა. მსოფლიო ჩემპიონატი. ესტაფეტა 4x5 კმ. ქალები. საპორო. იაპონია.
**13:00** ბიატლონი. მსოფლიო თასი. ქალები. ინდივიდუალური. ლაჰტი. ფინეთი.
**14:00** ფეხბურთი. მერიდიანის თასი. ბარსელონა. ესპანეთი (LIVE).
**16:00** თხილამურებით რბოლა. მსოფლიო ჩემპიონატი. ესტაფეტა 4x5 კმ. ქალები. საპორო. იაპონია.
**16:15** ბიატლონი. მსოფლიო თასი. მამაკაცები. ინდივიდუალური. ლაჰტი. ფინეთი (LIVE).
**18:00** ჩოგბურთი. WTA-ს ტური. 1/4 ფინალი. დოჰა. კატარი (LIVE).
**20:30** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. 1/4 ფინალი. დუბაი. საემიროები (LIVE).
**22:15** ბიატლონი. მსოფლიო თასი. მამაკაცები. ინდივიდუალური. ლაჰტი, ფინეთი.
**23:30** კრივი. WBA. ნ. ვალუევი (რუსეთი)-ჯ. მაკლეინი (აშშ). ბაზელი. შვეიცარია.
**01:30** ბიატლონი. მსოფლიო თასი. მამაკაცები. ინდივიდუალური. ლაჰტი. ფინეთი.
**02:45** კიკბოქსინგი.

**EUROSPORT-2**

**10:30** ახალი ამბები.
**13:00** ლაკროსი.
**14:00** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. 1/4 ფინალი. დუბაი. საემიროები (LIVE).
**17:30** ფეხბურთი. მერიდიანის თასი. ბარსელონა. ესპანეთი.
**19:00** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. 1/4 ფინალი. დუბაი. საემიროები (LIVE).
**20:30** მულტისპორტი.
**21:00** ახალი ამბები.
**21:30** სნოუბორდი.
**22:00** ფრისტაილი. მსოფლიო თასი. ლა პლანი. საფრანგეთი.
**22:30** ახალი ამბები.
**23:00** ფეხბურთი. მერიდიანის თასი. ბარსელონა. ესპანეთი.
**00:00** ბილიარდი. პული. მალაგა. ესპანეთი.
**01:00** ხელბურთი. ჩემპიონთა ლიგა. I მატჩი. ფლენსბურგი (გერმანია)-ბარსელონა (ესპანეთი).
**02:00** ახალი ამბები.
**02:15** ხელბურთი. ჩემპიონთა ლიგა. I მატჩი. კილი (გერმანია)-ვეჟპრემი (უნგრეთი).
**03:30** ახალი ამბები.

# ცხელი ხაზი

**ფეხბურთი**

| ინგლისის თასი | |
|---|---|
| ბლეკბერნი-არსენალი | 1:0 |

| ესპანეთის თასი. 1/4 ფინალი. II მატჩები | |
|---|---|
| ოსასუნა-ხეტაფე | 1:0 (0:3) |
| ბეტისი-სევილია | შეწყდა (0:0) |
| ვალიადოლიდი-დეპორტივო | 1:1 (1:4) |
| სარაგოსა-ბარსელონა | 1:2 (1:0) |

| გერმანიის თასი. 1/4 ფინალი | |
|---|---|
| შტუტგარტი-ჰერტა | 2:0 |

| რეგიონალლიგა (ჩრ) | |
|---|---|
| ვერდერი II-ლევერკუზენი II | 1:0 |

| საფრანგეთის თასი. 1/4 ფინალი | |
|---|---|
| მონაკო-ლანსი | 1:0 |
| სოშო-პსჟ | 2:1 |

| ჰოლანდიის თასი. 1/4 ფინალი | |
|---|---|
| ვაალვეიკი-როდა | 1:0 |
| უტრეხტი-ალკმაარი | 1:2 |
| ბრედა-აინდჰოვენი | 3:0 |
| ვილემი-აიაქსი | 0:2 |

| ბელგიის თასი. 1/4 ფინალი | |
|---|---|
| გენტი-მუსკრონი | 2:1 |
| ანტვერპენი-სტანდარდი | 0:1 |
| ბრიუგე-კორტრიიკი | 2:1 |
| გენკი-ანდერლეხტი | 0:1 |

| პორტუგალიის თასი | |
|---|---|
| ბრაგანსა-ბელენენსეში | 1:2 |
| ბეირა მარი-ნოავიშტა | 0:0, დ.დ. 2:0 |
| სპორტინგი-აკადემიკა | 2:1 |

| შოტლანდიის თასი | |
|---|---|
| მოზერველი-სტ. ჯონსტონი | 1:2 |

| საბერძნეთის თასი | |
|---|---|
| პანათინაიკოსი-ქსანთი | 0:0 |

| თურქეთის თასი | |
|---|---|
| გაზიანთეპი-ტრაბზონი | 1:1 |
| მანისა-ბეშიქთაში | 2:0 |

| პოლონეთის ლიგის თასი | |
|---|---|
| გურნიკი-ვისლა | 2:3 |
| ზაგლებე-ოდრა | 1:0 |

**კალათბურთი**

| ევროლიგა | |
|---|---|
| დინამო-უნიკახა | 86:80 |
| პროკომი-პანათინაიკოსი | 69:75 |
| ტაუგრესი-რომა | 99:56 |

**ჰოკეი**

| სლოვაკეთი | |
|---|---|
| ტრენჩინი-მარტინი | 3:2 |

| შვედეთი | |
|---|---|
| აიკ-ვ371 | 3:0 |
| ბრინასი-ლინჩოპინგსი | 0:2 |
| მალმიო-იურგორდენი | 1:2 |
| მორა-მოდო | 5:2 |
| ტიმრა-ფერიესტადი | 0:0 |
| ფრიოლუნდა-ლულეა | 4:4 |

**ჩოგბურთი**

| ATP. დუბაი | |
|---|---|
| სიმონი-სანტორო | 4:6, 2:6 |
| სიოდერლინგი-ჰრბატი | 6:3, 7:5 |
| ბერდიხი-იუჟნი | 6:7, 3:6 |
| ჰაასი-სერა | 7:6, 6:3 |
| ჯოკოვიჩი-შუტლერი | 7:6, 6:3 |
| დავიდენკო-ო. როხუსი | 6:4, 4:6, 2:6 |
| ფედერერი-ბრაჩიალი | 7:5, 6:3 |
| ნადალი-ანდრეევი | 6:2, 3:6, 7:6 |

| ATP. ლას ვეგასი | |
|---|---|
| ვერდასკო-უდომჩოკე | 6:1, 5:7, 6:2 |
| კუნიცინი-კუბეკი | 6:2, 6:2 |
| მელცერი-ლოდრა | 6:4, 2:6, 7:5 |
| ბეკერი-კუერტენი | 6:4, 6:3 |

| WTA. დოჰა | |
|---|---|
| შნიდერი-მედინა გარიგესი | 6:3, 6:4 |
| კუზნეცოვა-გორჯესი | 7:5, 6:1 |
| ჰანტუხოვა-დანილიდუ | 6:7, 6:4, 6:3 |
| ანენი-მოლიკი | 6:2, 7:6 |
| ჰინგისი-კირილენკო | 2:6, 2:6 |
| იანკოვიჩი-კამერინი | 6:0, 6:1 |
| მირზა-ბონდარენკო | შეწყდა |
| სკიავონე-სანტანჯელო | შეწყდა |

# ჩოგბურთი

## ტურნირები

### ATP

**დუბაის ჩემპიონატი**

დუბაი (საემიროები). 26 თებერვალი-3 მარტი. ჰარდი
**საპრიზო ფონდი**: 1 401 250 დოლარი

**I წრე**

**რაფაელ ნადალი (ესპ, 2)**-მარკოს ბაღდატისი (კვიპ) 3:6, 6:2, 6:3; **ნიკოლაი დავიდენკო (რუს, 3)**-იუნეს ელ აინაუი (მარ) 6:7 (2), 7:5, 7:5; **ტომი ჰაასი (გერ, 5)**-რადეკ სტეპანეკი (ჩეხ) 6:4, 6:3; **ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ, 7)**-კრისტოფ ვლიეგენი (ბელ) 4:6, 6:4, 6:3; **რობინ სიოდერლინგი (შვედ)**-დავიდ ფერერი (ესპ, 8) 7:6 (13), 6:1; **რაინერ შუტლერი (გერ)**-ანდრეას სეპი (იტა) 6:0, 7:6 (5); **დანიელე ბრაჩიალი (იტა)**-ოლივერ მარაჩი (ავსტრია) 6:4, 6:3; **ჟილ სიმონი (საფ)**-ფილიპ კოლშრაიბერი (გერ) 6:4, 6:4; **მიხაილ იუჟნი (რუს)**-იარკო ნიემინენი (ფინ) 3:6, 6:3, 6:3.

**აბიერტო მექსიკანო**

აკაპულკო (მექსიკა). 26 თებერვალი-3 მარტი. თიხნარი
**საპრიზო ფონდი**: 757 000 დოლარი

**I წრე**

**დიეგო ჰატფილდი (არგ)**-უგო არმანდო (აშშ) 6:4, 7:6(4); **სტეფანო გალვანი (იტა)**-იან ჰაიეკი (ჩეხ) 6:3, 6:2; **ნიკოლას ალმაგრო (ესპ, 3)**-მარიანო საბალეტა (არგ) 6:3, 6:4; **გასტონ გაუდიო (არგ, 5)**-ლუის ორნა (პერ) 1:1 ორნას უარი; **აგუსტინ კალერი (არგ, 2)**-ალბერტო მარტინი (ესპ) 6:3, 6:2; **ლუკას დლოუჰი (ჩეხ)**-ალესიო დი მაურო (იტა) 6:3, 6:2; **რუბენ რამირეს იდალგო (ესპ)**-სანტიაგო გონსალესი (მექ) 6:4, 6:3; **ნიკოლას მასუ (ჩილ, 6)**-ხუან მონაკო (არგ) 7:6(4), 7:5; **ხოსე აკასუსო (არგ, 7)**-ალბერტ მონტანიესი (ესპ) 6:0, 7:5; **ოსკარ ერნანდესი (ესპ)**-ფერნანდო ვისენტე (ესპ) 6:2, 7:5; **კარლოს მოია (ესპ, 8)**-ბრუნო ეჩაგარაი (მექ) 6:3, 6:4.

**ტენის ჩანელის ღია**

ლას ვეგასი (აშშ). 26 თებერვალი-3 მარტი. ჰარდი
**საპრიზო ფონდი**: 416 00 დოლარი

**I ჯგუფი**

**ევგენი კოროლიოვი (რუს)**-ჯეიმს ბლეიკი (აშშ, 1) 6:2, 6:4.
**სატურნირო მდგომარეობა**: ხუან მარტინ დელ პოტრო (არგ) - 1 მოგება/0 წაგება; კოროლიოვი - 1/1; ბლეიკი - 0/1.

**II ჯგუფი**

**ჟულიან ბენეტო (საფ, 6)**-პოლ გოლდსტეინი (აშშ) 6:1, 6:0.
**სატურნირო მდგომარეობა**: ბენეტო - 1 მოგება/0 წაგება; სემ კერი (აშშ) - 0/0; გოლდსტეინი - 0/1.

**III ჯგუფი**

**პოლ კაპდევილე (ჩილ)**-მიხაელ ლოდრა (საფ) 6:2, 2:6, 6:1.
**სატურნირო მდგომარეობა**: კაპდევილე - 1 მოგება/0 წაგება; იურგენ მელცერი (ავსტრია, 4) - 0/0; ლოდრა - 0/1.

**IV ჯგუფი**

**იან ჰერნიჩი (ჩეხ)**-ბენჯამინ ბეკერი (გერ, 8) 6:3, 7:5.
**სატურნირო მდგომარეობა**: ჰერნიჩი - 1 მოგება/0 წაგება; გუსტავო კუერტენი (ბრა) - 0/0; ბეკერი - 0/1.

**V ჯგუფი**

**პოლ ანრი მატიო (საფ)**-დანაი უდომჩოკე (ტაილ) 6:2, 6:3.
**სატურნირო მდგომარეობა**: მატიო - 1 მოგება/0 წაგება; ფერნანდო ვერდასკო (ესპ, 5) - 0/0; უდომჩოკე - 0/1.

**VI ჯგუფი**

**მარატ საფინი (რუს, 3)**-სტეფან კუბეკი (ავსტრია) 7:5, 6:2.
**სატურნირო მდგომარეობა**: საფინი - 1 მოგება/0 წაგება; იგორ კუნიცინი (რუს) - 0/0; კუბეკი - 0/1.

**VII ჯგუფი**

**ტიმ ჰენმანი (ბრიტ, 7)**-ნიკოლა მაუ (საფ) 6:1, 6:2.
**სატურნირო მდგომარეობა**: ჰენმანი - 1 მოგება/0 წაგება; ფელისიანო ლოპესი (ესპ) - 0/0; მაუ - 0/1.

**VIII ჯგუფი**

**ლეიტონ ჰიუიტი (ავსტრა, 2)**-ვინსენტ სპეიდი (აშშ) 6:3, 6:3.
**სატურნირო მდგომარეობა**: ჰიუიტი - 1 მოგება/0 წაგება; ტომას იოჰანსონი (შვედ) - 0/0; სპეიდი - 0/1.

### WTA

**კატარის ღია**

დოჰა (კატარი). 26 თებერვალი-3 მარტი. ჰარდი
**საპრიზო ფონდი**: 1 340 000 დოლარი

**I წრე**

**პატი შნიდერი (შვეიც, 5)**-არავან რეზაი (საფ) 6:2, 2:6, 6:2; **კატერინა ბონდარენკო (რუს)**-ანა-ლენა გრონეფელდი (გერ) 7:5, 4:6, 6:3; **ანაბელ მედინა გარიგესი (ესპ)**-მეგან შონესი (აშშ) 3:6, 6:3, 6:2; **მარია კირილენკო (რუს)**-ანე კრემერი (ლუქ) 6:1, 6:2; **ელენი დანილიდუ (საბ)**-სელიმა სფარი (ტუნ) 6:0, 6:3; **მარია ელენა კამერინი (იტა)**-ალიონა ბონდარენკო (უკრ) 6:3, 6:4; **ალისია მოლიკი (ავსტრა)**-აი სუგიამა (იაპ) 0:6, 6:2, 3:1 სუგიამას უარი; **ჯული გორჯესი (გერ)**-აგნეს ჟავაი (უნგ) 6:2, 6:3.

**აბიერტო მექსიკანო**

აკაპულკო (მექსიკა). 26 თებერვალი-3 მარტი. თიხნარი
**საპრიზო ფონდი**: 757 000 დოლარი

**I წრე**

**მარიონ ბარტოლი (საფ, 1)**-კამილ პინი (საფ) 7:6(7), 6:2; **ტატიანა გარბინი (იტა, 2)**-როსანა დე ლოს რიოსი (პარ) 4:6, 6:2, 6:4; **მარტინა მიულერი (გერ, 3)**-ჟილ კრეიბასი (აშშ) 6:4, 6:3; **სევერინ ბრემონი (საფ, 4)**-ეკატერინა ძეჰალევიჩი (ბლრ) 7:6(5), 6:4; **ფლავია პენეტა (იტა, 5)**-ლურდეს დომინგეს ლინო (ესპ) 6:3, 6:3; **გიზელა დულკო (არგ, 6)**-ჯენიფერ ვიჯაია (ბრა) 6:2, 6:2; სარა ერანი (იტა)-სიბილ ბამერი (ავსტრია, 7) 6:2, 7:6(6); მელისა სანდოვალი (მექ)-ნიკოლ პრატი (ავსტრა, 8) 2:6, 6:3, 6:3; რობერტა ვინჩი (იტა)-ეშლი ჰარკლროუდი (აშშ) 6:3, 6:3; ევა ბირნეროვა (ჩეხ)-გრეტა არნი (გერ) 2:6, 6:4, 6:2; **ალიზ კორნე (საფ)**-ივეტა ბენესოვა (ჩეხ) 7:6(2), 4:6, 6:3; **სოფია გუბაჩი (უნგ)**-კლარა ზაკოპალოვა (ჩეხ) 5:7, 7:5, 6:1.

---

ფორმულა 1

## კოვალაინენი ტრავმებს გადაურჩა

ბაჰრეინის "საჰირზე" გამართული მორიგი სატესტო სერია ერთი სერიოზული ავარიით დასრულდა, რომელშიც "რენოს" დებიუტანტი, ფინელი **ჰეიკი კოვალაინენი** მოხვდა.

როგორც "როიტერი" იტყობინება, კოვალაინენის ბოლიდი 200 კილომეტრი საათში სიჩქარით მოძრაობდა, როცა დამცავ ბარიერს შეეჯახა. პილოტი არ დაშავებულა, მაგრამ იმ დღეს, ფინელი ტესტებზე აღარ დაუშვეს.

ბოლო დღეებში, ბაჰრეინის ტესტებზე საუკეთესონი იყვნენ "მაკლარენის" პილოტები - ესპანელი **ფერნანდო ალონსო** (საუკეთესო დრო - 1.30,994) და მისი ახალგაზრდა პარტნიორი, ბრიტანელი **ლუის ჰამილტონი** (1.31,094).

კალათბურთი

## კროუფორდმა სეზონი დაასრულა?

"ნიუ იორკ ნიქსის" ლიდერმა **ჯამალ კროუფორდმა** რეგულარული ჩემპიონატის ერთ-ერთ ბოლო ტურში მარჯვენა ფეხის ტრავმა მიიღო. როგორც პირველადმა სამედიცინო შემოწმებამ აჩვენა, კალათბურთელს შესაძლოა ოპერაცია დასჭირდეს, რაც იმას ნიშნავს, რომ კროუფორდი მომავალ სეზონამდე ველარ შეძლებს თამაშს.

შეგახსენებთ, რომ 26 წლის კროუფორდმა წლევანდელ სეზონში 58 მატჩი ჩაატარა. ის საშუალოდ შეხვედრაში 17.9 ქულას, 4.5 შედეგიან გადაცემასა და 3.3 მოხსნას აგროვებდა.

## ლივინგსტონი ერთი წელი დაისვენებს

"ლოს ანჯელეს კლიპერსს" ხანგრძლივი დროით გამოაკლდა **შონ ლივინგსტონი**. "შარლოტთან" მატჩის დროს, 21 წლის კალათბურთელი მოულოდნელად პარკეტზე დაეცა და თამაშის გაგრძელება ველარ შეძლო. როგორც გაირკვა, მან მუხლი დაიზიანა. ექიმების დიაგნოზით, ლივინგსტონი 8-12 თვე ველარ გავა მოედანზე.

"კლიპერსის" ფორვარდს ტრავმებისადმი მიდრეკილება ადრეც ჰქონდა. წელს, მან ჯამში 51 მატჩი გამოტოვა, გასულ სეზონში კი, ზურგი ჰქონდა დაზიანებული და 21 შეხვედრა ჩაագდო.

---

# ბარის თხილამურები



ლარს ბერგერი

მსოფლიოს ჩემპიონატი

## ბერგერმა თოფის გარეშე გაიმარჯვა

ნორვეგიელ ბიატლონისტ **ლარს ბერგერის** გამარჯვებით დასრულდა საპოროში მიმდინარე მოთხილამურეთა მსოფლიო ჩემპიონატის მორიგი ასპარეზობა - 15 კილომეტრზე თავისუფალი სტილით გამოდევნებით რბოლა.

ბერგერი ხშირად მონაწილეობს ბარის თხილამურებში მსოფლიო თასის რბოლებში, მაგრამ აქამდე კვარცხლბეკზე არასოდეს ასულა. ამჯერად კი, ამინდის ხელშეწყობით, კარიერაში ყველაზე გამორჩეულ გამარჯვებას მიაღწია.

ამინდის წყალობით, უკეთეს პირობებში იასპარეზეს იმ მოთხილამურეებმა, რომლებმაც რბოლა ადრე დაიწყეს. როგორც წესი, ადრე სტარტზე ისინი გაჰყავთ, ვისგანაც ბევრი არაფერია მოსალოდნელი, ფავორიტებს კი არენა ბოლოს ეთმობათ. მაგრამ სანამ ფავორიტების ჯერი დადგებოდა, ამინდი გაფუჭდა - ჯერ ქარი ამოვარდა, შემდეგ კი გათოვდა. ახალმა თოვლმა გზა "დაამძიმა", რამაც მოთხილამურეთა შედეგებზე უარყოფითად იმოქმედა.

შედეგად, ვერცხლის მედალი მოიპოვა სრულიად უცნობმა ბელარუსმა **ლეანიდ კარნეიენკამ**, ვისაც აქამდე არასოდეს უასპარეზია მსოფლიო თასის რბოლებშიც კი. ამის მიუხედავად, 19 წლის ბელარუსმა მოთხილამურემ უკან მოიტოვა ისეთი ძლიერი მეტოქე, როგორიც მსოფლიო თასის მფლობელი, გერმანელი **ტობიას ანგერერია**.

ანგერერი კარგა ხანს მეოთხე იყო, მაგრამ თოვა რომ შეწყდა, ტემპი გაზარდა და შედეგად, მესამეზე გადაინაცვლა. მან თითქმის 6 წამით აჯობა ავსტრიელ **იოჰანს ედერს**.

*"ამინდმა ჩემს სასარგებლოდ ითამაშა. რბოლის პირველი ნაწილი ძალიან სწრაფი იყო, მაგრამ შემდეგ თოვლმა ტრასა დაამძიმა და ეს შედეგებზეც აისახა"*, - განაცხადა ბერგერმა, ვის მიერ მოპოვებული ოქროც, საპოროში ნორვეგიელთა მიერ მოპოვებული მეათე მედალია. ამგვარად, მედლების არაოფიციალურ ჩათვლაში წინ სწორედ ვიკინგები არიან, მეორეზე კი ექვსი მედლით გერმანიაა.

ბერგერმა ორი წლის წინ, გერმანიის ობერსტდორფში ჩატარებულ მსოფლიო ჩემპიონატზე მეოთხე ადგილი დაიკავა, მსოფლიო თასის რბოლებში კი მისი საუკეთესო შედეგი მეხუთე ადგილია. სამაგიეროდ, ბიატლონში მსოფლიო თასის სამი რბოლა აქვს მოგებული, მსოფლიოს ჩემპიონატებზე კი სამი ვერცხლის მედალი აქვს მოპოვებული.

სხვათა შორის, იმავე რბოლაში მონაწილეობა მიიღო კიდევ ერთმა ნორვეგიელმა ბიათლეტმა - ლეგენდარულმა **ოლე აინარ ბიორნდალენმა**, ვინც ამჯერად მხოლოდ მე-16 ადგილს დასჯერდა.

საპორო (იაპონია). კაცები
თავისუფალი, გამოდევნებით (15 კმ)

**1. ლარს ბერგერი (ნორვეგია) 35:50.0; 2. ლეანიდ კარნეიენკა (ბელარუსი) +35.80; 3. ტობიას ანგერერი (გერმანია) +52.39; 4. იოჰანს ედერი (ავსტრია) +58.30; 5. აქსელ ტაიხმანი (გერმანია) +01:14.60; 6. ალექსანდერ ლეგკოვი (რუსეთი) +01:16.39...**

# მძლეოსნობა

ვარსკვლავი

## მარკოვმა წასვლა გადაწყვიტა

მსოფლიოს ყოფილმა ჩემპიონმა ჭოკით ხტომაში, ავსტრალიელმა **დმიტრი მარკოვმა** სპორტული კარიერის დასრულება გადაწყვიტა. ამის მიზეზი კი არის ფეხის ტერფის ხშირი ტრავმიანობა, რის გამოც ის თავისი შესაძლებლობათა სრულად გამოვლენას ველარ ახერხებს.

31 წლის მარკოვმა, ვინც წარმოშობით ბელარუსია, მაგრამ დიდი ხანია, რაც ავსტრალიის დროშით გამოდის, მსოფლიოს ჩემპიონის ტიტული 2001 წელს ედმონტონში მოიპოვა, სადაც ის 6.05 მეტრზე გადებულ თამასას გადაევლო. ეს საუკეთესო შედეგია, რაც კი ოდესმე დიდ ტურნირებზე (მსოფლიოს ჩემპიონატებსა და ოლიმპიადებზე) დაფიქსირებულა. ამაზე უფრო მაღლა კი ერთადერთი კაცი - ლეგენდარული უკრაინელი **სერგეი ბუბკაა** გადამხტარი.

"ეს გადაწყვეტილება ძალიან ძნელად მისაღები იყო. ვგრძნობ, რომ კიდევ შემიძლია უმაღლეს დონეზე ასპარეზობა, მაგრამ სამწუხაროდ, ამის საშუალებას ტერფი არ მაძლევს. ვეცდები, გამოსათხოვარ ტურნირზე კარგად ვიასპარეზო, მაგრამ არ ვიცი, რა გამომივა", - განაცხადა მარკოვმა, ვინც სპორტიდან წასვლამდე, ხვალ მელბურნში, "ოლიმპიკ პარკის" არენაზე იასპარეზებს.

მარკოვმა ავსტრალიის მოქალაქეობა 1999 წელს მიიღო. მანამდე კი, ატლანტის ოლიმპიადაზე (1996), სადაც ბელარუსის სახელით იასპარეზა, მეექვსე ადგილი დაიკავა. 1999 წელს უკვე ავსტრალიის სახელით, სევილიაში ჩატარებულ მსოფლიო ჩემპიონატზე ვერცხლის მედალს დაეუფლა, სიდნეის ოლიმპიადაზე (2000) კი მეხუთე ადგილს დასჯერდა.



დმიტრი მარკოვი

ლელო
სპორტული გაზეთი

მთავარი რედაქტორი
თენგიზ გაჩეჩილაძე

დირექტორი
პაატა გელაშვილი

რედაქტორები
მამუკა ჩიხლაძე
გია თვალაბეიშვილი

ქართული სპორტი
ნიკოლოზ ნეფარიძე
პაატა თოთაძე
მერაბ მამულაშვილი
დავით ცაგაძე
ლევან ჯანეზაშვილი
გია ტუხაშვილი
ირაკლი თავაძე
ვაჟა სიმონიშვილი
ზვიად შათირიშვილი
კობა ხატისაშვილი
ბესიკ ჯანგავაძე

უცხოური სპორტი
შალვა ბიბილაშვილი
გოგა ახალაძე
გოტფრიდ ლენცი
ილია ნიკოლაიშვილი
მერაბ ლორთქიფანიძე
დავით ჩუბინიძე
ზურაბ თალაკვაძე

რეგიონული კორესპონდენტები:
დავით კოხრეიძე, ვასილ ბალახაძე, მერაბ გრძელიძე, მამუკა ქანთარია, ირაკლი დარცმელიძე, ნიკო ვაყელიშვილი

ფოტო
ალექსანდრე კოტორაშვილი
ნუგზარ სუარიძე

ტექნიკური რედაქტორი
მიხეილ ჯაში

ტექნიკური ჯგუფი:
მანანა აკიმოვა, მზია ელიზბარაშვილი, ხათუნა სამხარაძე, დავით გეგეჭკორი, დავით შალუტაშვილი, კობა გელაშვილი

კორექტურა
ლელა ხომასურიძე
ლევან ბიბილაშვილი

გავრცელების სამსახური და ფინანსური ჯგუფი:
დავით მაისურაძე (დირექტორის მოადგილე), გივი ვეშაპიძე, ქეთევან დიდბერიძე

მარკეტინგის სამსახური
თამარ ჯიშკარიანი (ტ: 46 34 48)
ბაძარ გაჩეჩილაძე (ტ: 899 91 87 17)
შალვა ეგანიძე

პირველი ნომერი გამოვიდა 1934 წლის 13 აპრილს თბილისში, სახელით "საქართველოს ფიზკულტურელი". 1936-39 წლებში ერქვა "ფიზკულტურელი", "ლელომდე" დაიბეჭდა 362 ნომერი. 1949 წლის 10 ივლისს გაზეთი აღადგინა მიხეილ კაკაბაძემ.

2006 წელს გაერთიანდა გაზეთ "სპორტთან".

სპორტი

გამოდიოდა 2002-06 წლებში.

ლელოს მთავარი რედაქტორები:
მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 64-76)
ერემო მახათაძე (1952-53)
ირაკლი უგულავა (1953-64)
ანზორ ბასილაია (1976-83)
არჩილ გოგელია (1984-85)
თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან)

დამფუძნებლები: შპს გაზეთი ლელო, შპს სპორტმედია

პარტნიორი:
საქართველოს ოლიმპიური ფონდი

მისამართები
მ. კოსტავას 14,
0108 თბილისი
ტელეფონი: 99 56 14, 46 30 98, 46 30 56, 46 32 62, 98 23 94, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი).
ახმეტელის 10^ა,
0159 თბილისი
(დიღომი, ახ. კინოსტუდია, პირველი სართული);
ფაქსი: +995. 32 46 30 97
e-mail: sporti@sporti.ge;
gazeti_lelo@mail.ru
ინდექსი 66435 INDEX

გამოდის ყოველდღე, გარდა კვირისა